

სოციალური და ეკონომიკური საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში

მედიის მონიტორინგის შედეგები

SOCIAL AND ECONOMIC ISSUES IN GEORGIAN MEDIA

MEDIA MONITORING RESULTS



2011

სოციალური და ეკონომიკური
საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში
მედიის მონიტორინგის შედეგები

**SOCIAL AND ECONOMIC ISSUES
IN GEORGIAN MEDIA**

MEDIA MONITORING RESULTS





EUROPEAN UNION



Empowered lives.
Resilient nations.

Published under the project “Development of Media Monitoring Capacities in Georgia” which is funded by the European Union and implemented by the United Nations Development Programme (UNDP).

გამოცემულია პროექტის “მედია მონიტორინგის განვითარება საქართველოში” ფარგლებში. პროექტს ახორციელებს გაეროს განვითარებისპროგრამა (UNDP) ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

The contents of this publication are the sole responsibility of the authors and can in no way be taken to reflect the views of the European Union, the United Nations or UNDP.

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს ევროკავშირის, გაერთიანებული ერებისორგანიზაციის და გაეროს განვითარების პროგრამის თვალსაზრისს.

Copyright © UNDP Georgia 2011
All rights reserved
Manufactured in Georgia

© UNDP Georgia 2011
საავტორო უფლებები დაცულია
გამოცემულია საქართველოში

“გაზომე, რაც იზომება და გახადე
გაზომვადი ისიც, რაც არ იზომება”

გალილეო გალილეი

*“Measure what is measurable,
and make measurable what is not so”*

Galileo Galilei

მართლმსაჯულების საკითხების გაშუქება თელევიზიასა და ბეჭდურ მედიაში	7
--	---

სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხების გაშუქება	31
---	----

მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში	53
ბარემოს დაცვის საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში	78

საარჩევნო საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში	99
--	----

თელეკომპანიების მიერ იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის გაშუქება	125
გენდერული ძალადობის გაშუქების ხარისხი ქართულ ბეჭდურ მედიაში	145

დაგარალებულ და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა საკითხების გაშუქება თელევიზიების მიერ	167
თელევიზიების მიერ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გაშუქება	183

სოციალური საკითხების გაშუქება ბეჭდურ და თელემედიაში	197
უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში	216

REPORTING ABOUT JUDICIARY ISSUES ON TELEVISION AND IN PRINT MEDIA.....	20
---	----

CRRC

REPORTING ABOUT CIVIL SOCIETY AND LOCAL SELF-GOVERNMENT IN PRINT MEDIA	43
---	----

CSI

REPORTING ABOUT JUDICIARY ISSUES IN GEORGIAN MEDIA	67
REPORTING ABOUT ENVIRONMENTAL ISSUES IN GEORGIAN MEDIA	90

HRC

REPORTING ABOUT ELECTION ISSUES IN GEORGIAN MEDIA	114
---	-----

ISFED

REPORTING ABOUT THE STATE OF INTERNALLY DISPLACED PERSONS BY GEORGIAN TV CHANNELS	136
REPORTING ON GENDER-BASED VIOLENCE IN GEORGIAN PRINT MEDIA	157

Internews

REPORTING ON UNDER-AGE VICTIMS AND JUVENILES IN CONFLICT WITH THE LAW BY GEORGIAN TV CHANNELS	176
REPORTING ABOUT THE PERSONS WITH DISABILITIES BY GEORGIAN TV CHANNELS	191

CDI

REPORTING ABOUT SOCIAL ISSUES ON TELEVISION AND IN PRINT MEDIA	207
REPORTING ABOUT MINORITY ISSUES IN GEORGIAN MEDIA	226

GIPA



მართლმსაჯულების საკითხების გაშუქება ტელევიზიასა და ბეჭდურ მედიაში

ქეთი ჩუბინიშვილი
მარიამ კობალაძე

შესავალი

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მიერ 2011 წელს ჩატარებული მედიის კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოს მოსახლეობის 88 პროცენტისთვის ინფორმაციის მიღების პირველწყაროს ტელევიზია წარმოადგენს. ამის გამო, ნებისმიერი საკითხის კვლევისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმას, თუ როგორ შუქდება ის ტელევიზიის მიერ. კვლევის თანახმად მოსახლეობის 79 პროცენტი თვლის, რომ ჟურნალისტებმა უნდა გამოიძიონ სასამართლო სისტემის მუშაობა. 81 პროცენტის აზრით ჟურნალისტებმა უნდა შეისწავლონ ციხეებში არსებული მდგომარეობა. კვლევის ამ შედეგების გათვალისწინებით კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა (CRRC) ევროკავშირის მიერ დაფინანსებული გაეროს განვითარების პროგრამის მედია მონიტორინგის პროექტის ფარგლებში ჩაატარა მედიის მონიტორინგი სასამართლოსა და კრიმინალური ქრონიკის თემებზე.

მეთოდოლოგია

სამ ეტაპად ჩატარებულმა მედიის მონიტორინგმა 2011 წლის 30 მაისიდან 31 დეკემბრის ჩათვლით 19 კვირა მოიცვა (2011 წლის 30 მაისი-3 ივლისი, 18 ივლისი-4 სექტემბერი და 10 ნოემბერი-31 დეკემბერი). პირველი ორი ეტაპის კვლევის საგანს წარმოადგენდა სატელევიზიო არხების „იმედისა“ და „მაცტროს“ როგორც საღამოს მთავარი საინფორმაციო გამოშვებები („ქრონიკა“ 20.00 საათზე, „ახალი ამბები“

21.00 საათზე და შაბათ-კვირის „ახალი ამბები“ 18.00 საათზე), ისე შაბათ-კვირის ანალიტიკური გადაცემები („სპეციალური რეპორტაჟი“, სტუდია „მონიტორის“ მიერ მომზადებული გადაცემა „ჟურნალისტური გამოძიება“ და ნანა ლეჟავას „კვირის რეპორტაჟი“). ბეჭდური მედიიდან საკვლევად შეირჩა ყოველკვირეული გაზეთი „კვირის პალიტრა“. მესამე ეტაპზე მედიის კვლევის ჯგუფი აკვირდებოდა სატელევიზიო არხების: „საზოგადოებრივი მაუწყებლის“, „იმედისა“ და „მაცენტროს“ საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებს („მომამბე“ 20:00 საათზე, „ქრონიკა“ 20:00 საათზე და „ახალი ამბები“ 21:00 საათზე).

მონიტორინგის სამივე პერიოდის ძირითადი თემები იყო სასამართლო და კრიმინალური ქრონიკა.¹ დამატებით თემად შეირჩა ციხეების საკითხი. დაკვირვება მიმდინარეობდა ისეთ ძირითად სუბიექტებზე, როგორებიცაა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოები და მოსამართლეები, შინაგან საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, სასჯელაღსრულების სამინისტრო, პროკურატურა, ადვოკატები, ბრალდებულები და პატიმრები.

მონიტორინგის დროს განხორციელდა რაოდენობრივი და თვისებრივი კომპონენტების ანალიზი. კერძოდ, მოხდა სუბიექტებისთვის დათმობილი დროისა და სივრცის რაოდენობრივი დათვლა. თვისებრივი კომპონენტი გულისხმობდა საკითხის გაშუქების ტონის შეფასებას, დაკვირვებას ინფორმაციის წყაროებსა და გაშუქების მიკერძოებულობაზე.

კვლევის ძირითადი შედეგები

სასამართლოსა და დანაშაულის თემაზე ჩატარებული მედიის მონიტორინგის პირველ ორ ეტაპზე შემდეგი ძირითადი შედეგები გამოვლინდა:

- არხზე „მაცენტრო“ ამ საკითხებისადმი მიძღვნილი ბევრად მეტი რელევანტური სიუჟეტი გადაიცა, ვიდრე არხზე „იმედი“;
- „იმედმა“ ბევრად მეტი დრო დაუთმო კრიმინალური ქრონიკის გაშუქებას, ვიდრე სასამართლოს თემას. ამასთან, კრიმინალური ქრონიკის სიუჟეტების ძირითადი დრო ბრალდებულებსა და დაკავებულებს ეთმობოდა;
- ორივე სატელევიზიო არხის საინფორმაციო გამოშვებებსა და შაბათ-კვირის ანალიტიკურ გადაცემებში, ისევე, როგორც გაზეთში, ძალიან იშვიათი იყო სუბიექტების დადებითი ტონით გაშუქება;

¹ კრიმინალური ქრონიკა მოიცავს ინფორმაციას სხვადასხვა ტიპის კანონდარღვევის ფაქტებსა და უბედურ შემთხვევებზე.

- „კვირის პალიტრა“ თითქმის არ შეიცავდა დადებითი ტონის მქონე სტატიის სათაურებს.

მონიტორინგის მესამე ეტაპის შედეგები, რომლებიც სამი არხის „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, „მანესტრო“ და „იმედი“ საღამოს საინფორმაციო პროგრამების მონაცემებს ეფუძნებოდა, შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

- სამივე არხზე ამ საკითხებს თითქმის თანაბარი რაოდენობის სიუჟეტი დაეთმო. თუმცა, მათი ხანგრძლივობა სამივე არხზე საკმაოდ განსხვავებულია. ყველაზე მეტი დრო საკვლევ თემებს „იმედმა“ დაუთმო;
- „საზოგადოებრივ მაუწყებელსა“ და „იმედზე“ სიუჟეტები თემების მიხედვით თითქმის ერთნაირად გადანაწილდა. ორივე არხმა ბევრად მეტი სიუჟეტი დაუთმო კრიმინალის თემას, ვიდრე სასამართლოსა და ციხეს. „მანესტროზე“ კი პირიქით, ბევრად მეტი სიუჟეტი მიეძღვნა სასამართლოს თემას, ვიდრე კრიმინალურ ქრონიკას;
- „იმედსა“ და „პირველ არხზე“ ყველაზე მეტი დრო დაეთმოთ დაკავებულებსა და დაზარალებულებს, „მანესტროზე“ კი - პატიმრებსა და სასამართლოებს;
- „მანესტროსგან“ განსხვავებით, კრიმინალური ქრონიკის გაშუქებისას „საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ და „იმედმა“ დიდი დრო დაუთმეს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებულ ოპერატიულ ვიდეომასალას;
- სამივე არხზე სუბიექტები ძირითადად ნეიტრალური ტონით გაშუქდა. თუმცა, „იმედსა“ და „პირველ არხზე“ უფრო მეტი დადებითი ტონი დაფიქსირდა ვიდრე „მანესტროზე“;
- საზოგადოებრივი მაუწყებლის „პირველ არხსა“ და „იმედზე“ ხშირი იყო საკვლევ თემებთან დაკავშირებული სიუჟეტების მსგავსება;
- არხებზე შეინიშნებოდა შეცდომები და უზუსტობები. ეს უზუსტობები ძირითადად ეხებოდა სიუჟეტის მონაწილეების ვინაობასა და მათ ასაკს, ასევე მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებულ დეტალებს;
- ასევე ხშირი იყო სიუჟეტებში მხოლოდ ერთი მხარის წარმოჩენა და რესპონდენტების დაუბალანსებელი შერჩევა;
- ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც სიუჟეტის ავტორი ან/და რესპონდენტი არ აკონკრეტებდა საუბრის სუბიექტს და მაყურებელი იძულებული იყო, თავად ევარაუდა, ვისზე იყო საუბარი;

- გამოვლინდა შემთხვევები, როცა სიუჟეტის ავტორების დასკვნები და რესპონდენტების კომენტარები ერთმანეთს არ ემთხვეოდა და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავიც კი იყო. ჟურნალისტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ იყო გამყარებული არც რესპონდენტების კომენტარებით და არც სიუჟეტში ნაჩვენები კადრებით;
- „მაესტროში“ შექმნილი ვითარების გამო, სიუჟეტების უმეტესობა სათაურის გარეშე გავიდა, რესპონდენტებსაც არ ჰქონდათ მითითებული ვინაობა და შეინიშნებოდა წყაროების სიმცირე.

გარდა ამისა, აქვე უნდა აღინიშნოს ის საერთო ტენდენციები, რომლებიც სამივე პერიოდის განმავლობაში გამოვლინდა:

- სამივე არხზე საკმაოდ ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც სიუჟეტის ავტორი ან/და რესპონდენტი არ აკონკრეტებდა არც საუბრის თემას და არც იმას, ვის ეხებოდა ის;
- ხშირი იყო სიუჟეტებში მხოლოდ ერთი მხარის წარმოჩენა.

ბელაქიზია

საინფორმაციო გადაცემები

მონიტორინგის პირველი ორი ეტაპის განმავლობაში „მაესტროზე“ გასული საინფორმაციო გადაცემების საერთო დრომ „იმედთან“ შედარებით 3 საათით მეტი შეადგინა („მაესტრო“: 49 საათი და 55 წუთი; „იმედი“: 47 საათი და 5 წუთი). აქედან, საკვლევ თემებს „მაესტროზე“ 116 (5 საათი და 48 წუთი), „იმედზე“ კი მხოლოდ 72 სიუჟეტი (3 საათი და 34 წუთი) მიეძღვნა.

საკვლევი თემების მიხედვით სიუჟეტების რაოდენობისა და დროის გადანაწილებამ გამოავლინა, რომ „იმედზე“ სასამართლოს თემას დაეთმო მხოლოდ 8, „მაესტროზე“ კი 43 სიუჟეტი, რამაც წუთობრივი ხანგრძლივობის თვალსაზრისით 6-ჯერ მეტი დრო დაიკავა (იხ. ცხრილი #1). რაც შეეხება კრიმინალურ ქრონიკას: „იმედზე“ გადაცემული სიუჟეტების რაოდენობა ოდნავ აღემატებოდა „მაესტროზე“ გასული სიუჟეტების რაოდენობას („იმედი“: 62, „მაესტრო“: 58).

ცხრილი #1: სიუჟეტების რაოდენობისა და დროის განაწილება თემების მიხედვით.

	სასამართლო	კრიმინალური ქრონიკა	ციხე	ჯამი
„იმედი“	8 (00:18:27)	62 (03:14:35)	2 (00:01:37)	72 (03:34:39)
„მაესტრო“	43 (02:00:57)	61 (03:07:57)	12 (00:39:28)	116 (05:48:22)

სუბიექტებისთვის დათმობილი დრო

დათმობილი დროის მიხედვით ორივე არხის პირველ სამეულში მოხვდნენ: დაკავებული, ბრალდებული და მსჯავრდებული. მათ მოსდევს შინაგან საქმეთა სამინისტრო და სასამართლო². თუმცა, აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ აღნიშნული დროის განაწილება არხებზე საკმაოდ განსხვავებულია (იხ. ცხრილი #2).

მნიშვნელოვანი განსხვავებები გამოვლინდა „იმედსა“ და „მაესტროზე“ ძირითადი სუბიექტების გაშუქებისას. მაგალითად, პატიმრების თემას „იმედზე“ მხოლოდ 6 წამი დაეთმო, მაშინ როდესაც მას „მაესტრომ“ 15 წუთი და 10 წამი მიუძღვნა. მსგავსი იყო შედეგი პოლიციისა და მოსამართლეების საკითხების გაშუქების შემთხვევაშიც. გარდა ამისა, მონიტორინგმა გამოავლინა მთელი რიგი სუბიექტები, რომლებსაც საეთერო დრო მხოლოდ „მაესტროზე“ ეთმობოდა. მათ შორის იყვნენ: პროკურორი, მთავრობა, სახალხო დამცველი და ვანო მერაბიშვილი.

ცხრილი #2: ყოველდღიურ საინფორმაციო გამოშვებებში სუბიექტებისთვის დათმობილი დრო (წამი).

	„მაესტრო“	„იმედი“
დაკავებული, ბრალდებული, მსჯავრდებული	54 წთ 44 წმ	1 სთ 10 წთ
სასამართლო	27 წთ 51 წმ	4 წთ 14 წმ
შინაგან საქმეთა სამინისტრო	19 წთ 50 წმ	6 წთ 10 წმ
პატიმარი	15 წთ 10 წმ	6 წმ

² „სასამართლო“ ამ შემთხვევაში მოიცავს საქართველოში არსებულ სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებს.


	„მაესტრო“	„იმედი“
ხელისუფლება	13 ნო 14 წმ	5 წმ
ხელისუფლების მხარდამჭერები	12 ნო 57 წმ	2 ნო 52 წმ
პროკურატურა	12 ნო 22 წმ	1 ნო 58 წმ
სამართალდამცავი ორგანოები	11 ნო 51 წმ	4 ნო 14 წმ
ციხე	11 ნო 35 წმ	2 წმ
ადვოკატი	8 ნო 37 წმ	1 ნო 36 წმ
მოსამართლე	4 ნო 33 წმ	1 წმ
გამოძიება	4 ნო 13 წმ	47 წმ
სამოქალაქო საზოგადოება	4 ნო 6 წმ	1 წმ
ექსპერტიზა	3 ნო 31 წმ	8 წმ
სასჯელაღსრულების სამინისტრო	3 ნო 14 წმ	3 წმ
სახალხო დამცველი	3 ნო	0
ვანო მერაბიშვილი	2 ნო 25 წმ	0
პრეზიდენტი	2 ნო 13 წმ	2 წმ
მმართველი გუნდი	1 ნო 35 წმ	1 წმ
საპროცესო შეთანხმება	1 ნო 31 წმ	1 წმ
პროკურორი	1 ნო 5 წმ	0
მთავრობა	1 ნო 3 წმ	0
გამომძიებელი	24 წმ	20 წმ
ჯამი	1 სო 30 ნო	3 სო 41 ნო

სუბიექტებისთვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით

კვლევისპირველიორიეტაპისდროსტონისმიხედვითსუბიექტებისათვის დათმობილი დროის განაწილების ანალიზისას თვალში საცემი იყო ის ფაქტი, რომ ძალიან დადებითი და დადებითი ტონი ორივე არხზე ძალიან მცირე რაოდენობის შემთხვევებში იქნა გამოყენებული. „მაესტრომ“ დადებითი ტონით ყველაზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში გააშუქა დაკავებული, ბრალდებული, მსჯავრდებული და პატიმარი. სასამართლოს მიმართ დადებითი ტონი გამოყენებულ იქნა მხოლოდ 1 წუთისა და 39 წამის განმავლობაში. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროიდან 1 წუთისა და 25 წამის განმავლობაში დადებითად


სასამართლოს შესახებ ლაპარაკობდა პრეზიდენტი (იხ. დიაგრამა #1). „მაესტროზე“ ხელისუფლებისთვის დათმობილი 13 წუთისა და 14 წამიდან 11 წუთი და 16 წამი უარყოფითი და ძალიან უარყოფითი ტონის შემცველი იყო.

დიაგრამა # 1: „მაესტროზე“ სუბიექტებისთვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით (წუთი, წამი)



„იმედის“ არხზე ძალიან დიდი სხვაობა გამოვლინდა ერთი მხრივ დაკავებულის, ბრალდებულისა და მსჯავრდებულისათვის და მეორე მხრივ ყველა დანარჩენი სუბიექტისთვის დათმობილი დროის თვალსაზრისით. პირველი სამი სუბიექტი ჯამში გაშუქდა 1 საათისა და 10 წუთის განმავლობაში მაშინ, როდესაც არც ერთს ყველა დანარჩენი სუბიექტიდან 6 წუთსა და 10 წამზე მეტი დრო არ დათმობია (იხ. დიაგრამა #2).

დიაგრამა #2: „იმედზე“ სუბიექტებისთვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით (წუთი, წამი).



შაბათ-კვირის ანალიტიკური გადაცემები

მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ 2011 წლის 30 მაისიდან 4 სექტემბრამდე „იმედის“ არხის მხოლოდ ერთი გადაცემის მცირე ნაწილი (45 წამი) დაეთმო სასამართლოს თემას.³

„მაესტროს“ ანალიტიკური გადაცემები მიმოიხილავდა სასამართლოს, კრიმინალური ქრონიკისა და ციხის თემებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტუდია „მონიტორის“ მიერ მომზადებული ერთი და იგივე გადაცემა „ჟურნალისტური გამოძიება“ სამი თვის განმავლობაში სამჯერ გადაიცა ეთერში. გადაცემა „ალიმონაკის საქმე“ ეხებოდა სასამართლოს მიმდინარეობასა და გამოძიებას. მონიტორინგის პერიოდში „მაესტროს“ არხით სასამართლოს, კრიმინალური ქრონიკისა და ციხის შესახებ გასულმა შაბათ-კვირის ანალიტიკურმა გადაცემებმა ჯამში 4 საათი და 23 წუთი შეადგინა.

გადაცემებში გამოყენებულ იქნა 4-დან 9 წყარომდე. ესენი იყვნენ: ადვოკატი, ბრალდებული, ექსპერტი, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი, ოჯახის წევრი, ხელისუფლების მხარდამჭერები, პრეზიდენტი და თავად ჟურნალისტი. საინტერესოა, რომ სასამართლოს,

³ სასამართლოს თემისთვის გადაცემის მთელი დროის ძალიან მცირე ნაწილის (45 წამი) დათმობის გამო მიზანშეწონილად არ ჩავთვალეთ, გადაცემის მთლიანი დროის ანალიტიკური გადაცემების საერთო დროში გაერთიანება.

პროკურატურის ან პოლიციის წარმომადგენელი პირდაპირ წყაროდ არც ერთ გადაცემაში არ იყო წარმოდგენილი.

სუბიექტებისთვის დათმობილი დროის თვალსაზრისით, ყველაზე მეტი დრო დაეთმოთ დაკავებულებსა და ბრალდებულებს, პროკურორს, პოლიციასა და სასამართლოს (იხ. ცხრილი #3).


ცხრილი #3: „მაესტროს“ ანალიტიკურ გადაცემებში სუბიექტებისთვის დათმობილი დრო.

სუბიექტი	დრო (წამი)
დაკავებული, ბრალდებული, მსჯავრდებული	46 წთ 2 წმ
პროკურორი	9 წთ 49 წმ
პოლიცია	6 წთ 50 წმ
სასამართლო	5 წთ 27 წმ
მოსამართლე	4 წთ 41 წმ
პროკურატურა	4 წთ 33 წმ
ციხე	3 წთ 50 წმ
გამოძიება	2 წთ 29 წმ
შინაგან საქმეთა სამინისტრო	1 წთ 13 წმ
პატიმარი	1 წთ 6 წმ
პრეზიდენტი	47 წმ
მთავრობა	21 წმ

საინტერესოა სუბიექტებისთვის დათმობილი დროის განაწილება ტონის მიხედვით. „მაესტროს“ ანალიტიკურ გადაცემებში სუბიექტის გაშუქებისას ძალიან იშვიათად გამოიყენება დადებითი ტონი. ძალიან დადებითი ტონი არც ერთ მათგანთან მიმართებაში არ გამოვლენილა (იხ. დიაგრამა #3).

გასათვალისწინებელია, რომ გადაცემის „ალიმონაკის საქმე“ სამჯერ გამეორებამ მნიშვნელოვნად გაზარდა კონკრეტული სუბიექტებისთვის დათმობილი დროის რაოდენობა ტონის მიხედვით.

დიაგრამა #3: „მაესტროს“ ანალიტიკურ გადაცემებში სუბიექტებისთვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით (წუთი, წამი).



გაგაპი „კვირის პალიტრა“

მონიტორინგი მოიცავდა ყოველკვირეული გაზეთის „კვირის პალიტრა“ 12 ნომერს. მათგან 10 ნომერი შეიცავდა საკვლევი თემებისადმი (სასამართლო, კრიმინალური ქრონიკა, გამოძიება, ციხე) მიძღვნილ 45 სტატიას. კვლევის პერიოდში სასამართლოს თემას დაეთმო 13, კრიმინალურ ქრონიკას 29, ციხეს კი 3 სტატია.

სტატიების სათაურები

სტატიების სათაურების ტონი, ძირითადად, ნეიტრალური და უარყოფითი იყო. დადებითი ტონის შემცველი სათაური მხოლოდ ერთ სტატიას აღმოაჩნდა: „გამეხარდება, თუ ბიჭები გამართლდებიან“ (#29, გვ. 8).

სუბიექტებისთვის დათმობილი სივრცე

მონიტორინგის პირველი ორი ეტაპის განმავლობაში საკვლევი თემების შესაბამის სტატიებში ცალკეული სუბიექტებიდან ყველაზე მეტი ადგილი დაეთმოთ დაკავებულს, ბრალდებულს, მსჯავრდებულს, ციხეს,

პატიმარს, სასამართლოსა⁴ და შინაგან საქმეთა სამინისტროს (იხ. ცხრილი #1).

ცხრილი #1: მონიტორინგის სუბიექტებისთვის დათმობილი სივრცე „კვირის პალიტრაში“.⁵

სუბიექტი	დათმობილი სივრცე (სმ ²)
დაკავებული, ბრალდებული, მსჯავრდებული	1417
ციხე	568
პატიმარი	527
სასამართლო	440
შინაგან საქმეთა სამინისტრო	370
ხელისუფლება	317
პროკურატურა	264
პოლიცია	226
პრეზიდენტი	206
ვანო მერაბიშვილი	201
სამართალდამცავი ორგანოები	174
გამომძიებელი	171


სუბიექტებისთვის დათმობილი სივრცე ტონის მიხედვით

სუბიექტებისთვის დათმობილი სივრცის ტონის მიხედვით განაწილებამ საინტერესო შედეგი გამოავლინა. ძალიან დადებითი ტონით გაზეთში ნახსენები იყო მხოლოდ 2 სუბიექტი: პატიმარი და პოლიცია. მათ სივრცის მხოლოდ 2 და 6სმ² დაეთმოთ (იხ. დიაგრამა #1). დადებითი ტონით განხილული იყო მხოლოდ რამდენიმე სუბიექტი. მათ შორის ყველაზე მეტი სივრცე დაეთმოთ დაკავებულსა და პატიმარს.

⁴ სასამართლოს მონაცემი მოიცავს ინფორმაციას საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოს შესახებ.

⁵ „კვირის პალიტრის“ ერთი გვერდი შეადგენს 1031 სმ²-ს.

დიაგრამა #1: „კვირის პალიტრაში“ სუბიექტებისთვის დათმობილი სივრცე ტონის მიხედვით (სმ²).



დასკვნა

ანგარიშში განხილული რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების საფუძველზე მიღებული იქნა შემდეგი შედეგები:

ყველაზე თვალში საცემი განსხვავება სატელევიზიო არხებს „იმედსა“ და „მანესტროს“ შორის მდგომარეობდა იმაში, რომ მონიტორინგის პერიოდში „მანესტრომ“ „იმედთან“ შედარებით საკვლევი თემების რელევანტური ბევრად უფრო მეტი სიუჟეტი გადასცა: „მანესტრო“: 116 (5 სთ 48 წთ), „იმედი“: 72 სიუჟეტი (3 სთ 34 წთ).

„იმედზე“ გასული 72 შესაბამისი სიუჟეტიდან 62 დაეთმო კრიმინალურ ქრონიკას (3 საათი და 14 წუთი), 8 სასამართლოს (18 წუთი და 27 წამი), 2 კი ციხის თემას (1 წუთი და 37 წამი). აღსანიშნავია, რომ სიუჟეტების დროის უმეტესი ნაწილი (1 საათი და 10 წუთი) დაეთმოთ ბრალდებულებსა და დაკავებულებს. დანარჩენი სუბიექტებიდან არც ერთს 6 წუთსა და 10 წამზე მეტი არ დათმობია. ისეთი სუბიექტები როგორებიც არიან პროკურორი, ვანო მერაბიშვილი, მთავრობა, სახალხო დამცველი სიუჟეტებში საერთოდ არ იყვნენ ნახსენები.

ისევე, როგორც „საზოგადოებრივი მაუწყებლის“, „იმედისა“ და „მანესტროს“ საინფორმაციო გამოშვებებსა და შაბათ-კვირის ანალი-

ტიკურ გადაცემებში, გაზეთშიც ძალიან იშვიათი იყო სუბიექტების დადებითი ტონით მოხსენიება. „კვირის პალიტრამ“ ძალიან დადებითი ტონით მხოლოდ 2 სუბიექტი: პატიმარი (2 სმ²) და პოლიცია (6 სმ²) ახსენა. დადებითი ტონი მხოლოდ რამდენიმე სუბიექტის მიმართ იყო გამოყენებული. მათ შორის ყველაზე მეტი სივრცე დაეთმოთ დაკავებულსა და ბრალდებულს (300 სმ²) და პატიმარს (80 სმ²). „მაესტრომ“ მხოლოდ ორჯერ გააშუქა სუბიექტები ძალიან დადებითი ტონით: სასამართლო (20 წამი) და დაკავებული, ბრალდებული, მსჯავრდებული (24 წამი). „იმედის“ არხზე მხოლოდ ერთი სუბიექტი - სამართალდამცავი ორგანოები (8 წამი), იქნა მოხსენიებული ძალიან დადებითი ტონით.

გაზეთზე დაკვირვების დროს, გარდა ერთი სტატიისა, თითქმის არ გამოვლენილა დადებითი ტონით დანერგილი სათაურები („გამეხარდება, თუ ბიჭები გამართლდებიან“; #29, გვ. 8).

სამივე არხზე საკმაოდ ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც სიუჟეტის ავტორი ან/და რესპონდენტი არ აკონკრეტებდნენ, ვისზე ან რაზე ლაპარაკობდნენ. ხშირად მხოლოდ საერთო კონტექსტიდან ხდებოდა შესაძლებელი იმის მიხედვით, კონკრეტულად ვინ იყო ნაგულისხმები სიუჟეტში, რომელიც თავად უბიძგებდა მაყურებელს ამა თუ იმ სუბიექტზე დადებითი ან უარყოფითი აზრის შექმნისკენ. ეს კი ქმნის საფრთხეს, რომ შესაძლოა, ადამიანს მცდარი წარმოდგენა ჩამოუყალიბდეს შესაბამის სუბიექტთან დაკავშირებით. ასევე ხდებოდა ისეც, რომ სხვადასხვა არხზე ერთი და იგივე სუბიექტი სხვადასხვა გვარით იყო მოხსენიებული.

მრავლად იყო სიუჟეტებში მხოლოდ ერთი მხარის წარმოჩენის შემთხვევები. ეს განსაკუთრებით ეხებოდა სასამართლოს თემისადმი მიძღვნილ მასალას, სადაც წყაროდ მხოლოდ ბრალდებულის მხარე იყო წარმოდგენილი.



REPORTING ABOUT JUDICIARY ISSUES ON TELEVISION AND IN PRINT MEDIA

Keti Chubinishvili
Mariam Kobaladze

INTRODUCTION

A study of media resources, conducted in 2011 by the Caucasus Research Resource Center (CRRC), revealed that television remains a primary source of information for 88% of the Georgian population. This makes an analysis of the representation of any research issue by the mass media channels very important. According to the study, 79% of the population believe that journalists should investigate the work of the judiciary system while 81% think that they should study the situation in the penitentiaries. Taking into consideration the results of this survey, the Caucasus Research Resource Center decided to conduct media monitoring of the reporting about judiciary issues and crime-related news. The research was carried out under a UNDP project, Development of Media Monitoring Capacities in Georgia, the funding for which was provided by the European Union.

METHODOLOGY

Media monitoring activities, bringing together three phases of research, were carried out over a period of 19 weeks between May 30 and December 31, 2011 (May 30-July 3, July 18-September 4 and November 10-December 31, 2011). The first two phases comprised the study of main evening news programs (Chronicle at 8pm, News at 9pm and Weekend News at 6pm) as well as weekend analytical programs (Special Report, Studio Monitor's, Journalistic Investigation and Nana Lezhava's Weekly Report) on two different channels, Imedi and Maestro. A weekly newspaper, Kviris Palitra (Week's Palette) was selected to represent the print media. During the third stage of the investigation, the monitoring group studied main evening news programs of the TV channels Public Broadcaster, Imedi and Masetro (Moambe at 8pm, Chronicle at 8pm, News at 9pm).

The major topics of all three phases of monitoring covered reporting on courts and criminal cases¹, with the additional theme of detention facilities. Research principally focused on the judges and the courts of different instances: the Ministry of Internal Affairs, the Ministry of Justice, the Ministry of Corrections, the Prosecutor's Office, defense attorneys, the accused and the convicts.

The monitoring included analyses of quantitative and qualitative data: namely, counting the time and space allocation per subject of interest (quantitative) and assessment of the tone of reports, observation of information sources and impartial reporting (qualitative).

PRINCIPAL FINDINGS

The first two phases of the monitoring of judiciary and criminal issues revealed the following results:

- Maestro broadcast a significantly higher number of relevant reports compared to Imedi;
- Imedi allocated a significantly bigger amount of time to reporting on criminal cases compared to coverage of court proceedings. Reports on criminal cases mostly focused on the accused and the detainees;
- The news and the weekend analytical programs of both TV channels as well as print media made very rare use of a positive tone during delivery of reports on the subjects of the research;
- Kviris Palitra (Week's Palette) used almost no positive headings for their articles.

The third phase of the research (monitoring of evening news programs from three TV channels: Public Broadcaster, Imedi and Maestro) produced the following findings:

- All three channels devoted more or less the same number of reports to the issues under review. However, the amount of time dedicated to each of them was quite different. The largest amount of time was allocated to criminal cases and court proceedings by the Imedi channel;
- The distribution of topics on the Public Broadcaster and Imedi were almost similar. Both channels dedicated a significantly higher number of reports to the topic of crime, rather than court proceedings and detention facilities. On the other hand, Maestro aired significantly more reports on court proceedings as opposed to crime news;
- Imedi and Public Broadcaster allocated the largest amount of time to the issues of detainees and the victims, and Maestro to convicts and court proceedings;

¹ Criminal chronicle reports on different types of legal violations and accidents.

- In contrast to Maestro, a large part of the reports about criminal news which were aired by Public Broadcaster and Imedi contained operative materials received from the Ministry of Internal Affairs;
- All three channels maintained a neutral tone while speaking about the subjects of our research. However, more instances of positive tone adoption were registered with Public Broadcaster and Imedi. Maestro made a more frequent use of negative tone compared to the other channels;
- Reports devoted to the issues of our research which were aired by Public Broadcaster and Imedi revealed more similarities between them;
- Information broadcast on all channels often contained errors and inaccuracies. The problem mainly applied to identities, age and case related details;
- Reports frequently presented only one participating side of the story, ignoring the need to keep a balance during the selection of respondents;
- Quite frequently, the authors of the reports, as well as the respondents, did not indicate clearly either the topics or the persons they were talking about. The viewers were left to themselves to draw conclusions regarding the issue;
- Monitoring revealed cases when conclusions made by the authors of reports and comments made by the respondents did not coincide with each other and in some cases were even contradictory. Sometimes broadcast information was not supported by comments or pictures included in the report;
- Because of specific developments that took place at the Maestro channel, most of their reports were aired without any title, indication of respondents' identities and with a visibly limited number of sources.

All three periods were marked with the following general trends:

- Very often authors and/or respondents failed to specify either the topic or the persons concerned mentioned in the report (all three channels);
- Reports frequently presented only one side of the story.

TELEVISION

News Programs

During the first two phases of monitoring, the total duration of the Maestro news programs was 3 hours more than that of Imedi (Maestro - 49 hours and 55 minutes, Imedi - 47 hours and 5 minutes). Maestro aired 116 reports on the research topics (5 hours and 48 minutes) while Imedi produced only 72 (3 hours and 34 minutes).

The number of reports on the study issues and their time distribution showed that Imedi provided only 8 reports relating to court cases. Maestro broadcast 43 reports on

the same topic. In terms of devoted time, the latter allocated six times more minutes to such reports (see Table #1). Coverage of criminal cases on Imedi was slightly longer than that aired on Maestro (Imedi – 62, Maestro - 58).

Table #1: Distribution of reports and their duration by topic.

	Court Proceedings	Criminal Cases	Detention Facilities	Total
“Imedi”	8 (00:18:27)	62 (03:14:35)	2 (00:01:37)	72 (03:34:39)
“Maestro”	43 (02:00:57)	61 (03:07:57)	12 (00:39:28)	116 (05:56:22)

Time Allocation per Subject

Time allocation per subject revealed that the top three topics for both channels were: detainees, accused and condemned. They were followed by: Ministry of Internal Affairs and courts.² It has to be taken into account, that time distribution per minute by the channels is quite different (see Table #2).

A noticeable disparity was observed on Imedi and Maestro during reporting about the principal subjects. For example, the theme of convicts was covered on Imedi for only 6 seconds, while on Maestro it was given 15 minutes and 10 seconds. A similar situation was observed in the case of the police and the judges. The monitoring also made it possible to identify a number of subjects which were discussed only on the Maestro channel. These are: the prosecutor, the government, the public defender and Vano Merabishvili.

Table #2: Time allocation per subject in daily news programs (seconds).

	Maestro	Imedi
Detainee, accused, defendant	54 min. 44 sec.	1 hour 10 sec.
Court	27 min. 51 sec.	4 min. 14 sec.
Ministry of Internal Affairs	19 min. 50 sec.	6 min. 10 sec.
Convict	15 min. 10 sec.	6 sec.
Authorities	13 min. 14 sec.	5 sec.


2 The term “court” in this case includes the courts of different instances in Georgia.

	Maestro	Imedi
Pro-governmental entities	12 min. 57 sec.	2 min. 52 sec.
Prosecutor's Office	12 min. 22 sec.	1 min. 58 sec.
Police	11 min. 51 sec.	4 min. 14 sec.
Penitentiaries	11 min. 35 sec.	2 sec.
Defense attorney	8 min. 37 sec.	1 min. 36 sec.
Judge	4 min. 33 sec.	1 sec.
Criminal investigation	4 min. 13 sec.	47 sec.
Civil society	4 min. 6 sec.	1 sec.
Forensic investigation	3 min. 31 sec.	8 sec.
Ministry of Corrections and Legal Assistance	3 min. 14 sec.	3 sec.
Public defender	3 min.	0
Vano Merabishvili	2 min. 25 sec.	0
President	2 min. 13 sec.	2 sec.
Governing group	1 min. 35 sec.	1 sec.
Plea agreement	1 min. 31 sec.	1 sec.
Prosecutor	1 min. 5 sec.	0
Government	1 min. 3 sec.	0
Investigator	24 sec.	20 sec.
Total	1 hour 30 sec.	3 hours 41 min.

Time allocation per subject according to tone


Analysis of the data which were generated during first two phases of research showed an extremely low number of 'very positive' and 'positive' coverage of the subjects on both channels. Maestro allocated the greatest length of time to the positive depiction of detainees, the accused, the condemned and the convicts. The court was represented in a positive way for 1 minute and 39 seconds. It has to be mentioned that 1 minute and 25 seconds of the positive coverage were used by the President of Georgia (see Diagram #1). In the 11 minutes and 16 seconds of the government coverage on the Maestro channel (in total 13 minutes and 14 seconds) the tone was either 'negative' or 'very negative'.

Diagram #1: Time allocation per subject according to tone (Maestro channel, Minutes, Seconds).



In the case of Imedi, our study revealed a significant difference in time allocation for the coverage of detainees, accused, condemned and all other subjects. Reports on the top three subjects lasted 1 hour and 10 minutes, while none of the rest of the subjects were given more than 6 minutes and 10 seconds (see Diagram #2).

Diagram #2: Time allocation per subject according to tone (Imedi channel, minutes, seconds).



Weekend Analytical Programs

Monitoring revealed that, during the period May 30 to September 4, only a small part (45 seconds) of one TV program, aired on the Imedi channel, was dedicated to the topic of courts.³

Analytical programs aired by Maestro covered the issues of court proceedings, criminal cases and penitentiaries. It has to be mentioned that, in this three-month period, the same issue of ‘journalistic investigation’ (produced by the Monitor studio), which discussed the court activities and an investigation into the “Alimonaki case”, was aired three times. During the monitoring period, the broadcasting time of the weekend analytical programs on the Maestro channel amounted to 4 hours and 23 minutes (reports about courts, criminal cases and penitentiaries).

The authors of the programs used between 4 and 9 sources: the defense attorney, the accused, an expert, a civil society representative, a family member, a representative of the pro-governmental entity, the president and the journalist herself. None of the programs used representatives of the courts, the Prosecutor’s Office or the police as a direct source of information.

The largest amount of time was distributed among the accused, the prosecutor, the police and the courts (see Table #3).

Table #3: Time allocation per subject in analytical programs of the Maestro channel.


Subject	Time (seconds)
Detainee, accused, defendant	46 min. 2 sec.
Prosecutor	9 min. 49 sec.
Police	6 min. 50 sec.
Courts	5 min. 27 sec.
Judges	4 min. 41 sec.
Prosecutor’s Office	4 min. 33 sec.
Penitentiaries	3 min. 50 sec.
Criminal investigation	2 min. 29 sec.
Ministry of Internal Affairs	1 min. 13 sec.

³ Because of the fact that only a very small part of entire duration of the program, namely 45 seconds, was allocated to the coverage of the court proceedings, we opted not to include the total duration of this program in the total time of the analytical programs.

It is interesting to look into time distribution by tone. A 'positive' tone is very rarely used in analytical programs on the Maestro channel. And a 'very positive' tone was not registered in any of the cases. (see Diagram #3).

It has to be taken into account that triple broadcasting of the same program (the Alimonaki case) significantly increased the amount of time by tone with regard to specific subjects of the study.

Diagram #3: Time allocation per subject by tone (Maestro channel, minutes, seconds)



The Kviris Palitra newspaper (Week's Palette)

Monitoring also included a study of twelve issues covered in the weekly newspaper Kviris Palitra (Week's Palette). Ten of them published 45 articles about the topics of the research: court proceedings (13 articles), criminal cases (29 articles), criminal investigations and penitentiaries (3 articles).

Headings of the Articles

The tone of the headings was in general neutral or negative. There was only one article with a positive title: 'I will be happy if the boys are exonerated.' (Issue #29, p. 8).

Space allocation per subject

Analysis of the space allocation per subject revealed that relevant articles mostly focused their attention on the detainees, the accused, the defendants, the penitentiaries, the convicts, the courts⁴ and the Ministry of Internal Affairs (see Table #1).

Table #1: Space allocation per subject in Kviris Palitra (Week's Palette)⁵.

Subject	Allocated space (cm ²)
Detainees, accused, defendants	1417
Penitentiaries	568
Convicts	527
Court	440
Ministry of Internal Affairs	370
Authorities	317
Prosecutor's Office	264
Police	226
President	206
Vano Merabishvili	201
Law enforcement units	174
Investigators	171


Space allocation per subject according to tone

Analysis of the space allocation according to tone revealed an interesting pattern with only two subjects - the convict and the police - being mentioned in a very positive way. This happened in a space of only 2 and 6cm² (see Diagram #1). Only a few subjects were mentioned positively. Among them the biggest space was allocated to detainees and convicts.

⁴ Court data includes information about the courts of all instances.

⁵ Page size in Kviris Palitra (Week's Palette) is 1,031cm².

Diagram #1: Space allocation per subject according to tone (Kviris Palitra (Week's Palette), cm²).



CONCLUSION

On the basis of the quantitative and qualitative data collected during the study, the monitoring team have reached the following conclusions:

The most obvious difference between the TV channels Imedi and Maestro during the monitoring period concerned the fact that Maestro aired significantly more relevant reports compared to Imedi (Maestro: 116 reports, duration 5 hours and 48 minutes, Imedi: 72 reports, duration 3 hours and 34 minutes).

62 of 72 reports broadcast by the Imedi channel about the study issues were dedicated to criminal cases (3 hours and 14 minutes). Only 8 of them touched the topic of court proceedings (18 minutes and 27 seconds), and 2 reported on penitentiaries (1 minute and 37 seconds). Most of the time (1 hour and 10 minutes), reports focused on the detainees and the accused. None of the other topics were covered for more than 6 minutes and 10 seconds. None of the following subjects - the prosecutor, Vano Merabishvili, the government, the public defender - were mentioned in the reports either.

During reports on the subjects, a positive tone was very rarely used by the news and weekend analytical programs of any of the three channels (Public Broadcaster, Imedi, Maestro) or the newspaper. Only two subjects - the convict (2cm²) and the police

(6cm²) - were mentioned in a very positive way by Kviris Palitra (Week's Palette). A positive tone was used towards only a few subjects.

Most of the space was allocated to the detainees and the accused (300cm²) and the convicts (80cm²). Maestro reported very positively only twice: in reporting on the courts (20 seconds) and the detainees, the accused and the defendant (24 seconds). Imedi made use of a very positive tone only once, when mentioning the law enforcement units (8 seconds).

The newspaper presented almost no positive headings except in one case: the article entitled 'I will be happy if the boys are exonerated.' (Issue #29, p. 8)

All three channels frequently aired reports where neither authors nor correspondents specified who or what they were talking about. Quite often it was only the general context that made it possible to guess who or what they were specifically referring to. In fact, it was the report itself that incited the viewers to form a positive or negative or sometimes even a wrong impression about the subject. In addition, the monitoring team recorded cases when the same subjects were identified with different last names on different channels.

Very often reports presented only one side of the story. This was especially evident in the case of court proceedings, where the side of the accused was presented as the only source of information.

სამოქალაქო საზოგადოებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხების გაშუქება

თემურ ჯალიაშვილი
ლალი მალვაშვილი

შესავალი

2011 წლის 30 მაისიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში *სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა* ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების საქმიანობის ბეჭდურ მედიაში გაშუქების მონიტორინგი ჩაატარა. კვლევა მოიცავდა საქართველოს სამ რეგიონში: აჭარის ა/რ-ში, სამეგრელოსა და გურიაში გამოცემული გაზეთების შესწავლას, რისთვისაც 9 ადგილობრივი გამოცემა შეირჩა: ოთხი გაზეთი აჭარის ა/რ-დან („ჩემი ქობულეთი“, „აჭარა PS“, „ბათუმელები“, „აჭარა“), ორი გურიიდან („გურია ნიუსი“ და „გურიის მოამბე“) და სამი სამეგრელოდან („ზუგდიდი“, „ეგრისის მაცნე“, „კოლხური ვერსია“).

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და თვითმმართველობის საკითხების შესახებ გამოქვეყნებული მასალის მონიტორინგი და არსებული აქტივობებისა და ინიციატივების პრესის მიერ გაშუქების ანალიზი. მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემები საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებსა და ჟურნალისტებს აძლევს საშუალებას, მოახდინონ დღეს არსებული მდგომარეობის გააზრება.

კვლევა ჩატარდა *ევროკავშირის* მიერ დაფინანსებული *გაეროს განვითარების პროგრამის* მედიის მონიტორინგის პროექტის ფარგლებში.

მეთოდოლოგია

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების საქმიანობის ბეჭდურ მედიაში გაშუქების მონიტორინგი სამ ეტაპს აერთიანებდა:

- პირველი ეტაპი: 2011 წლის 30 მაისი - 3 ივლისი
- მეორე ეტაპი: 2011 წლის 18 ივლისი - 3 სექტემბერი
- მესამე ეტაპი: 2011 წლის 10 ნოემბერი - 31 დეკემბერი.

ბეჭდური გამოცემების შერჩევის კრიტერიუმად განისაზღვრა ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: გამოცემის გავრცელების მასშტაბი, ხელმისაწვდომობის ხარისხი და ფასი. ასევე მოხდა ადგილობრივი მედიის ცენტრალურთან შედარებით მაღალი გავლენის ხარისხის გათვალისწინებაც, რაც გამოწვეულია მისი მხრიდან ადგილობრივი საკითხების მიმართ მეტი დაინტერესებით. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ შერჩეული გამოცემების ნაწილის გავრცელების არეალი სცილდება რეგიონულ და კონკრეტული მუნიციპალიტეტის მასშტაბს.

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ჯგუფმა კვლევისას გამოიყენა მონიტორინგის ის ინსტრუმენტები, რომლებიც მას მედიის მონიტორინგის პროექტის ფარგლებში გაუზიარეს.

მონიტორინგის თემატიკა განისაზღვრა სამი საკითხით:

- სამოქალაქო ჯგუფების აქტივობა (მოქალაქეები და არაფორმალური საინიციატივო ჯგუფები);
- საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა (არასამთავრობო ორგანიზაციები);
- ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობა.

შესაბამისად, კვლევის **სუბიექტებად** შეირჩნენ:

- სამოქალაქო ჯგუფების წარმომადგენლები (მოქალაქეები და არაფორმალური საინიციატივო ჯგუფები);
- საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები (არასამთავრობო ორგანიზაციები);
- თვითმმართველობის წარმომადგენლები.

პრესის შესწავლისას მონიტორინგის ჯგუფმა რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის მეთოდები გამოიყენა. რაოდენობრივი ანალიზი მოიცავდა თვითმმართველობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ გამოქვეყნებული მასალის რაოდენობისა და მისთვის დათმობილი ფართობის დათვლას. თვისებრივი კომპონენტი შეისწავლიდა სტატიების ტონს (ნეიტრალური, პოზიტიური, ნეგატიური ტონი), კვლევის სუბიექტებისა და მათი წარმომადგენლების საქმიანობის შეფასებას, მოცემული ინფორმაციის მიკერძოებულობასა და იმას, თუ რამდენად ჰქონდა მას სარეკლამო ხასიათი.

ინფორმაციის შვებრთვება/დამუშავება

მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის წევრები კვლევის პერიოდში დააკვირდნენ ზემოთ ჩამოთვლილი თემების შესახებ შემდეგ რუბრიკებში გამოქვეყნებულ ყველა პუბლიკაციას (ინტერვიუ, ანალიზი, რეპორტაჟი, ახალი ამბავი, ჟურნალისტური გამოძიება):

- ახალი ამბავი;
- საზოგადოება;
- პოლიტიკა;
- ეკონომიკა;
- კულტურა;
- სპორტი.

ყოველი სტატიის განხილვის შემდეგ კვლევის მონაწილეები ავსებდნენ სპეციალურ ანკეტას და შედეგების შეტანა ხდებოდა პროგრამა Microsoft Excel-ში შექმნილ ელექტრონულ ბაზაში.

კვლევის ძირითადი შედეგები

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის პირველი ორი ეტაპის განმავლობაში (2011 წლის 30 მაისი - 3 სექტემბერი) შესწავლილ იქნა ცხრა რეგიონული გაზეთის 69 ნომერი. გაზეთების ჯამურმა ფართობმა 5,377,826 სმ² შეადგინა. კვლევის თემატიკის რელევანტური სტატიების რაოდენობა იყო 365, მათი ჯამური ფართობი კი 119,137 სმ², ანუ შესწავლილი გაზეთების ფართობის 2.22%.

ცხრილი #1: შესწავლილი სტატიების რაოდენობა გაზეთების მიხედვით (2011 წლის 30 მაისი - 3 სექტემბერი).

#	გამოცემის სახელწოდება	სტატიების რაოდენობა
1	„გურია ნიუსი“	109
2	„გურიის მოამბე“	61
3	„აჭარა“	98
4	„ბათუმელები“	63
5	„ჩემი ქობულეთი“	5
6	„აჭარა PS“	4
7	„ეგრისის მაცნე“	9
8	„ზუგდიდი“	7
9	„კოლხური ვერსია“	9
ჯამი		365


კვლევის თემატიკა

გამოკვლეული 365 სტატიის ჯამური ფართობიდან თვითმმართველობის საქმიანობას 63%, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობას 30%, სამოქალაქო ჯგუფების ინიციატივებს კი 7% დაეთმო.

კვლევის მესამე ეტაპზე (2011 წლის 10 ნოემბერი - 31 დეკემბერი) რელევანტური სტატიების ჯამურმა ფართობმა 27,559 სმ² შეადგინა. სტატიების ჯამური ფართობიდან თვითმმართველობის საქმიანობას 73%, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს 24%, სამოქალაქო ჯგუფების ინიციატივებს კი 3% დაეთმო (იხ. გრაფიკი #2).


მონიტორინგის სამივე ეტაპზე თემატიკის მიხედვით პუბლიკაციები ასე გადანაწილდა (იხ. გრაფიკი #1):

გრაფიკი #1: შესწავლილი პუბლიკაციების განაწილება თემატიკის მიხედვით (სმ², %, 2011 წლის 30 მაისი - 31 დეკემბერი).



შემდეგი სახე ჰქონდა გაზეთების მიხედვით თემების განაწილებას:

გრაფიკი #2: შესწავლილი პუბლიკაციების თემატიკის განაწილება გაზეთების მიხედვით (სმ², 2011 წლის 10 ნოემბერი - 31 დეკემბერი).



სუბიექტების მიმართ გამოყენებული ტონი


თვითმმართველობის საქმიანობა

კვლევის პირველი ორი პერიოდის განმავლობაში თვითმმართველობისა და მისი წარმომადგენლების საქმიანობისთვის ტონის მიხედვით დათმობილი ფართობის ყველაზე დიდი ნაწილი ნეიტრალურ ტონს უჭირავს (63%), ყველაზე ნაკლები პოზიტიურს (15%). ნეგატიური ტონი კი გამოყენებული იყო ფართობის 22%-ის შემთხვევაში.

კვლევის მესამე ეტაპზე დათმობილი ფართობის მიხედვით ყველაზე დიდი წილი კვლავ ნეიტრალურ ტონზე მოდიოდა (53%), პოზიტიური (23%) და ნეგატიური ტონი (24%) კი თითქმის თანაბრად იყო გამოყენებული.


სამივე პერიოდის განმავლობაში კი ასეთი სურათი გვაქვს: ნეიტრალური ტონი - 67%, პოზიტიური - 17%, ნეგატიური - 16%.

გრაფიკი #3: თვითმმართველობის გაშუქება ტონის მიხედვით (% 2011 წლის 30 მაისი - 31 დეკემბერი).




თვითმმართველობისა და მისი წარმომადგენლების საქმიანობის გაშუქების ტონისა და ფართობის განაწილება გაზეთების მიხედვით ქვემოთ მოყვანილ გრაფიკებშია მოცემული.


გრაფიკი #4: თვითმმართველობისთვის გაზეთებში დათმობილი ადგილი ფართობის მიხედვით (სმ2, 2011 წლის 30 მაისი - 31 დეკემბერი).



გრაფიკი #5.1: თვითმმართველობის გაშუქება ტონის მიხედვით (სმ2, 2011 წლის 30 მაისი - 3 სექტემბერი).



გრაფიკი #5.2: თვითმმართველობის გაშუქება ტონის მიხედვით (სმ2, 2011 წლის 10 ნოემბერი - 31 დეკემბერი).




საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა

მონიტორინგის პირველ და მეორე პერიოდში ბეჭდურ მედიაში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მათი წარმომადგენლების საქმიანობის მიმართ გამოყენებული ტონი ფართობის მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: ყველაზე დიდი ადგილი პოზიტიური ტონით გაშუქებულ მასალას დაეთმო (58%). მას მოსდევდა ნეიტრალური ტონი (39%), ნეგატიურად კი სუბიექტი მხოლოდ ფართობის 3%-ზე შეფასდა.


მონიტორინგის პირველი და მეორე ეტაპისგან განსხვავებით მესამე ეტაპზე ბეჭდურ მედიაში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მათი წარმომადგენლების საქმიანობის მიმართ გამოყენებული ტონის ფართობის მიხედვით გადანაწილებისას ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ნეიტრალური ტონით მასალის გაშუქებას ჰქონდა (67%). მას მოსდევდა პოზიტიური (18%) და ნეგატიური ტონი (15%).

სამივე პერიოდის განმავლობაში კი ასეთი სურათი გვაქვს: ნეიტრალური ტონი - 53%, პოზიტიური - 40%, ნეგატიური - 7%.


გრაფიკი #6: საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის გაშუქება ტონის მიხედვით (% 2011 წლის 30 მაისი - 31 დეკემბერი).




გრაფიკი #7: საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობისთვის გაზეთებში დათმობილი ადგილი ფართობის მიხედვით (სმ², 2011 წლის 30 მაისი - 31 დეკემბერი).



გრაფიკი #8.1: საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის გაშუქება ტონის მიხედვით (სმ², 2011 წლის 30 მაისი - 3 სექტემბერი).



გრაფიკი #8.2: საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის გაშუქება ტონის მიხედვით (სმ2, 2011 წლის 10 ნოემბერი - 31 დეკემბერი).



რაც შეეხება სამოქალაქო ჯგუფების ინიციატივებს: როგორც ზემოთ მოყვანილ გრაფიკშიც გამოჩნდა (გრაფიკი #1) მათ მონიტორინგის პირველი და მეორე ეტაპის დროს საკმაოდ მოკრძალებული ფართობი დაეთმო (5%). იმის გამო, რომ ამ საკითხზე შედარებით სრული სურათის მისაღებად უფრო ხანგრძლივი კვლევაა საჭირო, მისი გავრცობა არსებული მასალის საფუძველზე მიზანშეწონილად არ ჩავთვალეთ.

დასკვნა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ ჩატარებული მონიტორინგის მიზანი იყო თვითმმართველობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტივობების გაშუქების სამი რეგიონის ცხრა გაზეთის მაგალითზე შესწავლა და იმის გარკვევა, თუ როგორ და რა სიხშირით აშუქებდა რეგიონული ბეჭდვითი მედია მათთან დაკავშირებულ საკითხებს. ამასთან, მონიტორინგის მიზანს არ წარმოადგენდა გაზეთებში გამოქვეყნებულ სტატიებში არსებული ეთიკური ნორმებისა და პროფესიული დონის განსაზღვრა და შეფასება.

მართალია, კვლევის დასრულების შემდეგ რამდენიმე ზოგადი ტენდენცია გამოიკვეთა, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ მონიტორინგის მესამე ეტაპზე სამივე სექტორის აქტივობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და მედიამაც უფრო ინტენსიურად დაიწყო მათი გაშუქება. ნოემბერ-დეკემბრის პერიოდში მოქალაქეები უფრო მეტად შეეცადნენ რეგიონისა თუ ქალაქის მართვაში ჩართვას და არსებული პრობლემების ხელისუფლებასთან ერთად მოგვარებას. უფრო

ინტენსიური გახდა ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაც (საბიუჯეტო პროცესები, საკადრო ცვლილებები, წინასაარჩევნო პოლიტიკა), თუმცა გაიზარდა მოსახლეობისა და მედიის მხრიდან მის მიმართ კრიტიკაც. საზოგადოებრივი ორგანიზაციები გააქტიურდნენ ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მონიტორინგის, ეკოლოგიური და სოციალური საკითხებისადმი მეტი ყურადღების დათმობის თვალსაზრისით. სამოქალაქო სექტორის გააქტიურება კი მნიშვნელოვნად იყო განპირობებული ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ არენაზე გამოჩენით.

სამივე ეტაპზე გამოვლინდა რამდენიმე ზოგადი ტენდენცია:

1. მონიტორინგისთვის შერჩეული გაზეთებიდან სტაბილური რეგულარობით გამოიცემოდა მხოლოდ „ბათუმელები“, „გურია ნიუსი“, „გურიის მოამბე“ და „აჭარა“. დანარჩენი გამოცემების პერიოდულობა ხშირად იყო დარღვეული, რისი მიზეზიც სავარაუდოდ, ფინანსურ ან მენეჯმენტთან დაკავშირებულ პრობლემებში უნდა ვეძებოთ. შესაბამისად, არარეგულარული პერიოდულობა ამცირებს ამ გაზეთების გავლენას საზოგადოებრივ აზრზე.
2. სტატიები თვითმმართველობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ გამოქვეყნდა ყველა შერჩეულ გაზეთში, თუმცა განსხვავებული იყო როგორც მათი რაოდენობა, ისე მოცულობა და გამოყენებული ტონი. მაგ. საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან მიმართებაში კვლევის პირველ ორ ეტაპზე დომინირებდა პოზიტიური (58%) და ნეიტრალური (38%) ტონი მაშინ, როცა თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა ძირითადად ნეიტრალური (63%) ან უარყოფითი (22%) ტონით იყო შეფასებული. განსხვავებული იყო მდგომარეობა მესამე ეტაპზე. საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა (67%) და თვითმმართველობის (53%) საქმიანობა უმეტესად ნეიტრალურად შეფასდა.
3. გამოცემებში ხშირია ამა თუ იმ პირის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული სირთულეები. რიგ შემთხვევებში პიროვნებები მოიხსენიებიან მხოლოდ სახელით ან მხოლოდ გვარით, სხვადასხვა სტატუსით. ამ საკითხმა კვლევის ჩატარების პროცესში გარკვეული სირთულე შეუქმნა მონიტორინგის ჯგუფს და სავარაუდოდ პრობლემას უქმნის მკითხველსაც.
4. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე იქმნება შთაბეჭდილება, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა უფრო ფართოდ და დადებით კონტექსტში შუქდება. თუმცა, ზოგიერთ სტატიაში გამოქვეყნებული დაფინანსებული ჩანართები სარეკლამო ხასიათისაა.

5. რეგიონულ პრესაში თვითმმართველობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ გამოქვეყნებული მასალის ნაწილს ანგარიშის სახე აქვს (საკრებულოს სხდომის დადგენილებები, პრეზენტაციების ან რაიმე სხვა ღონისძიებების პრეს-რელიზები). ეს, ერთი მხრივ, საჭირო და კარგია, თუმცა მეორე მხრივ, ანალიტიკური და განმარტებითი ხასიათის მასალების ნაკლებობა არ უწყობს ხელს საზოგადოების სამოქალაქო აქტივობისა და დემოკრატიულ პროცესებში ჩართულობის ზრდას. საზოგადოებისათვის საინტერესო იქნებოდა ისიც, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს კონკრეტულ დადგენილებებსა და ღონისძიებებს მოქალაქეებსა და მათ ცხოვრებაზე.



REPORTING ABOUT CIVIL SOCIETY AND LOCAL SELF-GOVERNMENT IN PRINT MEDIA

Temur Jaliashvili
Lali Shalvashvili

INTRODUCTION

The Civil Society Institute conducted monitoring of reporting about the activities of representatives of public organizations and local self-government in print media. The survey took place between May 30 and December 31, 2011, and covered investigation of articles of the local newspapers from three regions of Georgia: Autonomous Republic of Adjara, Samegrelo and Guria. The monitoring group selected nine newspapers for the study, four from Adjara (Chemi Kobuleti (My Kobuleti), Adjara PS, Batumelebi and Adjara), two from Guria (Guria News and Moambe from Guria) and three from Samegrelo (Zugdidi, Egrisi Herald, Kolkhuri Versia (Kolkhetian Version)).

According to the Civil Society Institute it is very important to monitor publications which present information about public organisations and the local self-government and analyze the way of coverage of the existing activities and initiatives. The data that was retrieved as a result of the monitoring allows representatives of public organizations and local self-government as well as journalists to rethink the existing situation.

This research was carried out as part of a UNDP project, Development of Media Monitoring Capacities in Georgia, with funding provided by the European Union.

METHODOLOGY

The Civil Society Institute conducted the monitoring of reporting about public organizations and local self-government in the print media in three phases:

- Phase one: May 30 – July 3, 2011
- Phase two: July 18 – September 3, 2011
- Phase three: November 10 – December 31, 2011.

The criteria for selection of the print media focused on the following factors: scale of distribution, availability of the newspapers and price. The monitoring team also considered a higher rate of influence of the regional newspapers resulting from a deeper interest towards local issues. It has to be mentioned that the distribution area of the selected newspapers partially exceeds regional and municipal borders.

During the research, the Civil Society Institute used the monitoring instruments that were shared in the media monitoring project.

The themes of the monitoring concentrated on three topics:

- Activities of civil groups (citizens and non-formal initiative groups);
- Activities of public organizations (NGOs);
- Activities of local self-governments.

The following persons and groups were selected as the **subjects** of the study:

- Representatives of civil groups (citizens and non-formal initiative groups);
- Representatives of public organizations (NGOs);
- Representatives of local self-governments.

The process of monitoring was carried out with the use of quantitative and qualitative methods of analysis. The quantitative analysis covered the allocated area and number of printed pieces concerning public organizations and local self-government. The qualitative component studied the tone of the articles (neutral, positive, negative), an assessment of the activities of research subjects and their representatives, partial reporting and the use of advertising campaigns.

Collection and Processing of Information

Members of the monitoring team closely studied every publication (interview, analysis, report, news, journalistic investigation) in relation to the above topics:

- News;
- Society;
- Politics;

- Economy;
- Culture;
- Sports.

After discussion of every article, participants in the survey filled out a special questionnaire and transferred results of the survey to a Microsoft Excel database.

PRINCIPAL FINDINGS

During the first two phases of the research (May 30 – September 3, 2011), the Civil Society Institute studied 69 issues of nine different newspapers. The total area of the newspapers was 5,377,826 sq.cm. The number of relevant articles was 365 and they covered an area of 119,137.4 sq.cm: 2.22% of the area of studied newspapers.

Table #1: Number of Studied Articles by Newspaper (May 30 – September 3, 2011).

#	Name of the Newspaper	Number of Articles
1	Guria News	109
2	Moambe from Guria	61
3	Adjara	98
4	Batumelebi	63
5	Chemi Kobuleti (My Kobuleti)	5
6	Adjara PS	4
7	Egrisi Herald	9
8	Zugdidi	7
9	Kolkhuri Versia (Kolkhetian Version)	9
Total		365


Research Topics

63% of the total area of 365 articles was allocated to reporting about the local self-government, 30% to the activities of civil society organizations and 7% to the initiatives of civil groups (see Diagram #1).

During the third phase of monitoring (November 10 – December 31, 2011), the total area of relevant articles came to 27,559 sq.cm. Of this total area, 73% was allocated to the activities of self-government, 24% to civil society organizations and 3% to initiatives of civil groups (see Diagram #2).


Topic distribution during all three periods of monitoring appears as follows (see Diagram #1):

Diagram #1: Distribution of Studied Publications by Topic
(sq.cm, %, May 30 – December 31, 2011)



An analysis of distribution of themes by newspaper produced the following results:

Diagram #2: Distribution of Themes by Newspaper (sq.cm, November 10 – December 31, 2011)



Tone of Reporting


Activities of Self-Government

During the first two phases of the research, the activities of representatives of local self-government were mostly assessed in a neutral tone (63%). A positive tone was used in only 15% of the cases. Negative coverage comprised 22% of the area.

During the third phase, the largest share once again belonged to 'neutral tone' (53%). Positive (23%) and negative (24%) ways of coverage were used to almost the same extent.

An analysis of all three periods revealed the following results: neutral tone - 67%, positive - 17%, negative - 16%.

Diagram #3: Reporting about Local Self-Government by Tone (% , May 30 – December 31, 2011)



Coverage distribution of the activities of the local self-government according to the applied tone and area per newspaper is given in the following diagrams.

Diagram #4: Reporting about Local Self-Government by Area (sq.cm, May 30 – December 31, 2011)




Diagram #5.1: Reporting about Local Self-Government by Tone
(sq.cm, May 30 – September 3, 2011)





Diagram #5.2: Reporting about Local Self-Government by Tone
(sq.cm, November 10 – December 31, 2011)



Activities of Public Organizations

Tone distribution of reporting about activities of public organizations and their representatives during the first two periods resulted in the following data: the biggest area was allocated to materials with a positive tone (58%). This was followed by neutral (39%) and negative assessments (3%).

In contrast to the first and the second phases, the third period revealed the highest amount of neutral reporting about activities and representatives of civil society organizations (67%). A positive tone was used in 18% and a negative tone in 15% of the cases.

An analysis of all three periods revealed the following results: neutral tone - 53%, positive - 40%, negative - 7%.

Diagram #6: Reporting about Public Organizations by Tone (% , May 30 – December 31, 2011)




Diagram #7: Reporting about Public Organizations by Area (sq.cm, May 30 – December 31, 2011)




Diagram #8.1: Reporting about Public Organizations by Tone
(sq.cm, May 30 – September 3, 2011)





Diagram #8.2: Reporting about Public Organizations by Tone
(sq.cm, November 10 – December 31, 2011)



An analysis of civil group initiatives revealed (Diagram #1) that journalists paid quite modest attention to this topic during the first two periods of monitoring (5%). Given the fact that the establishment of a more complete picture of the issue needs further research, the monitoring group considered it to be more advisable not to draw any conclusions based on the results so far available.

CONCLUSION

The goal of the media monitoring carried out by the Civil Society Institute was to study the coverage of activities of local self-governments, civil society and public organizations in nine newspapers from three regions of Georgia. The research concentrated on the frequency and style of reporting about the issues of interest in the regional media. It did not aim to define the presented ethical norms or assess the professionalism of the journalists.

Despite the revealed general trends, which became obvious after completion of the monitoring process, it can be said that, in contrast to the first two periods, the third phase was marked by a significant increase in the activity of all three sectors resulting in more intense reporting from the media. In November-December 2011, citizens tried to get more involved in the activities of regional and urban administrations and to contribute to the solving of problems along with the authorities. The work of the local self-governments became more intense (budget planning, HR recruitment, pre-election policy) but their increased activity was followed by enhanced criticism from the population and the media. Public organizations became involved in the monitoring of local and central governments and in environmental and social issues. This increased interest of the civil sector was hugely influenced by Bidzina Ivanishvili's appearance on the Georgian political scene.

All three phases of the monitoring process shared several general trends:

1. Of the nine selected newspapers, Batumelebi, Guria News, Moambe from Guria and Adjara are the only ones that are published on a regular basis. The printing of the other newspapers happens with impediments that are apparently connected to financial and managerial problems. Correspondingly, irregular publishing decreases the influence of these newspapers on public opinion.
2. All selected newspapers contained articles about the activities of local self-governments and public organizations. However, the number as well as the volume and tone of those differed from case to case. For example, during the first two phases, public organizations were assessed in a positive (58%) or neutral (38%) way compared to the activities of the local self-governments, which were mainly described with a neutral (63%) or negative (22%) tone. The situation was different during phase three when activities of the public organizations (67%) and local self-governments (53%) were covered mostly in a neutral tone.

3. The newspapers demonstrated frequent difficulties in identifying the persons. In some cases, articles mentioned only the names or the surnames and indicated different status. During the monitoring process, the issue presented an obstacle to the research group and presumably creates problems for the readers as well.
4. Based on the results of the survey, one may get the impression that activities of public organizations are discussed in a wider and a more positive context compared to other topics, but it has to be said that in reality some of the articles' content is of an advertising nature.
5. Part of the regional print media materials concerning local self-government and public organizations is published in the form of a report (resolutions from sessions of local self-government bodies, presentations or press releases of different events). On the one hand this is a good and necessary practice, but on the other hand the limited number and the lack of analytical and explanatory materials do not contribute to the increase of civil activities and better involvement of society in democratic processes. It would be interesting for the public to be aware of the impact of a specific resolution or event on citizens and their lives.



მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში

ალეკო ცქიტიშვილი
სალომე აჩბა
შორენა ლათათია
თეა თოფურია

HRC

შესავალი

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ 2011 წლის 30 მაისიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში ჩატარებული კვლევის ფარგლებში განხორციელდა ქართულ მედიაში მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების მონიტორინგი. ინფორმაცია მოგროვდა არჩეული თემისათვის დათმობილი სივრცისა და დროის, სუბიექტების გაშუქების ტონის, ტიპის, გეოგრაფიის, წყაროების, მიკერძოებულობის, არაეთიკური ლექსიკის მიხედვით.

მედია მონიტორინგისთვის შეირჩა შემდეგი მედიის საშუალებები: გაზეთები „ალია“, „რეზონანსი“, „ახალი თაობა“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“ (20:00 სთ).

კვლევა ჩატარდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული გაეროს განვითარების პროგრამის მედიის მონიტორინგის პროექტის ფარგლებში.

მეთოდოლოგია

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების მონიტორინგი სამ ეტაპს აერთიანებდა:

- პირველი ეტაპი: 2011 წლის 30 მაისი - 3 ივლისი
- მეორე ეტაპი: 2011 წლის 18 ივლისი - 4 სექტემბერი
- მესამე ეტაპი: 2011 წლის 10 ნოემბერი - 31 დეკემბერი.

ქართულ მედიაში მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების ანალიზი რაოდენობრივი და თვისებრივი კომპონენტების გამოყენებით ჩატარდა. რაოდენობრივი მონაცემები მოიცავდა ინფორმაციას სივრცისა და დროის, ტონის, გაშუქების ტიპის (პირდაპირი/ირიბი), თემატიკისა და გეოგრაფიის (რეგიონის) შესახებ. თვისებრივი კვლევა აერთიანებდა ინფორმაციას ბალანსის (წყაროთა რაოდენობა), ობიექტურობა/მიუკერძოებლობის, ფაქტებზე დაყრდნობით ინფორმაციის გაშუქებისა და არაეთიკური ეპითეტების გამოყენების შესახებ.

მედიის საშუალებების შერჩევისას ყურადღება გამახვილდა ისეთ კრიტერიუმებზე როგორებიცაა:

- დაფარვის ზონა: „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მსგავსად, შერჩეული გაზეთების დაფარვის ზონა მთელ საქართველოს მოიცავს;
- შერჩეული მედიასაშუალებების დაინტერესება და შედარებით მეტი კონცენტრირება მართლმსაჯულების თემაზე;
- პასუხისმგებლობა: „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ საზოგადოების ინფორმირების თვალსაზრისით კერძო ტელევიზიებთან შედარებით მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება. სწორედ ამ მიზეზით, მონიტორინგისთვის მედიასაშუალებების შერჩევისას, კერძო ტელევიზიებსა და „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ შორის არჩევანი ამ უკანასკნელზე შეჩერდა.

მართლმსაჯულების თემაზე ჩატარებული მედიის მონიტორინგის ქვეთემებად შეირჩა:

- სასამართლო;
- გამოძიება (საქმეები, რომლებიც გამოძიების ეტაპზეა და რომელთა განხილვაც სასამართლოში ჯერ არ მომხდარა);

- პატიმრების უფლებები და სასჯელაღსრულების დანესებულებები;
- გამოუძიებელი ფაქტები (მასალები, რომლებიც არ ეყრდნობა ოფიციალურ, გამოძიების, პროკურატურის ან რომელიმე უწყების ხელთ არსებულ ინფორმაციას).


მონიტორინგის განმავლობაში ყველაზე ხშირად შემდეგი სუბიექტები გაშუქდა:

- ბრალდებული;
- პატიმარი;
- ძეზნილი;
- დაზარალებული/მსხვერპლი;
- მონმე/თვითმხილველი;
- შსს;
- საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო;
- საპატიმროების ადმინისტრაცია;
- პროკურატურა;
- სასამართლო;
- ნაფიცი მსაჯულები;
- ადვოკატი;
- სახალხო დამცველი;
- უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები;
- საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიები;
- ხელისუფლება (მმართველი გუნდი);
- პრეზიდენტი;
- ექსპერტები.

კვლევის ძირითადი შედეგები


მედიის მონიტორინგის პირველ მონაკვეთში (2011 წლის 30 მაისი - 3 ივლისი) გაანალიზდა 43 სიუჟეტი და 183 სტატია. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული სიუჟეტების საერთო დრომ შეადგინა 9,640 წამი, ანუ დაახლოებით 2 საათი და 40 წუთი, ხოლო შერჩეული გაზეთების („ალია“, „რეზონანსი“, „ახალი თაობა“) სტატიების საერთო ფართობმა - 43,927 სმ². რაოდენობრივად ყველაზე მეტი სტატია „ალიაში“ დაიბეჭდა (საერთო ფართობის 45%), „ახალ თაობასა“ და „რეზონანსში“ კი გამოქვეყნებული მასალების მოცულობა თითქმის თანაბარი იყო.

გრაფიკი #1: სტატიების ფართობის პროცენტული განაწილება გაზეთების მიხედვით (2011 წლის 30 მაისი - 3 ივლისი).



მედიის მონიტორინგის მეორე მონაკვეთში (2011 წლის 18 ივლისი - 4 სექტემბერი) მოხდა 44 სიუჟეტისა და 230 სტატიის გაანალიზება. სიუჟეტების საერთო დრო 2 საათი და 36 წუთი შეადგინა, სტატიების საერთო ფართობმა კი - 58,661 სმ². ბეჭდურ მედიაში გამოქვეყნებული სტატიების ფართობის პროცენტული განაწილების ანალიზმა აჩვენა, რომ კვლევის თემატიკისადმი მიძღვნილ სტატიებს ყველაზე დიდი ფართობი გაზეთ „ახალ თაობაში“ დაეთმო (საერთო ფართობის 41%). მას მოსდევდა „რეზონანსი“ (საერთო ფართობის 30%) და „ალია“ (საერთო ფართობის 29%).

გრაფიკი #2: სტატიების ფართობის პროცენტული განაწილება გაზეთების მიხედვით (2011 წლის 18 ივლისი - 4 სექტემბერი).



რაც შეეხება **მესამე პერიოდის (2011 წლის 10 ნოემბერი - 31 დეკემბერი)** მონიტორინგის შედეგებს: შერჩეული მედიასაშუალებებიდან ჯამში გაანალიზდა 57 სიუჟეტი და 103 სტატია. სიუჟეტების საერთო დრომ შეადგინა 3 საათი და 36 წუთი, ხოლო სტატიების საერთო ფართობმა - 22,697 სმ².

მონიტორინგის ამ მონაკვეთში, მართლმსაჯულებასთან დაკავშირებულ სტატიებს ყველაზე დიდი ფართობი „ალიაში“ დაეთმო - საერთო ფართობის 22,697 სმ² (58%), „ახალ თაობაში“ საკვლევი თემისადმი მიძღვნილმა მასალებმა საერთო ფართობის 22,697 სმ² (31 %) მოიცვა, „რეზონანსში“ კი - საერთო ფართობის 12,382 სმ² (11%).

რაოდენობრივი მონაცემები

სტატიებისა და სიუჟეტების თემატიკა

მონიტორინგის პირველ პერიოდში ყველა მედიასაშუალება ყველაზე ხშირად გამოძიების ეტაპზე არსებულ მასალებს მიმოიხილავდა. „რეზონანსში“ გამოძიებასთან ერთად (საერთო ფართობის 52%) აქტიურად შუქდებოდა პატიმრების უფლებები (საერთო ფართობის 39%). „ალიაში“, მართლმსაჯულებისადმი მიძღვნილი მასალების საერთო ფართობის 73% გამოძიების ეტაპს, 15% პატიმრების უფლებებს, 12% კი სასამართლოსთან დაკავშირებულ სტატიებს დაეთმო. „ახალ თაობაში“ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული სტატიების საერთო ფართობის 50% გამოძიების ეტაპს დაეთმო, 32% პატიმრების უფლებებს, სასამართლოს კი - 18%. „მოამბეში“ მართლმსაჯულებისადმი მიძღვნილი სიუჟეტების საერთო დროის (2

საათი და 40 წუთი) 92% გამოძიების ეტაპს დაეთმო, დანარჩენი 8% კი სასამართლოს გაშუქებას.

18 ივლისიდან 4 სექტემბრამდე პერიოდის მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ შერჩეული მედიის საშუალებები მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული თემებიდან უმეტესად, კვლავაც გამოძიების ეტაპს აშუქებდნენ. გამოწვევის ნარმოადგენდა „ახალი თაობა“, სადაც გამოძიების პარალელურად სასამართლო პროცესებიც აქტიურად მიმდინარეობდა. ამ პერიოდში იშვიათი იყო სასჯელაღსრულების დაწესებულებებთან და პატიმრების უფლებებთან დაკავშირებული მასალების ტირაჟირება. შვიდკვირიანი მონიტორინგის განმავლობაში არც ერთ მედიასაშუალებაში არ ყოფილა ნარმოადგენილი საგამოძიებო ჟურნალისტიკის მასალები. გაზეთები „ახალი თაობა“ და „ალია“ ინტენსიურად აშუქებდნენ გამოუძიებელ ფაქტებსაც, ანუ ისეთ მასალას, რომელიც არ ეყრდნობოდა ოფიციალური სტრუქტურების, პროკურატურისა და საგამოძიებო ორგანოების ინფორმაციას.

მონიტორინგის 10 ნოემბრიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში „მოამბეში“ მართლმსაჯულების შესახებ გასულ სიუჟეტებში პოლიტიკასთან დაკავშირებული თემების განხილვამ იკლო. ამის სავარაუდო მიზეზი იყო ის, რომ ამ პერიოდში ქართულ პოლიტიკას მართლმსაჯულებასთან შესახებ ნერტილი არ ჰქონია. გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა შემცირდა გაზეთებშიც, სადაც მათთვის დათმობილმა საერთო ფართობმა 22,697 სმ² შეადგინა. წინა პერიოდებისგან განსხვავებით, გაზეთები გამოძიების ეტაპზე არსებული საქმეების გარდა პატიმრების უფლებებსაც აქტიურად შეეხნენ. კვლავაც დაბალი იყო სასამართლო ეტაპზე არსებული საქმეების განხილვის მაჩვენებელი, თუმცა გამოწვევის ნარმოადგენდა „ახალი თაობა“, სადაც სასამართლოს თემას მთლიანი ფართობის 7,022 სმ² (30%) დაეთმო.

სტატიებისა და სიუჟეტების გეოგრაფია

მართლმსაჯულების თემის გაშუქებისას „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მთავარმა საინფორმაციო გადაცემამ „მოამბე“, ბეჭდურ მედიასთან შედარებით უკეთესად მოახერხა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის მოცვა. თუმცა, ივლისი-სექტემბრის მონაკვეთში გასული სიუჟეტების თითქმის ნახევარი (47%) თბილისში მომხდარ შემთხვევებს ეხებოდა. ეს ტენდენცია მონიტორინგის სამივე პერიოდში შენარჩუნდა. აქვე უნდა ითქვას, რომ მონიტორინგის დროს მოხდა საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული კრიმინალური შემთხვევების შესახებ მომზადებული მხოლოდ ისეთი სიუჟეტებისა და სტატიების გაანალიზება, რომლებიც მეტ-ნაკლებად შეეხებოდა საქართველოს

მოქალაქეებს. უცხოური კრიმინალური ზოგადი ქრონიკა ამჟერად მონიტორინგის ინტერესის საგანს არ წარმოადგენდ.

ბექდური მედიის შესწავლამ აჩვენა, რომ მართლმსაჯულების თემაზე გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიების ძირითადი ნაწილი დედაქალაქში მოპოვებულ მასალებზეა აგებული. რეგიონებიდან ან რეგიონების შესახებ მომზადებული სტატიების რაოდენობა შედარებით მეტია „რეზონანსში“, ნაკლები - „ახალ თაობასა“ და „ალიაში“.

სუბიექტების გაშუქების დრო/სივრცე, ტონი და ტიპი (პირდაპირი/ირიბი)

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მონიტორინგის პირველ და მეორე მონაკვეთში შერჩეულ გაზეთებსა და „მომბეში“ ყველაზე ხშირად გამოძიების ეტაპი შუქდებოდა. შესაბამისად, სუბიექტებიდან ყველაზე მეტი სივრცე და დრო სამივე გაზეთსა და ტელევიზიაშიც ბრალდებულსა და დაკავებულს (ექვმიტანილს) დაეთმო.

სიუჟეტების ტონის მხრივ საინტერესოა, რომ მონიტორინგის პირველ და მეორე პერიოდში „მომბეში“ სუბიექტებიდან ძირითადად დადებითად გაშუქდა: ძალოვანი უწყებები, სასამართლო, მმართველი გუნდი (ნაცმოდრაობა), ადვოკატი. სხვა სუბიექტების შესახებ საუბარი ნეიტრალური ან უარყოფითი ტონით მიმდინარეობდა. ამ მხრივ, ცალკე უნდა გამოიყოს ბრალდებულის, მსჯავრდებულისა და ექვმიტანილის¹ მიმართ გამოყენებული ცალსახად უარყოფითი ტონი. მათ შესახებ მომზადებულ სიუჟეტებში, როგორც წესი, არ იყო საუბარი მათ უფლებებსა და პრობლემებზე. კვლევის მეორე ფაზაში გადაცემაში „მომბე“ სუბიექტები პირდაპირ და ირიბად ძირითადად თანაბრად შუქდებოდნენ. გასაგები მიზეზების გამო, ირიბად შუქდებოდნენ ისეთი სუბიექტები, რომელთაგანაც კომენტარის მოპოვება შეუძლებელი იყო (გაუჩინარებულები და ძებნილები).

მონიტორინგის პირველ და მეორე პერიოდში „რეზონანსი“ და „ახალი თაობა“ სუბიექტებს უმეტესწილად დადებითად და ნეიტრალურად მოიხსენიებდა. „ალია“ უარყოფითად საუბრობდა ხელისუფლებისა და ძალოვანი უწყებების შესახებ. არასაპარლამენტო და საპარლამენტო ოპოზიციის მიმართ უარყოფითი ტონი „ალიას“ არც ერთხელ არ გამოუყენებია.

¹ 2010 წლის თებერვალში სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილების მიხედვით, გამოიყო მხოლოდ ორი ტერმინი: „ბრალდებული“ და „მსჯავრდებული“. ტერმინი „ექვმიტანილი“ კი საერთოდ გაუქმდა. მიუხედავად ამ ცვლილებისა, ჟურნალისტები მაინც ხშირად იყენებენ ხოლმე ტერმინს „ექვმიტანილი“.

მონიტორინგის მესამე მონაკვეთში (2011 წლის 10 ნომბერი - 31 დეკემბერი) „რეზონანსი“, „ალია“ და „ახალი თაობა“ ყველაზე ხშირად ბრალდებულის, პატიმრების, სასამართლოსა და არასაპარლამენტო ოპოზიციის შესახებ წერდნენ. „ახალი თაობა“ და „ალია“ სუბიექტებს, როგორც წესი, ნეიტრალურად მოიხსენიებდნენ, „რეზონანსი“ კი ყველაზე ხშირად იყენებდა დადებით ტონს. „მოამბეში“ ყველაზე მეტად შემდეგი სუბიექტები გაშუქდნენ: ბრალდებული, დაზარალებული, შინაგან საქმეთა სამინისტრო და სასამართლო. „მოამბის“ დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითი იყო ბრალდებულების მიმართ, დანარჩენი სუბიექტების შესახებ ლაპარაკი, როგორც წესი, დადებითი და ნეიტრალური ტონით ხდებოდა. მონიტორინგის ამ მონაკვეთში „მოამბე“ სუბიექტებს პირდაპირ და ირიბად თანაბრად აშუქებდა.

თვისებრივი მონაცემები

ინფორმაციის წყაროები, ბალანსი, ობიექტურობა, მიუკერძოებლობა

საზოგადოებრივი მაუწყებლის მთავარი საინფორმაციო გადაცემა „მოამბე“ მართლმსაჯულების თემის განხილვისას ხშირად ეყრდნობოდა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის მიერ მოწოდებულ მასალებს. ამა თუ იმ კრიმინალური ისტორიის შესახებ რეპორტაჟის მომზადებისას, ჟურნალისტები სარგებლობდნენ უშუალოდ ძალოვანი უწყებების მიერ გადაღებული ვიდეომასალით და იზიარებდნენ საქმესთან დაკავშირებულ მათ ვერსიებსა და ბრალდებებს. ამგვარად, ისინი ხშირად გვევლინებოდნენ ბრალმდებლის როლში, რის გამოც მომზადებულ სიუჟეტებში უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ნიშნები იკვეთებოდა. მონიტორინგის პერიოდში რეპორტაჟებში აქტუალური იყო თემა რუსული სპეცსამსახურებისა და ქართული ოპოზიციური პარტიების თანამშრომლობის შესახებ. სიუჟეტებში, თითქოსდა ბალანსის დაცვის მიზნით, ჟურნალისტს ზოგჯერ შერჩეული ჰყავდა ოპოზიციისა და ექსპერტების ისეთი წარმომადგენლები, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრების შეხედულებებისგან განსხვავებულ კომენტარებს არ აკეთებდნენ. რეალურად, მათ მიერ გამოთქმული აზრი მმართველი პარტიის მოსაზრებებს ამყარებდა.

მონიტორინგის პერიოდი დაემთხვა 2011 წლის ყველაზე ცხელი დღეების - 26 მაისს რუსთაველის გამზირზე „სახალხო კრების“ მხარდამჭერთა მიტინგის ძალის გამოყენებით დაშლის თანმდევ სამართლებრივ-პოლიტიკურ მოვლენებს. ამ საკითხს, მართლმსაჯულების ქრილში „მოამბემ“ არაერთი სიუჟეტი მუძღვნა. 26 მაისს რუსთაველის გამზირზე საპოლიციო ძალების მიერ არასანქცირებული მიტინგის დაშლის

გაშუქებისას, „მოამბე“ აქცენტს აკეთებდა არა სპეცრაზმის მიერ გადამეტებული ძალის გამოყენებაზე, არამედ - საპროტესტო აქციის ორგანიზატორების: „სახალხო კრების“, „შეფიცულებისა“ და „ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის“ ლიდერთა თუ წარმომადგენელთა უკანონო ქმედებებზე.

საკმაოდ ტენდენციური სიუჟეტი მიუძღვნეს „მოამბეს“ ჟურნალისტიკაში ჯაშუშობის ბრალდებით დაპატიმრებული კოლეგების, ე. წ. ფოტორეპორტიორების საქმეს, რომლის შესახებ მომზადებული მასალაც პირველად 2011 წლის 18 ივლისს გადაიცა. სიუჟეტის სათაურშივე, „გადაბირების ხერხები“, ჩანდა ჟურნალისტიკისა და ზოგადად „მოამბის“ რედაქციის მიკერძოებულობა. ეთერით გადაცემული მასალა რეკორდულად გრძელი იყო (20 წუთი) და გამოირჩეოდა დაუბალანსებლობით. დიდი საზოგადოებრივი რეზონანსის მიუხედავად, ჟურნალისტიკის მიერ ფოტორეპორტიორების მხარდასაჭერად გამართულ საპროტესტო აქციებს „მოამბემ“ საინფორმაციო ბადეში მე-12 და მე-17 სიუჟეტები დაუთმო. „გადაბირების ხერხები“, როგორც სათაურიდანაც ჩანს, აშუქებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიციას, რომელიც ცდილობდა დაემტკიცებინა საზოგადოებისთვის, რომ ფოტორეპორტიორები რუსულმა სპეცსამსახურებმა გადაიბირეს. მასალა მთლიანად ეყრდნობოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ვიდეოფირს - გიორგი აბდლაძის ე. წ. აღიარებით ჩვენებას, სადაც იგი აცხადებდა, რომ 2002 წელს ცხინვალში სეპარატისტებმა გაიტაცეს და იქ ოჯახის წევრების ლიკვიდაციის მუქარით გადაიბირეს. 20 წუთის ხანგრძლივობის სიუჟეტში გიორგი აბდლაძის ადვოკატ ეკა ბესელიას ირიბად დათმობილი ჰქონდა მხოლოდ 13 წამი, პირდაპირ კი - 23 წამი (სულ 36 წამი).

ბალანსის დაცვის პრობლემები ბეჭდურ მედიაშიც არსებობს. მართლმსაჯულების საკითხების გაშუქებისას „ალიას“, „რეზონანსისა“ და „ახალი თაობის“ ჟურნალისტები ძირითად ინფორმაციის წყაროდ არასაპარლამენტო ოპოზიციასა და არასამთავრობო სექტორს იყენებდნენ. სამივე გამოცემის შემთხვევაში შეიმჩნეოდა კომუნიკაციის ნაკლებობა ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლებსა და ჟურნალისტებს შორის, რაც გაზეთებში მოყვანილი სახელისუფლებო კომენტარების სიმცირეშიც გამოიხატა. ზოგიერთ სტატიაში ჟურნალისტები განმარტავდნენ, რომ სცადეს სახელისუფლებო ან სამთავრობო წრეების წარმომადგენლებთან კომენტარის მოპოვების მიზნით დაკავშირება, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს, ან რესპონდენტმა თავად განაცხადა უარი კონკრეტული გამოცემებისთვის კომენტარის მიცემაზე. მართალია, ეს ტენდენცია პრობლემას არ წარმოადგენს ცალკეული სტატიის შემთხვევაში, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში,

როდესაც ჟურნალისტები თვეების განმავლობაში ვერ ახერხებენ სამთავრობო და სახელისუფლებო წრეებისგან კომენტარის მოპოვებას, ეს არაობიექტურობისა და ცალმხრივობის ატმოსფეროს ქმნის.

კვლევისთვის შერჩეულ გაზეთებში მართლმსაჯულების საკითხთან დაკავშირებული პუბლიკაციების დიდი ნაწილი არ იცავდა წყაროთა ბალანსს და არ წარმოაჩენდა საპირისპირო, განსხვავებულ მოსაზრებებს. ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც კომენტარს ერთი და იგივე პირები აკეთებდნენ (ეკა ბესელია, შალვა ხაჭაპურიძე, ნანა კაკაბაძე, ქეთი ბექაური).

ისევე, როგორც მონიტორინგის პირველ და მეორე პერიოდში, მესამე პერიოდშიც, გაზეთები ხშირად აშუქებდნენ შემდეგ სუბიექტებს: ბრალდებული, შსს, ადვოკატი. გამოცემებისთვის კვლავაც პრობლემად რჩებოდა დაუბალანსებელი სტატიები, სადაც ჟურნალისტები მხოლოდ ერთი მხარის ინფორმაციას ეყრდნობოდნენ. ასევე კვლავ თვალშისაცემი იყო კომუნიკაციის ნაკლებობა ჟურნალისტებსა და ოფიციალურ სტრუქტურებს შორის. რიგ შემთხვევაში ჟურნალისტი არ უთითებდა, მიმართა თუ არა მეორე მხარეს კომენტარისთვის.

არაკადემიურობა, არაეთიკურობა

მონიტორინგის პერიოდში გადაცემა „მოამბეში“ გასულ რამდენიმე სიუჟეტში ჟურნალისტმა სუბიექტის შესახებ საუბრისას არაეთიკური ეპითეტები გამოიყენა. განსაკუთრებით ნეგატიური იყო „მოამბის“ ოპოზიციური პარტიების მიმართ დამოკიდებულება. ერთ-ერთ რეპორტაჟში (31 მაისის გამოშვება) ქართული პარტიის ლიდერი ირაკლი ოქრუაშვილი მოხსენიებული იყო როგორც „რუსების ოქრო“. 30 მაისის გამოშვებაში გასული ერთ-ერთი სიუჟეტის სათაური „დეიდა ბიცოლას გეგმები“ შეიცავდა შეურაცხმყოფელ ეპითეტს „სახალხო კრების“ ლიდერის, ნინო ბურჯანაძის მისამართით. მართალია, ეს ეპითეტი სიუჟეტის ერთ-ერთ სუბიექტს ეკუთვნის (თემურ ხაჩიშვილს) და არა ჟურნალისტს, მაგრამ მედიასაშუალება უპრობლემოდ ახდენს მის ტირაჟირებას და უფრო მეტიც, სიუჟეტსაც კი ამ არაეთიკური ეპითეტით ასათაურებს.

ეთიკის ნორმების დარღვევა „მოამბეს“ აპოლიტიკური თემების გაშუქებისასაც გამოვლინდა, მაგალითად: 11 ივნისის გამოშვების ერთ-ერთი სიუჟეტი „მოზარდმა მოზარდი დაჭრა“ კახეთში მომხდარ კრიმინალურ ისტორიას ეხება. სიუჟეტში გამჟღავნებული იყო არასრულწლოვანი ექვმიტანილის ვინაობა.

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ „ახალი თაობისა“ და „რეზონანსისგან“ განსხვავებით, „ალიას“ აკლია აკადემიური სტილი, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს ინტერვიუების შემთხვევაში. ისინი, როგორც წესი, მეგობრებს შორის არაფორმალურ საუბარს უფრო ჰგავს, ვიდრე რესპონდენტისა და ჟურნალისტის ურთიერთობას (მაგალითად, სტატია „დემეტრადე რუსთავეის ციხეში ძალიან ცუდად არის“. გამოქვეყნდა „ალიას“ 2011 წლის 1-5 სექტემბრის ნომერში, გვ. 6.). გარდა ამისა, გამოცემაში ხშირია ხელისუფლების წარმომადგენლების (და არა მარტო მათ) მიმართ არაეთიკური და შეურაცხმყოფელი ეპითეტების გამოყენება. მათი ნაწილის ავტორებად რესპონდენტები, ნაწილისა კი თავად ჟურნალისტები გვევლინებიან (მაგ. 13-19 ივნისის ნომერი, გვ. 23, ან 30 მაისის ნომერი, გვ. 17-18). ამავე გამოცემის 21-27 ნომბრის ნომერში გამოქვეყნდა მოკლე ინფორმაცია სათაურით: „საფრანგეთში ქართველებისგან, რუსებისგან და სომხებისგან შემდგარი ბანდა დააკავეს“. მონიტორინგის ჯგუფის აზრით, ამ შემთხვევაში არ იყო საჭირო ეროვნების დაკონკრეტება, რადგანაც ამან შესაძლოა, ნეგატიური სტერეოტიპების დამკვიდრება გამოიწვიოს. ჯობდა აღნიშნულიყო, რომ დაკავებული პირები საქართველოს, რუსეთისა და სომხეთის მოქალაქეები არიან.

„ახალი თაობის“ 12-13 დეკემბრის სტატიაში „ხათუნა კალმახელიძე უცხოპლანეტელივით ალაპარაკდა“ ვხვდებით სექსისტურ გამონათქვამსაც. ჟურნალისტი ხაზგასმით აღნიშნავს: „მინისტრი ქალი ყვება, რომ...“. მასალაში ჟურნალისტი ყოველგვარი საჭიროების გარეშე უსვამს ხაზს მინისტრის სქესს, რაც გენდერული თანასწორობის პრინციპის არცოდნასა და საკითხისადმი სტერეოტიპულ მიდგომაზე მიგვანიშნებს.

უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა

მონიტორინგის პერიოდში მართლმსაჯულების შესახებ „მომამბეში“ გასულ სიუჟეტებსა და „ალიაში“ დაბეჭდილ მასალებში ხშირი იყო უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის შემთხვევები.

ეს პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავეით გამოვლინდა 18 ივლისის „მომამბეში“ გასულ სიუჟეტში „ძალადობა მოზარდზე“. ის დაიწყო ჟურნალისტის მტკიცებითი ტონის წინადადებით: „მოზარდზე ძალადობის კიდევ ერთი ფაქტი“. მასალიდან ირკვეოდა, რომ ბავშვი საკუთარ მშობლებს უყენებს ბრალდებებს, რომლებიც შესაძლოა, უსაფუძვლო აღმოჩნდეს. „არავინ არ სცემს. იტყუება“, - აცხადებდა მამა. „ერთი შვილი მყავს და რატომ უნდა ვცემო?!“ - უკვირდა დედას.

მეზობელი ამბობდა: „ბავშვი ერთს ამბობს, მშობლები - მეორეს და მეზობლებმა არ ვიცით, რომელია მართალი“. სოციალური სააგენტოს წარმომადგენელი პირდაპირ აცხადებდა: „ჩვენი ინფორმაციით, ჯერ-ჯერობით არ დგინდება და არ დასტურდება ძალადობის ფაქტები“. ინფორმაციის მხოლოდ მოზარდის ჩვენებაზე დაყრდნობით გავრცელება და მშობლების ქმედების ძალადობის ფაქტად გამოცხადება მათი უდანაშაულობის პრეზუმფციის უხეში დარღვევაა. თემა არაკომპეტენტურად, ეთიკის ნორმების დარღვევით გაშუქდა. მართალია, გადაცემაში მოზარდის სახე არ უჩვენებიათ, მაგრამ მისი იდენტიფიცირება მაინც მოხდა: სიუჟეტში ნახსენები იყო მისი სახელი (მიშიკო), ნაჩვენები იყვნენ მშობლები და დასახელდა საცხოვრებელი ადგილი. დაირღვა ჟურნალისტური ეთიკის ნორმა, რომლის თანახმადაც არ უნდა მომხდარიყო მოზარდის კრიმინალური ისტორიის ამსახველ სიუჟეტში იდენტიფიცირება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სიუჟეტის ავტორმა ჟურნალისტმა კარგად იცოდა, რომ მოზარდის ჩვენებას მართლმსაჯულების განხორციელებისას იურიდიული ძალა არა აქვს. ერთგან მან პირდაპირ განაცხადა: „სპეციალისტების თქმით, ასეთი შემთხვევების დროს მხოლოდ ბავშვის ნაამბობზე დაყრდნობა არ შეიძლება“. თუ ეს ასეა, რატომ ერქვა მაშინ სიუჟეტს: „ძალადობა მოზარდზე“? ამ შემთხვევაში მისი ფინალი წინააღმდეგობაში მოდის დასაწყისთან, სადაც მაყურებელს „მოზარდზე ძალადობის კიდევ ერთი ფაქტის“ შესახებ ამცნეს.

ისევე, როგორც მონიტორინგის საწყის ეტაპზე, მასალის მომზადების სპეციფიკაში არც ნოემბერ-დეკემბრის პერიოდში შეცვლილა რაიმე. „მომამბეს“ ჟურნალისტებისთვის ინფორმაციის ძირითად წყაროს კვლავ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებული ვიდეომასალა და ფარულად გადაღებული კადრები წარმოადგენდა. სიუჟეტებში ძალიან იშვიათად ჩანდნენ ადვოკატები და ბრალდებული ხშირად წინასწარ, სასამართლო პროცესამდე მოიხსენიებოდა დამნაშავედ. მაგალითად, 2011 წლის 4 დეკემბერს „მომამბემ“ გადასცა ინფორმაცია, რომელიც ტაქსის მძღოლის მკვლელობაში ბრალდებულის დაკავებას შეეხებოდა. მის დაწყებამდე დიქტორის შესავალ სიტყვაში ბრალდებული პირდაპირ იყო გამოცხადებული მკვლელად და დამნაშავედ (ციტატა: „სამართალდამცველებმა ტაქსის მძღოლის მკვლელობასა და მისი მანქანის გატაცებისათვის ბრალდებული აიყვანეს...“ „მკვლელმა მისი მანქანაც გაიტაცა. დამნაშავეს ცოტა ხანში ავტოსაგზაო შემთხვევა მოუვიდა. ეჭვმიტანილს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება“).

უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ფაქტები გაზეთ „ალიაშიც“ დაფიქსირდა. მაგალითად, 2011 წლის 30 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნდა მოკლე ინფორმაცია სათაურით „ქონების გაყოფის გამო

ძმამ ძმა მოკლა“. პუბლიკაციაში ისეთი სიცხადით იყო წარმოდგენილი მკვლელობის ფაქტი, თითქოს ჟურნალისტი მას თავად შეესწრო. მასალაში არ იყო დაფარული ეჭვმიტანილის ვინაობა და სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის არარსებობის მიუხედავად, იგი პირდაპირ მკვლელად იყო მოხსენიებული. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მეხუთე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „პირი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით“.

სიძულვილის ენა

მონიტორინგისტვის შერჩეული მედიის საშუალებებიდან ერთ-ერთში, კერძოდ „ალიაში“, ისეთი სტატიაც გამოქვეყნდა, რომელშიც ჟურნალისტი სიძულვილის ენას იყენებდა. 2011 წლის 2 აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა მოკლე ინფორმაცია ქობულეთში მომხდარი ინციდენტის შესახებ. როგორც სტატიიდან ირკვეოდა, ქობულეთში ქართველი და სომეხი ახალგაზრდები ეთნიკურ ნიადაგზე შელაპარაკდნენ. დაპირისპირების შედეგად ეროვნებით ქართველი მონაწილე დაიჭრა. სერიოზული დარღვევაა სტატიის ცალსახად ქსენოფობიური გზავნილის შემცველი სათაური: „სომეხმა ქართველი დაჭრა, მაგრამ პოლიციამ ეს დაჭრილი დააკავა“. გარდა იმისა, რომ, მასალა დაუბალანსებელი იყო, ჟურნალისტი კი აშკარად მხარე, ინფორმაცია გადამონმებასაც საჭიროებდა. ავტორი ანონიმურ წყაროს - თავის მეგობარს, ეყრდნობოდა. სტატიაში შეინიშნებოდა თავად ჟურნალისტის ქსენოფობიური განწყობაც. ის წერდა: „ადგილობრივი ქართველების თქმით, სომეხებთან ყოველდღიურად იძაბება სიტუაცია. ჩვენი მეზობლები ისე თავხედობენ, თითქოს თვითონ არიან მასპინძლები და ქართველები სტუმრები. აი, ეს მოიტანა ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკამ. სხვათა შორის, თითქმის ყოველდღიურად მოგვდის ინფორმაციები, თუ როგორ თავნებობენ სომეხები რეგიონებში“ („ალია“, 2011 წლის 2-3 აგვისტო, გვ. 7).

დასკვნა და რეკომენდაციები

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ 2011 წლის 30 მაისიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში ჩატარებული გაზეთების: „ალია“, „რეზონანსი“, „ახალი თაობა“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვების „მოამბის“ მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ შერჩეულ მედიასაშუალებებს მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას პროფესიული სტანდარტის

დაცვა უჭირთ. გამოქვეყნებული და ტელევიზიით გადაცემული მასალა ხშირად დაუბალანსებელი და მიკერძოებულია, არ ხდება ერთმანეთისგან ფაქტებისა და მოსაზრებების გამიჯვნა.

გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენს ჟურნალისტების კვალიფიკაციაც. ხშირია შემთხვევები, როცა ისინი კარგად ვერ კვებიან საკითხსა და მის სამართლებრივ ასპექტებში, საკანონმდებლო ბაზაში. ხდება ხოლმე სამართლებრივი ტერმინების აღრევა, რაც მიაწვდის, რომ ჟურნალისტები კარგად არ იცნობენ იმ სფეროს (ამ შემთხვევაში სამართლის), რომელშიც მუშაობენ.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა ჩატარებული მონიტორინგის შედეგების საფუძველზე მედიის საშუალებებისთვის შემდეგი რეკომენდაციები შეიმუშავა:

1. აუცილებელია, გაზეთში დასაბეჭდი ან გადაცემაში გამოსაყენებელი ინფორმაციის ორ ან მეტ წყაროსთან გადამოწმება. უნდა მოხდეს ფაქტებისა და კომენტარების ერთმანეთისგან გამიჯვნა, მასალის დაბალანსება ინფორმაციის სხვადასხვა, განსხვავებული, საპირისპირო წყაროს საშუალებით;
2. მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული თემები უფრო სიღრმისეულად, ანალიტიკურად უნდა გაშუქდეს;
3. ჟურნალისტებმა უნდა აიმაღლონ ქართული და საერთაშორისო საკანონმდებლო ბაზის ცოდნის დონე;
4. მედია ფრთხილად, დელიკატურად, პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს უდანაშაულობის პრეზუმფციასთან დაკავშირებულ საკითხებს. საჭიროა როგორც ჟურნალისტების, ისე რედაქტორებისა და პროდიუსერების მუდმივი ტრეინინგი, რათა მათ გაითავისონ დაკავებული ადამიანების უდანაშაულობის პრეზუმფციისა და მოზარდთა უფლებების პატივისცემა;
5. ჟურნალისტები სიფრთხილით უნდა მოეკიდონ სხვადასხვა ეთნიკურ, რელიგიურ, სექსუალურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებას. არასოდეს არ უნდა მოხდეს სიძულვილის ენის გამოყენება. სისხლის სამართლისა თუ სხვა სახის დანაშაულზე მასალის მომზადებისას მიუღებელია ადამიანის რელიგიისა ან ეთნიკური წარმომავლობის ხაზგასმა (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ესა თუ ის დანაშაული ეთნიკურ ან რელიგიურ ნიადაგზეა ჩადენილი);
6. სასურველია, მედიასაშუალებებისთვის და განსაკუთრებით „საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“, მნიშვნელოვანი იყოს არა სკანდალი და სენსაცია, არამედ საზოგადოების, მოქალაქეების ინტერესები.



REPORTING ABOUT JUDICIARY ISSUES IN GEORGIAN MEDIA

Aleko Tskitishvili
Salome Achba
Shorena Lathathia
Tea Topuria

HRC

INTRODUCTION

Between May 30 and December 31, 2011, the Human Rights Center conducted a study of reporting about judiciary issues in the Georgian media. The research focused on time and space allocation, tone, type, geography and sources of material presented, partial coverage and use of unethical language regarding subjects.

The monitoring covered a study of the following media outlets: newspapers Alia, Resonansi (Resonance), Akhali Taoba (New Generation) and the main Public Broadcaster daily news program, Moambe (8pm).

This research was carried out as part of a UNDP project, Development of Media Monitoring Capacities in Georgia, funded by the European Union.

METHODOLOGY

The Human Rights Center conducted monitoring of reporting about judiciary issues in three phases:

- Phase one: May 30 – July 3, 2011
- Phase two: July 18 – September 4, 2011
- Phase three: November 10 – December 31, 2011

The research into the reporting of judiciary issues in the Georgian media combined quantitative and qualitative components. The quantitative data included information about the time and space allocated to the topics of interest, tone and direct/indirect style of reporting, themes, geography (region). The qualitative research focused on the number of sources, objectivity, partial reporting, fact based presentation of information and the use of unethical epithets.

The selection of media outlets was based on the following criteria:

- Coverage area: like Public Broadcaster, selected newspapers are distributed on the entire territory of Georgia;
- Special focus and interest of selected media outlets towards judiciary issues:
- Responsibility: Public Broadcaster bears more responsibility regarding dissemination of information in society compared to private TV stations. This gave it an advantage in the selection process.

The monitoring group concentrated its study on the following subtopics:

- Court;
- Cases still subject to investigation and still to be presented to the court;
- Rights of convicts and conditions in penitentiaries;
- Cases to be investigated (in which available information is not based on material obtained by the investigation units, Prosecutor's Office or any other official authority).

The following subjects were among the most frequently discussed:


- defendant;
- convict;
- wanted persons;
- victim;
- witness;
- Ministry of Internal Affairs;
- Ministry of Corrections and Legal Assistance of Georgia;
- prison administration;
- Prosecutor's Office;
- court;
- the jury;

- attorney;
- Public Defender;
- rights protection NGOs;
- parliamentary and non-parliamentary opposition parties;
- authorities (governing team);
- the President;
- experts.

PRINCIPAL FINDINGS


During the first phase of monitoring (May 30 – July 3, 2011), the research team analyzed 43 reports and 183 articles. The total duration of reports aired by Public Broadcaster was 9,640 seconds, i.e. approximately 2 hours and 40 minutes. The selected newspapers (Alia, Resonansi (Resonance) and Akhali Taoba (New Generation)) allocated an area of 43,927 sq. cm to the research topics. Alia published the highest number of articles (45% of the entire area). The amount of material that was published by Resonansi (Resonance) and Akhali Taoba (New Generation) was almost identical.

Diagram #1: Space Distribution of Articles by Newspaper (% , May 30 – July 3, 2011)



During the second phase – the period between July 18 and September 4, 2011 – the media monitoring group analyzed 44 reports and 230 articles. The total duration of the reports amounted to 2 hours and 36 minutes and the total area of the articles was 58,661 sq. cm. An analysis of the percentage distribution of the article space showed that Akhali Taoba (New Generation) allocated the biggest area to the research issues (41%). It was followed by Resonansi (Resonance) and Alia with similar results (30 and 29% of the total area respectively).

Diagram #2: Space Distribution of Articles by Newspaper
 (% , July 18 – September 4, 2011)



During the monitoring of the third period (November 10 – December 31, 2011) the research team analyzed 57 reports and 103 articles. The total duration of the reports was 3 hours and 36 minutes and the total area of the articles covered 22,697 sq. cm. During this phase, Alia allocated the greatest area to discussion of the research topics (22,697 sq. cm. (58%). It was followed by Akhali Taoba (New Generation) with 22,697 sq.cm. (31 %) and Rezonansi (Resonance) with 12,382 sq.cm. (11%).

QUANTITATIVE DATA

Themes

In the first phase of monitoring, all media outlets devoted the highest number of reports and articles to cases still in the process of investigation. Along with investigation (52% of total area), Rezonansi (Resonance) actively covered the rights of convicts (39% of total area) as well. Alia dedicated 73% of the material about judiciary issues to the investigation phase, 15% to convicts' rights and 12% to court proceedings. 50% of the space used for discussion of the research topics in Akhali Taoba was dedicated to the investigation, 32% to the rights of convicts and 18% to the court cases. Moamb also devoted the biggest amount of time to broadcasting materials about investigations (2 hours and 40 minutes, 92% of the total time allotted to the research topics). The rest of the time (8%) was allocated to the coverage of court proceedings.

Monitoring of the second phase of research (July 18 – September 4) showed that the interest of the selected media outlets was mainly concentrated on reporting on ongoing investigations again. An exception was made by the Akhali Taoba (New Generation) newspaper, which was also actively involved in discussions of court proceedings. From July to September 2011, only a few reports and articles about penitentiary facilities and the rights of convicts were released in the press and television. The seven week period was marked with no production in the field of investigative journalism at all. The Akhali Taoba (New Generation) and Alia newspapers intensely reported on cases still to be investigated and published materials that were not based on information provided by the Prosecutor's Office and investigative agencies.

During the third phase of research (November 10 – December 31), Moambe broadcast fewer reports combining judiciary and political issues; at that time, Georgian politics produced no common themes that could cover judiciary issues as well. The same happened in the case of the newspapers: they dedicated fewer articles to the topic of justice, allocating only 22,697 sq. cm. to the research subjects. In contrast to the previous periods, the newspapers started to actively discuss the rights of convicts, though the number of entries concerning court proceedings remained low, with the exception of information published by Akhali Taoba (New Generation), which dedicated 7,022 sq. cm. - 30% of the entire area dedicated to the research topics - to this theme.

Geography

During the reporting about the judiciary topics, the main news program Moambe (Public Broadcaster) encompasses the broadest coverage area compared to the print media (the whole territory of Georgia). However, almost half of the reports (47%) aired between July 18 and September 4 focused on criminal cases that took place in Tbilisi. This trend was moreover present during all three periods of monitoring. It has to be noted that the present report includes information about events that happened abroad and of limited interest to Georgian citizens. However, the monitoring team did not analyze foreign criminal chronicles since this did not belong to its field of interest.

The study of the print media revealed that the main share of the articles on judiciary issues is based on the materials that are collected in the capital. Resonansi (Resonance) published the biggest number of articles about the regions and had the highest rate of using materials from outside Tbilisi as well. Akhali Taoba (New Generation) and Alia were less interested in developments outside the capital.

Time/Space, Tone and Type (Direct/Indirect)

As already mentioned, during the first and the second phases of monitoring, the print and TV media mainly focused its interest on ongoing investigations. Accordingly, the greatest amount of time and space of all three newspapers and the Public Broadcaster was allocated to the accused and detained persons (suspects).

During these periods of the study, Moambe used a positive tone only towards representatives of the police, court, governing team (National Movement) and defense lawyers. Other subjects were mentioned in a neutral or negative tone. The use of a negative tone towards defendants¹, the convicts and the suspects deserves special mentioning. As a general rule reports about them did not present any information on

¹ According to the Criminal Code amendments of February 2010, there are only two terms to be used in the future: “defendant” and “convict”. Despite this, journalists still make frequent use of the term “suspect”.

their rights and problems. During the second phase “Moambe” used similar amount of direct and indirect style of reporting about the subjects. Due to the particular circumstances the subjects who were unavailable for the comments (missing and wanted persons) were discussed in an indirect way.

In May-September, Resonansi (Resonance) and Akhali Taoba (New Generation) demonstrated a more positive and neutral attitude regarding the subjects while Alia negatively assessed activities of the government and the police, contrary to the parliamentary and non-parliamentary opposition which were never mentioned by the channel in a negative way.

During the third phase (November 10 – December 31, 2011), Resonansi (Resonance), Alia and Akhali Taoba (New Generation) most frequently discussed the following subjects: defendants, convicts, court and the non-parliamentary opposition. As a rule, Akhali Taoba (New Generation) and Alia were neutral in their assessments and Resonansi (Resonance) often used a positive tone. The attention of Moambe was focused on defendants, victims, the Ministry of Internal Affairs and the courts. It chose to report about the defendants with a distinctly negative tone, while commonly mentioning all other subjects in a positive and neutral way. During the third period, Moambe continued to use direct and indirect reporting styles.

QUANTITATIVE DATA

Sources of Information, Balance, Objectivity, Impartial Reporting

The first and second phases of the media monitoring revealed that governmental agencies and environment protection organisations are the main sources of information for newspapers. As it became obvious, there is a serious problem of communication between scientists, experts and journalists. Journalists approach scientists and experts only in rare cases. Also, it is an alarming trend that only a very small number of authors use victims as a source of information. While writing about environmental issues and natural disasters, they almost never let them express their ideas. The situation was better in the case of Alia, which gave the victims of natural disasters an opportunity to express themselves during the first two phases of the research (in total 177 sq. cm). Despite this positive trend, articles in this newspaper and Akhali Taoba (New Generation) were often unbalanced, mainly using only one source and never presenting an opposing or different assessment of the topic. In frequent cases, articles did not have any apparent source of information at all. After being recognised as a general trend, these actions, naturally, gave birth to doubts about impartial reporting on the part of the journalists. As a rule, material published in Resonansi (Resonance) stands out for its impartial and fact-based style. However, the newspaper also published some pieces of information which violated journalistic standards and were not verified by two or more sources.

During the third phase of monitoring (November 10 – December 31, 2011), Resonansi (Resonance) used the NGO sector as its major source. Compared to the last period, governmental agencies were more frequently quoted as a source of information as well. It has to be mentioned that in this phase the newspaper carried out highly professional journalistic investigations which were mostly made possible with financial support from donor organizations. It was obvious that, in all cases, the journalists were well aware of the subject and knew what they were writing about. Akhali Taoba (New Generation) used foreign news agencies as sources for all four news pieces it published. No other sources were mentioned in the articles.

Moambe never used opposition parties as a source of information during the first two phases of the nineteen-week monitoring. The largest amount of time was allocated to victims (1,329 seconds) and experts (777 seconds). However, opinions from experts were often used, not for further analysis, but as a presentation of the weather forecast – the ‘experts’ being mainly weather forecasters and meteorologists).

CONCLUSION AND RECOMMENDATIONS

The media monitoring, conducted by the Human Rights Center between May 30 and December 31, 2011 and involving the study of three newspapers (Alia, Resonansi (Resonance), Akhali Taoba (New Generation)) and the main daily Moambe news program of Public Broadcaster, revealed that the approach of the Georgian media towards reporting on environmental issues is quite uniform: the topic is considered to be of secondary interest.

As a rule, journalists report on the environment in a superficial manner with no in-depth analysis of the problems or coverage of interesting topics. It is possible that such articles or TV reports are not profitable from a commercial point of view but, despite this argument, the media have to give more attention to the such issues and discuss them in a more serious way. This approach is especially applicable in the case of the Public Broadcaster, as the channel is not a profit-oriented one which must focus on advertisers and viewer rating. Funding for the Public Broadcaster is provided by the government and its accountability to society is correspondingly higher.

The media, and especially TV, have enormous opportunities to raise awareness levels in different layers of society. However, reporting which is directed towards achievement of this goal is very rare in the Georgian media.

In general, environmental issues do not belong to the field of priority topics. In order to improve the situation in this regard the Pubic Broadcaster could start by broadcasting a program for teenagers and the whole population of Georgia.

The Human Rights Center elaborated the following recommendations based on the results of the study:

1. Environmental issues have to be covered more intensively and in greater depth through epistemological or other programs that would be directed at the raising of the level of awareness;
2. Is is necessary to prepare materials on important issues such as climate change, biodiversity, and conservation;
3. It is necessary to prepare materials not only about the problems of Tbilisi, but of all Georgian regions;
4. Journalists have to travel to the places where events took place, to personally get familiar with the problem and prepare their articles/reports only afterwards;
5. It is necessary to enhance communication between journalists and scientists, experts, the Ministry of Energy and Natural Resources and the Ministry of Internally Displaced Persons;
6. Newspapers should allow victims and ordinary citizens to talk about events. Journalists should approach and use them more often as sources of information;
7. It is necessary to increase the knowledge of the journalists in the area of environmental issues and to enhance their skills through professional training.



საარჩევნო საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში

ნინო დოლიძე
ნანა ტაბატაძე

შესავალი

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ (ISFED) 2011 წლის 30 მაისიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში ქართულ მედიაში საარჩევნო საკითხების გაშუქება შეისწავლა. ამ მიზნით, ორგანიზაციამ სამ ეტაპად განახორციელა სახელმწიფო და კერძო ტელეარხების გადაცემების მონიტორინგი. კვლევა ჩატარდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული გაეროს განვითარების პროგრამის მედიის მონიტორინგის პროექტის ფარგლებში.

პროექტის მთავარი მიზანი იყო საქართველოში არსებული ტელევიზიების მიერ საარჩევნო საკითხების გაშუქებაზე დაკვირვება, კვლევის შედეგების ანალიზი და მათი ფართო საზოგადოებისთვის წარდგენა, რამაც, თავის მხრივ, ხელი უნდა შეუწყო ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების განვითარებას.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება მონიტორინგის პერიოდში სწავლობდა პოლიტიკაში ჩართული სუბიექტების მიერ საარჩევნო თემის გაშუქების სიხშირესა და ხარისხს, რათა მსოფლიოს წამყვანი მედიის მონიტორინგის ორგანიზაციების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის გამოყენებით განესაზღვრა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებული რაოდენობრივი და თვისებრივი ასპექტები.

ISFED

მეთოდოლოგია

შერჩეული მედიასაშუალებები

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ (შემდგომში სამართლიანი არჩევნები) გადანყვიტა, აღნიშნული პროექტის ფარგლებში მხოლოდ ტელეკომპანიების მონიტორინგი განეხორციელებინა. გადანყვიტელება განპირობებული იყო იმით, რომ კვლევის პერიოდში, რომელიც არჩევნებისგან თავისუფალ დროს დაემთხვა, საარჩევნო თემები ბეჭდურ მედიაში ნაკლებად განიხილებოდა. ისეთი კრიტერიუმების გათვალისწინებით როგორებიცაა მედიის მფლობელობა, გეოგრაფიული დაფარვის არეალი და საზოგადოებაზე გავლენა, კვლევისთვის შემდეგი ტელეარხები და პროგრამები შეირჩა:

მედიასაშუალება	მფლობელი	პროგრამები
საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, I არხი	საზოგადოებრივი	<ul style="list-style-type: none"> • მოამბე • აქცენტები • დიალოგი • ევროპული არჩევანი • საჯარო პოლიტიკა
II არხი	საზოგადოებრივი	<ul style="list-style-type: none"> • თავისუფალი ტრიბუნა • ბრიფინგის დრო
რუსთავი 2	კერძო	<ul style="list-style-type: none"> • კურიერი (18:00, 20:00, 21:00) • პოსტ-სკრიპტუმი
იმედი	კერძო	<ul style="list-style-type: none"> • ქრონიკა (19:00, 20:00)
მაესტრო	კერძო	<ul style="list-style-type: none"> • ახალი ამბები • პირდაპირი საუბარი • არგუმენტები • ჩვენ • კვირის რეპორტაჟი • კანონი ხალხისთვის • სუბიექტური აზრი • ანატომია • ყოველდღიური აბები ვასიკო ოდიშვილთან ერთად

კავკასია	კერძო	<ul style="list-style-type: none"> • დღეს (19:00, 20:30, დაიჯესტი) • სტუდია სპექტრი • ბარიერი • პოლიტიკური თამაშები • ცხელი ხაზი
----------	-------	---

საინფორმაციო გამოშვებებისა და სხვა კვლევისთვის საინტერესო თემატიკის მქონე გადაცემების ეთერში გასვლის დროის მიხედვით დაკვირვების შუალედად ე. წ. „პრაიმ-ტაიმი“ (18:00-00:00) შეირჩა. გადანყდა, მომხდარიყო იმ ძირითადი პროგრამების შესწავლა, რომლებიც საარჩევნო თემების გაშუქების თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია: ახალი ამბები, „თოქ-შოუები“, ანალიტიკური გადაცემები, სოციალური განცხადებები.

შერჩეული სუბიექტები

სამართლიანმა არჩევნებმა განსაზღვრა ყველა ის სუბიექტი, რომელიც საქართველოში არჩევნებსა და საარჩევნო პროცესებთანაა დაკავშირებული და გავლენას ახდენს როგორც უშუალოდ საარჩევნო, ისე არასაარჩევნო პერიოდის გარემოზე. კვლევისათვის შეირჩა 37 სუბიექტი, მათ შორის: საქართველოს პრეზიდენტი, მთავრობა, ადგილობრივი თვითმმართველობა, პოლიტიკური პარტიები¹, საარჩევნო ადმინისტრაცია, საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები და სხვა.


კვლევის ძირითადი შედეგები

მედიის მონიტორინგის დროს მოხდა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენება. ტელევიზიებზე დაკვირვება დროის სამი მონაკვეთის (1. 2011 წლის 30 მაისი-3 ივლისი, 2. 2011 წლის 18 ივლისი-4 სექტემბერი და 3. 2011 წლის 10 ნოემბერი-31 დეკემბერი) განმავლობაში მიმდინარეობდა.

¹ პოლიტიკური პარტიების შერჩევისას მოხდა იმ პარტიების გათვალისწინება, რომლებიც წინა არჩევნების დროს დარეგისტრირდნენ. გადანყვეტილებას საფუძვლად დაედო ის ფაქტი, რომ საქართველოში რეგისტრირებული პოლიტიკური პარტიების დიდი რაოდენობის მიუხედავად, მათი უმეტესობის როლი პოლიტიკურ ცხოვრებაში უმოქმედო და პასიურია.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მონიტორინგის პირველი პერიოდის განმავლობაში საარჩევნო საკითხების განხილვას ყველა ტელეარხმა ერთად ჯამურად 54 საათი დაუთმო. საკითხისათვის დათმობილი დრო ტელევიზიებს შორის მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. არჩევნების თემა ყველაზე მეტი დროის განმავლობაში (1,755 წუთი) ტელეკომპანია “მაესტროს” მიერ გაშუქდა. სხვა არხების მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა: “კავკასია” – 1,222 წუთი, “საზოგადოებრივი მაუწყებელი” – 200 წუთი, “მეორე არხი” – 76 წუთი, “იმედი” – 2 წუთი, “რუსთავი 2” – 26 წამი. დროის პროცენტული განაწილება არხების მიხედვით ასე გამოიყურება:


გრაფიკი #1: საარჩევნო საკითხების განხილვისას საეთერო დროის განაწილება არხების მიხედვით (მონიტორინგის პირველი პერიოდი, 2011 წლის 30 მაისი-3 ივლისი).



წინა პერიოდის მსგავსად სამართლიანი არჩევნები კვლევის მეორე ეტაპზეც დააკვირდა ყველა იმ სუბიექტს, რომელიც არჩევნების საკითხთან დაკავშირებით ტელევიზიებმა 18:00-00:00 დროის მონაკვეთში განიხილეს. პირველი ეტაპისგან განსხვავებით 18 ივლისიდან 4 სექტემბრამდე ტელევიზიებმა საარჩევნო საკითხების განხილვას მხოლოდ 6 საათი დაუთმეს, რაც მაისი-ივლისის მონაკვეთთან შედარებით გაცილებით ნაკლებია. გარდა ამისა, განსხვავებული იყო თემისადმი ცალკეული არხების მიერ მიძღვნილი დროც. ყველაზე მეტი დრო არჩევნების საკითხს ტელეკომპანია “კავკასიამ” დაუთმო, ყველაზე ნაკლები კი “საზოგადოებრივმა მაუწყებელმა”. დროის განაწილება


ტელევიზიების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება: “კავკასია” – 272 წუთი, “მეორე არხი” – 55 წუთი, “მაესტრო” – 34 წუთი, “რუსთავი 2” – 6 წუთი, “იმედი” – 5 წუთი, “პირველი არხი” – 2 წუთი.

გრაფიკი #2: საარჩევნო საკითხების განხილვისას საეთერო დროის განაწილება არხების მიხედვით (მონიტორინგის მეორე პერიოდი, 2011 წლის 18 ივლისი-4 სექტემბერი).



მონიტორინგის მეორე ეტაპზე სამართლიანი არჩევნები უფრო ნათელი სურათის მიღებისა და ტელევიზიებს შორის განსხვავების უკეთ გამოვლენის მიზნით დააკვირდა არა მხოლოდ არჩევნების ზოგად გაშუქებას “პრაიმ-ტაიმის” პერიოდში, არამედ დამატებით ცალკე შეისწავლა არჩევნების საკითხის მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებებში განხილვაც. ჯამური ექვსსაათიანი გაშუქებიდან არჩევნების თემას ექვსივე არხის საინფორმაციო გადაცემებში ორი საათი დაეთმო. საინფორმაციო პროგრამების მიხედვით კი დრო შემდეგნაირად გადანაწილდა: “კავკასია” – 73 წუთი, “მაესტრო” – 24 წუთი, “რუსთავი 2” – 6 წუთი, “იმედი” – 5 წუთი, “პირველი არხი” – 2 წუთი. ჩამონათვალში არ არის შეტანილი “მეორე არხის” მონაცემები, რადგან როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ამ არხს არ აქვს საინფორმაციო გამოშვება და ის მხოლოდ პოლიტიკური პარტიების ბრიფინგების მიმოხილვით შემოიფარგლება.

გრაფიკი #3: საარჩევნო საკითხებისთვის დათმობილი დროის განაწილება საინფორმაციო გამოშვებების მიხედვით (მონიტორინგის მეორე პერიოდი, 2011 წლის 18 ივლისი-4 სექტემბერი).



მონიტორინგის მესამე პერიოდი ყველაზე საინტერესო და საყურადღებო აღმოჩნდა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს საკითხის განხილვისთვის დათმობილი დროის მნიშვნელოვანი ზრდა ყველა არხზე. წინა პერიოდებთან შედარებით არჩევნების თემა ძალიან აქტუალური იყო, რაც შესაძლოა რამოდენიმე ფაქტორით ყოფილიყო განპირობებული. გარდა იმისა, რომ უფრო მოახლოვდა მათი ჩატარების დრო, მოხდა საარჩევნო კოდექსის სარედაქციო ჯგუფის გააქტიურება, შეიქმნა ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისია, კანონში “მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” შევიდა ცვლილებები პოლიტიკური პარტიების დაფინანსებასთან დაკავშირებით. სამართლიანი არჩევნების აზრით, არჩევნებისადმი ინტერესის ზრდას ხელი შეუწყო პოლიტიკურ არენაზე ახალი ფიგურის - ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამაც. გაზრდილი დროის გარდა, არჩევნების საკითხის გაშუქებისას მნიშვნელოვნად შეიცვალა ინფორმაციის ხარისხი, ტონი და ბალანსი. ამ ყველაფერმა მესამე პერიოდში მონიტორინგის ჯგუფს გაცილებით მეტი ანალიზის ჩატარების საშუალება მისცა.

მონიტორინგის სამივე პერიოდის შედეგები ცალკეული ტელევიზიების მიხედვით ასე გამოიყურება:

სამართაშორის საზოგადოებრივი მაუწყებელი (პირველი არხი)

რაოდენობრივი შედეგები: “საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა” მონიტორინგის პირველ პერიოდში საარჩევნო საკითხების განხილვას მხოლოდ 200 წუთი დაუთმო, რამაც ყველა ტელევიზიის მიერ გამოყენებული საერთო დროის 6.14% შეადგინა. დრო სხვადასხვა

სუბიექტს შორის შემდეგნაირად გადანაწილდა: ახალი მემარჯვენეები - 26.43%, საქართველოს რესპუბლიკური პარტია - 9.98%, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა - 9.63%, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 7.88%, საქართველოს კონსერვატული პარტია - 5.32%, ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატიები - 5.08%. დარჩენილი დრო კვლევის სხვა სუბიექტებზე გადანაწილდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა მხარის შესახებ საუბრისას “საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი” უმეტეს შემთხვევაში ნეიტრალურ ტონს ინარჩუნებდა.

დრამატულად განსხვავებული იყო მონიტორინგის შედეგები მეორე პერიოდში, როცა “პირველმა არხმა” საარჩევნო თემას შვიდი კვირის განმავლობაში სულ ორინუთი დაუთმო. ეს კი ყველა არხზე საკითხისათვის დათმობილი მთლიანი დროის 0.63% იყო. საერთო დრო სუბიექტებს შორის ასე გადანაწილდა: საარჩევნო ადმინისტრაცია - 30%, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა - 15 %, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 2%, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს - 2%. დარჩენილი დრო, ისევე როგორც წინა პერიოდში, სხვა სუბიექტებს დაეთმო.

თვისებრივი შედეგები: სამართლიანი არჩევნები დააკვირდა “საზოგადოებრივი მაუწყებლის” მიერ შემდეგი სტანდარტების დაცვას: ბალანსი, მაყურებლისთვის ფაქტებზე დაფუძნებული ინფორმაციის მიწოდება, რელევანტურობა და ა.შ. დაკვირვების პირველ ეტაპზე კვლევამ გამოავლინა, რომ ბალანსი თითქმის ყველა გადაცემის დროს იყო დაცული (თემა ორივე მხარის: მმართველი და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების პერსპექტივიდან განიხილებოდა), სიუჟეტი ყურდნობოდა ფაქტებს და გადაცემები უმეტეს შემთხვევაში მიმდინარე მოვლენების შესაბამისი იყო.

მონიტორინგის მეორე პერიოდში არჩევნების თემას “საზოგადოებრივი მაუწყებელზე” მხოლოდ ორი ნუთი დაეთმო. შედეგად, არსებული მასალის სიმწირის გამო შეუძლებელი გახდა არხის მიერ საარჩევნო საკითხის გაშუქების სრულყოფილი და ყოველმხრივი თვისებრივი ანალიზის ჩატარება. თუმცა უნდა ითქვას, რომ საკითხის მიმოხილვა ამ პერიოდშიც განხილვის საფუძველად მიმდინარეობდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ “პირველი არხის” ჟურნალისტები მეტ-ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას სიუჟეტების შინაარსობრივ მხარეს და ცდილობდნენ ბალანსის დაცვას.

მონიტორინგის მესამე ეტაპზე (10 ნოემბერი-31 დეკემბერი) საზოგადოებრივი ტელეკომპანიები (“პირველი” და “მეორე არხი”) დაბალანსებულ და ფაქტებზე დაფუძნებულ სიუჟეტებს გადასცემდნენ. მათ მიერ გამოყენებული ტონი მეტ-ნაკლებად ნეიტრალური იყო და წინა პერიოდისგან განსხვავებით “საზოგადოებრივი მაუწყებლის” საინფორმაციო გამოშვებებმა ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებსა და მმართველ პარტიას თითქმის თანაბრად დაუთმეს დრო.

მეორე არხი

რაოდენობრივი შედეგები: “მეორე არხი”, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, ვალდებულია საზოგადოებას პოლიტიკური პარტიები და მათი აქტივობები გააცნოს. არხზე მზადდება ორი გადაცემა, რომელთა მთელი დრო პოლიტიკური პარტიების მიერ გამართულ ბრიფინგებსა და ღონისძიებებს ეთმობა. კვლევის პირველ პერიოდში (30 მაისი - 3 ივლისი) “მეორე არხზე” საარჩევნო თემას 76 წუთი დაეთმო, რამაც ამ საკითხისადმი მიძღვნილი საერთო დროის 2,35% შეადგინა. პოლიტიკურ პარტიებს შორის დრო შემდეგნაირად გადანაწილდა: საქართველოს ლეიბორისტული პარტია - 19.44%, საქართველოს რესპუბლიკური პარტია - 15.54%, საქართველოს მთავრობა - 11.11%, ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები - 9.50%, ახალი მემარჯვენეები - 5.45%. დარჩენილმა დრომ ყველა სხვა სუბიექტი მოიცვა.

მონიტორინგის მეორე პერიოდში “მეორე არხმა” საარჩევნო თემას 55 წუთი, ყველა ტელევიზიის საერთო დროის 14.68% დაუთმო. სიუჟეტებში გაშუქებულ პოლიტიკურ პარტიებს შორის დრო ასე გადანაწილდა: საქართველოს გზა - 16%, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები - 6%, ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა - 5%, ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები - 5%, საქართველოს რესპუბლიკური პარტია - 5%, საქართველოს კონსერვატიული პარტია - 5%, ხალხის პარტია - 5%. დანარჩენი პროცენტული მაჩვენებლები სხვა სუბიექტებმა გაიყვეს. ვინაიდან სამართლიანი არჩევნები მონიტორინგს უწევდა მხოლოდ საარჩევნო თემას, ეს პროცენტები საარჩევნო თემისთვის დათმობილი დროის გადანაწილებაზე მიუთითებს და არ ასახავს მთლიანი საეთერო დროის განაწილებას.

კვლევის მესამე პერიოდში “მეორე არხის” პრაიმ-ტაიმის ძირითად დრო ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებსა და შესაბამისად, მათ არჩევნებთან დაკავშირებული საქმიანობის მიმოხილვას ეძღვნებოდა. გამოყენებულ ტონსა და ბალანსზე საუბარი არხის გადაცემების ფორმატიდან გამომდინარე, შეუძლებელი აღმოჩნდა.

თვისებრივი შედეგები: “საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის” ფორმატიდან გამომდინარე მისი თვისებრივი შეფასება თითქმის შეუძლებელია. იმის გამო, რომ არხზე არსებულ ორივე გადაცემაში პოლიტიკური პარტიები ეთერს ინდივიდუალურად, ფასილიტაციის და/ან დებატების გარეშე იყენებენ, რთულია არხის დაბალანსებულობაზე ან რომელიმე თვისებრივ ასპექტზე საუბარი.

რუსთავი 2

რაოდენობრივი შედეგები: მონიტორინგის როგორც პირველ ისე მეორე პერიოდში “რუსთავი 2” იყო ერთ-ერთი იმ ტელეარხებს შორის, რომლებმაც ყველაზე ნაკლები დრო დაუთმეს არჩევნების თემის განხილვას. ამ თემისადმი მიძღვნილი სიუჟეტები მაისი-ივლისის თვეებში არხის ეთერით მხოლოდ ორჯერ გადაიცა და მათმა საერთო ხანგრძლივობამ 26 წამი, ყველა ტელეკომპანიის მიერ გამოყოფილი საერთო დროის 0.01% შეადგინა. სუბიექტები ნეიტრალური ტონით იყვნენ გაშუქებული და მათ შორის დრო პროცენტულად შემდეგნაირად განაწილდა: საქართველოს ლეიბორისტული პარტია - 92.31%, საქართველოს მთავრობა - 7.69%. დანარჩენი დრო სხვა სუბიექტებს ერგო.

მომდევნო კვირების განმავლობაში (18 ივლისი-4 სექტემბერი) “რუსთავი 2” კვლევითის საინტერესო საკითხებს 6 წუთის განმავლობაში მიმოიხილავდა, რაც საკითხისთვის გამოყოფილი მთლიანი დროის 1.69% იყო. დაკვირვების მეორე პერიოდში არხმა არჩევნების თემის გაშუქება მხოლოდ მაშინ დაიწყო, როცა პოლიტიკურმა პარტიებმა თელავის #17 საარჩევნო ოლქში შუალედური არჩევნების მონაწილე კანდიდატები წარადგინეს. 6 წუთი სუბიექტებს შორის შემდეგნაირად განაწილდა: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 36.84 %, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა - 29.74%, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს - 5.26 %. ტონი ამ პერიოდშიც ძირითადად ნეიტრალური იყო. შედარებით პოზიტიური იყო ის მხოლოდ ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის საქმიანობის მიმოხილვისას.

ნოემბერი-დეკემბრის თვეებში კერძო ტელეკომპანიების “რუსთავი 2”-სა და “იმედი” დროის ძირითადი ნაწილი მმართველ პარტიის (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) საქმიანობის მიმოხილვასა და ბიძინა ივანიშვილის არჩევნებთან დაკავშირებული გეგმების განხილვას დაეთმო. სიუჟეტების ტონი მმართველი პარტიის მიმართ დადებითი, ბიძინა ივანიშვილის მიმართ კი უმეტესწილად ნეგატიური იყო. არხები მიმართავდნენ ქილიკს, ირონიასა და არაეთიკური ტერმინოლოგიის გამოყენებას. ეთერში გავიდა ისეთი ფრაზები როგორებიცაა “ნავერტელე ასატრინის ნაცვლად დიდ ღლავეს ლანგარზე მოგართმევენ” (“რუსთავი 2”), “ნავერტელედან მილიონამდე” (“იმედი”).

თვისებრივი შედეგები: საარჩევნო თემების გაშუქების ძალიან მცირე დროის გამო რთულია “რუსთავი 2”-ის სიუჟეტების ხარისხობრივი შეფასება, თუმცა ის ფაქტი, რომ არჩევნების თემას ტელეკომპანიამ ამდენად ცოტა დრო დაუთმო მაშინაც კი, როცა საკითხი აქტუალური იყო (შუალედური არჩევნები მეორე პერიოდში), თავისთავად შეიძლება უარყოფითად შეფასდეს. მიუხედავად იმისა, რომ “რუსთავი 2” კერძო ტელეკომპანიაა და გარკვეული ვალდებულებები კანონმდებლობით არ ეკისრება, ახალი ამბების საზოგადოებისთვის გაცნობისას მან, ალბათ,

დრო ყველა ტიპის ახალ ამბავს და მათ შორის საარჩევნო საკითხებსაც უნდა დაუთმოს. ფაქტობრივად, მონიტორინგის ვერც პირველი და ვერც მეორე პერიოდის განმავლობაში კვლევამ თვისებრივი შედეგები ვერ გამოავლინა.

იმედი

რაოდენობრივი შედეგები: საარჩევნო საკითხების განხილვას ტელეკომპანია “იმედმა” მონიტორინგის პირველ ეტაპზე 132 წამი დაუთმო, ყველა ტელევიზიის მიერ თემისადმი დათმობილი საერთო დროის 0.07%. შეიძლება ითქვას, რომ “რუსთავი 2”-ის მსგავსად ამ არხმაც თითქმის უგულებელყო საარჩევნო საკითხების გაშუქება. დრო განხილულ სუბიექტებს შორის შემდეგნაირად გადანაწილდა: საქართველოს პრეზიდენტი - 21.21%, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა - 8.33%, საქართველოს ლეიბორისტული პარტია - 8.33%, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 4.55%.

კვლევის მეორე ეტაპზე ტელეკომპანია “იმედი” მცირედით ჩამორჩებოდა “რუსთავი 2”-ს. მან არჩევნების საკითხს ტელეეთერი მხოლოდ ორჯერ, ჯამურად 5 წუთით დაუთმო, რამაც ექვსივე ტელევიზიის მიერ საკითხისათვის დათმობილი სრული დროის 1.38% შეადგინა. სიუჟეტების დრო ოთხ სუბიექტს შორის საკმაოდ არათანაბრად გადანაწილდა: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 77%, საქართველოს პრეზიდენტი - 22%, მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს - 0.5%, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა - 0.5%.

მონიტორინგის მესამე პერიოდის განმავლობაში ტელეკომპანია “იმედმა” უფრო მეტი სიუჟეტი მოამზადა საარჩევნო თემაზე, ვიდრე მონიტორინგის წინა ორ პერიოდში, რაც შეგვიძლია პოზიტიურად შევაფასოთ. საარჩევნო თემებისადმი მიძღვნილ სიუჟეტებში ძირითადად დრო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობასა“ და იმ ოპოზიციურ პარტიებს შორის გადანაწილდა, რომელთაც დაფინანსება ბიძინა ივანიშვილისგან მიიღეს. დრო საერთოდ არ დაეთმო არასამთავრობო სექტორს.

თვისებრივი შედეგები: პირველ პერიოდში გადაცემული სიუჟეტების 86%-ის შემთხვევაში ბალანსი დაცული იყო და ინფორმაცია ფაქტებს ეყრდნობოდა. “რუსთავი 2”-ის მსგავსად, “იმედის” მიერ საარჩევნო საკითხების მწირი გაშუქება თავისთავად შეიძლება შეფასდეს უარყოფითად. ივლისი-სექტემბრის თვეებში ჩატარებული თვისებრივი კვლევის შედეგად გაირკვა, რომ არხისთვის პრობლემას არჩევნების თემის გაშუქებისთვის გამოყოფილი დროის ბალანსი წარმოადგენს. მართალია, სიუჟეტებში გადმოცემული ინფორმაცია ამ პერიოდშიც ფაქტებს ემყარებოდა, მაგრამ ის ცალმხრივი და მიკერძოებული იყო. გადაჭარბებით პოზიტიური იყო განწყობა ერთიანი ნაციონალური

მოძრაობის კანდიდატის წარდგენის შესახებ მომზადებულ სიუჟეტში.² მონიტორინგის მესამე პერიოდში სიუჟეტებში თვალშისაცემია დაუბალანსებლობა და ჟურნალისტების არანეიტრალური ტონი. საყურადღებო ფაქტია, რომ „იმედის“ მიერ მომზადებულ არც ერთ სიუჟეტში არ არის წარმოდგენილი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისა თუ დამოუკიდებელი ექსპერტების კომენტარი. საარჩევნო კოდექსზე კომენტარს ძირითადად მმართველი ძალა, იშვიათად კი ოპოზიცია და ვენეციის კომისიის წევრები აკეთებენ. დაუბალანსებლობა ვლინდება იმ კუთხითაც, რომ საარჩევნო კოდექსში შესული ცვლილებები მხოლოდ დადებითი კუთხითაა განხილული და არც ერთ სიუჟეტში მის ნაკლოვანებაზე ან რაიმე ტიპის ხარვეზზე საუბარი არაა. ჟურნალისტების ტონი განსაკუთრებით ნეგატიურია ბიძინა ივანიშვილისა და მისი პარტნიორი პოლიტიკური ორგანიზაციების მიმართ. რამოდენიმე სიუჟეტში ჟურნალისტი ფაქტებზე დაუფუძნებელ დასკვნას აკეთებს.

მაესტრო

რაოდენობრივი შედეგები: “მაესტრო” კერძო ტელეკომპანიაა, რომლის დაფარვის არეალი მხოლოდ თბილისს მოიცავს. მიუხედავად ამისა, მისი გადაცემების ხილვა ინტერნეტის საშუალებითაც შეიძლება. სხვა ტელეკომპანიებთან შედარებით, “მაესტრომ” კვლევის პირველ პერიოდში საარჩევნო საკითხების გაშუქებას ყველაზე მეტი საეთერო დრო დაუთმო. დაფარვის დრომ 105,325 წამი, ყველა ტელევიზიის მიერ არჩევნების საკითხისთვის გამოყოფილი საერთო დროის 53.91%, შეადგინა. დრო სხვადასხვა სუბიექტს შორის შემდეგნაირად გადანაწილდა: ახალი მემარჯვენეები - 12.03%, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა - 11.74%, ეროვნული ფორუმი - 11.44%, ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები - 11.29%, საქართველოს კონსერვატული პარტია - 10.89%, საქართველოს გზა - 10.85%, ხალხის პარტია - 10.81%, საქართველოს რესპუბლიკური პარტია - 10.66%. დანარჩენი დრო სხვა სუბიექტებს ერგო.

განსხვავებით მონიტორინგის წინა პერიოდისგან, კვლევის მეორე ეტაპზე “მაესტროს” მხრიდან საარჩევნო გარემოს მიმართ დაინტერესება მნიშვნელოვნად შემცირდა. შვიდი კვირის განმავლობაში არხმა ამ საკითხს სულ 34 წუთი, ყველა ტელევიზიის მიერ არჩევნების თემისთვის დათმობილი სრული დროის 9.08% მიუძღვნა. დრო სუბიექტებს შორის ასე გადანაწილდა: საქართველოს მთავრობა - 7%, საქართველოს ლეიბორისტული პარტია - 7%, საარჩევნო ადმინისტრაცია - 7%.

² 2011 წლის 1 სექტემბრის “ქრონიკა”, 20:00.

რაც შეეხება სუბიექტების გაშუქების ტონს: პირველ პერიოდში “მაესტროს” არხზე გასული რეპორტაჟების ტონი ნეგატიური იყო საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობის, საარჩევნო ადმინისტრაციის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და ლეიბორისტული პარტიის მიმართ. სხვა პოლიტიკური პარტიები, განსაკუთრებით კი არასაპარლამენტო ოპოზიცია მეტ-ნაკლებად ნეიტრალური ან პოზიტიური ტონით მოიხსენიებოდნენ. საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიმართ მხოლოდ ნეიტრალური ტონი იყო გამოყენებული. მეორე პერიოდის განმავლობაში სუბიექტების საქმიანობის შესახებ თხრობისას ტონი ძირითადად ნეიტრალური იყო.

თვისებრივი შედეგები: მაისი-ივლისის თვეების თვისებრივმა ანალიზმა ცხადყო, რომ საინფორმაციო გადაცემებსა და სხვა პროგრამებში ძალიან ხშირად იყო დარღვეული ბალანსი. ტელეკომპანია “მაესტრო” საარჩევნო საკითხების გაშუქებისას მხოლოდ ერთი პოლიტიკური სუბიექტით შემოიფარგლებოდა და არ წარმოაჩენდა ხოლმე სხვა სუბიექტსა თუ პარტიას. ეს განსაკუთრებით ეხება მმართველი პარტიის ან საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელთა სტუდიაში მიწვევასა და მათ ჩართვას საარჩევნო საკითხებზე საუბარში. დარღვეული ბალანსის გარდა გადაცემებში გამოყენებული ინფორმაცია არ ეფუძნებოდა ფაქტებს. წინა პერიოდისგან განსხვავებით, მეორე პერიოდში ტელეკომპანია “მაესტრო” ბალანსსაც იცავდა და ახალი ამბების გაშუქებისას მაყურებელს ფაქტებზე დაფუძნებულ ინფორმაციასაც აწვდიდა.

კავკასია

რაოდენობრივი შედეგები: ტელეკომპანია “კავკასია” მხოლოდ თბილისში მაუწყებლობს, თუმცა “მაესტროს” მსგავსად მისი ხილვა ინტერნეტის საშუალებითაცაა შესაძლებელი. მონიტორინგის პირველ ეტაპზე საარჩევნო საკითხების განხილვისთვის დათმობილი დროის ხანგრძლივობის თვალსაზრისით “კავკასია” მეორე ადგილზე აღმოჩნდა. მან ამ თემას 20 საათი და 21 წუთი მიუძღვნა, რამაც ტელეკომპანიების მიერ გამოყოფილი საერთო დროის 37.52% შეადგინა. დრო სხვადასხვა სუბიექტს შორის შემდეგნაირად გადანაწილდა: საქართველოს რესპუბლიკური პარტია - 12.12%, ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები - 10.90%, ახალი მემარჯვენეები - 10.74%, სახალხო პარტია - 10.66%, საქართველოს კონსერვატული პარტია - 10.37%, საქართველოს გზა - 10.02%, ეროვნული ფორუმი - 9.89%, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა - 8.11%.

მომდევნო კვირების განმავლობაში ტელეკომპანია “კავკასიამ” არჩევნების თემის გაშუქების მხრივ ლიდერობა მოიპოვა. მან ამ საკითხს 4 საათი და 32 წუთი მიუძღვნა. მათგან 2 საათი საკითხის საინფორმაციო

პროგრამებში გაშუქებას დაეთმო. დროის პროცენტული განაწილება ასეთი იყო: სახალხო პარტია - 18%, საქართველოს ლეიბორისტული პარტია - 10%, ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები - 9%, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - 9%, ეროვნული ფორუმი - 9%.

უნდა ითქვას, რომ ტელეკომპანია სხვადასხვა სუბიექტის მიმართ განსხვავებულ ტონს იყენებდა. მაგალითად, გადაცემებში ნეგატიურად იყვნენ წარმოდგენილი საქართველოს პრეზიდენტი, მთავრობა, ადგილობრივი თვითმმართველობა და დემოკრატიული მოძრაობა; ნეიტრალური ტონით მოიხსენიებდნენ საერთაშორისო და ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, საარჩევნო ადმინისტრაციას, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, რესპუბლიკურ პარტიას, ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას, ქრისტიან-დემოკრატიულ სახალხო პარტიას, სამართლიან არჩევნებსა და ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.

მეორე პერიოდში სხვა ტელეარხებისგან განსხვავებით, სადაც ძირითადად ნეიტრალური ტონი გამოიყენებოდა, “კავკასიაზე” ნეგატიური ტონი ჭარბობდა. განსაკუთრებით ცხადი იყო ის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მისამართით (46%). ამის საპირისპიროდ, ოპოზიციური პარტიების საქმიანობა უფრო ხშირად პოზიტიური ტონით შუქდებოდა.

კვლევის მესამე ეტაპზე “კავკასიამ” და “მაესტრომ” წინა პერიოდების მსგავსად მეტი დრო ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების საქმიანობის მიმოხილვას დაუთმეს. ტელეკომპანიები ცდილობდნენ, თანაბრად გადაენაწილებინათ დრო და არჩევნების თემაზე ყველა მხარისთვის მიეცათ საინფორმაციო პროგრამებსა და “თუ-შოუებში” აზრის გამოთქმის საშუალება. მართალია, ტონი უმეტესწილად ნეიტრალური იყო, მაგრამ “კავკასიის” წამყვანი ისევ იყენებდა არაეთიკურ გამონათქვამებს: მმართველი პარტიის წარმომადგენლებს ის “ჩიტირეკიებს”, საარჩევნო კოდექსში შეტანილ ცვლილებებს კი “ვირეშმაკობებს” უწოდებდა.

ზოგადად სხვადასხვა არხზე გადაცემული ინფორმაციის შედარების დროს იყო შემთხვევები, როცა ერთი და იგივე ფაქტი სხვადასხვა ტელეკომპანიის მიერ სხვადასხვაგვარად შუქდებოდა. მაგალითად, კანონში “მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” შეტანილი ცვლილებები “რუსთავი 2”-ზე დადებითად იყო წარმოდგენილი, “კავკასია” კი ყურადღებას კანონპროექტის ნაკლოვანებებზე ამახვილებდა.

თვისებრივი შედეგები: თვისებრივი ანალიზის შედეგების მიხედვით ნათელი გახდა, რომ დაკვირვების პირველი ორი პერიოდის განმავლობაში “კავკასიის” საინფორმაციო გადაცემები და სხვა პროგრამები ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ახალი ამბების გადაცემებში ტელევიზია სხვადასხვა საკითხს ფაქტებზე დაყრდნობით წარმოაჩენდა, იცავდა ბალანსსა და მედიის ქცევის სხვა ნორმებს. ნათელი იყო, რომ

ჟურნალისტები პროფესიული სტანდარტის დაცვასა და ფაქტების მრავალმხრივ და მიუკერძოებლად გაშუქებას ცდილობდნენ. აბსოლუტურად განსხვავებული იყო მდგომარეობა საავტორო გადაცემებში, სადაც წამყვანი თავისი შეხედულებისამებრ მოქმედებდა და სუბიექტურად აშუქებდა საკითხს. “თოქ-შოუებში” გამართული მსჯელობა ცალმხრივი იყო და მასში მონაწილეობის მისაღებად არ იყვნენ მიწვეული არც მმართველი პარტიისა და არც საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები. გამოთქმული მოსაზრებები ფაქტებს არ ეფუძნებოდა.

დასკვნა

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ 2011 წლის 30 მაისიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში არჩევნების საკითხის შესწავლის მიზნით სატელევიზიო მედიის მონიტორინგი განახორციელა. იმის გამო, რომ კვლევის პერიოდიდან არჩევნების ჩატარებამდე წელიწადზე მეტი დროა დარჩენილი, მონიტორინგის ჯგუფს მასალის მოპოვების თვალსაზრისით გარკვეული სირთულეები შეექმნა. თუმცა, ამავე დროს, მას ჰქონდა საშუალება, სხვადასხვა კუთხით შეესწავლა და გაეანალიზებინა ქართული ტელევიზიების საქმიანობა. კვლევის მიზანს არ წარმოადგენდა მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების დაცვის კვლევა. მისი ინტერესის საგანი იყო ქვეყანაში მოქმედი მედიის საშუალებების ზოგად ქცევასა და ტენდენციებზე დაკვირვება და მათი ანალიზი.

მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ტელეკომპანიების მიერ საარჩევნო საკითხების გაშუქება ძალიან განსხვავებულად ხდება. განსაკუთრებით დიდია სხვაობა მასალის კერძო და საზოგადოებრივი ტელეარხების მხრიდან დამუშავების დროს. უნდა ითქვას, რომ ორივე შემთხვევაში თვალმისაცემია არჩევნების თემასთან დაკავშირებული ინფორმაციის სიმწირე. მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის პერიოდში ქვეყანაში საკმაოდ მნიშვნელოვანი საარჩევნო პროცესები მიმდინარეობდა, შევიდა ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობაში და თელავის #17 საარჩევნო ოლქში შუალედური არჩევნები ჩატარდა, ეს პროცესები ტელეკომპანიებს დეტალურად არ განუხილავთ.

“საზოგადოებრივი ტელევიზია” (“პირველი” და “მეორე არხები”) გამოირჩეოდა გაშუქებული ინფორმაციის სიმცირით. რაც შეეხება მასალის ხარისხის შეფასებას: აუცილებლად უნდა აღინიშნოს დადებითი ტენდენცია ინფორმაციის სიზუსტესა და განონასწორებულად მის მიწოდებასთან დაკავშირებით. “საზოგადოებრივი მაუწყებელი” შემთხვევების უმეტესობაში ცდილობდა, გადმოცემული ინფორმაცია ყოფილიყო ობიექტური, ფაქტებით გამყარებული და დაბალანსებული.

კერძო ტელევიზიებიდან (“მესტრო”, “კავკასია”, “რუსთავი 2”, “იმედი”) განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ “რუსთავი 2” და “იმედი”, რადგან ეს ის ტელეკომპანიებია, რომლებიც საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მაუწყებლობენ და რომლებსაც დიდი გავლენა აქვთ თავის მრავალრიცხოვან მაყურებელზე. სამწუხაროდ, როგორც მონიტორინგის შედეგად გაირკვა, ამ ორმა ტელეკომპანიამ საარჩევნო საკითხების განხილვას ყველაზე ნაკლები დრო დაუთმო. ნეგატიურად უნდა შეფასდეს ფაქტი, რომ საკითხის, ფაქტობრივად, იგნორირების გარდა ტელეკომპანიები მათ მიერ გაშუქებულ სუბიექტებს განსხვავებულად წარმოადგენდნენ. კერძოდ, აშკარად დადებითი იყო ტონი მმართველი პარტიის, საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის საქმიანობის მიმართ.

ცალკე უნდა გამოიყოს ტელეკომპანიების “მესტროსა” და “კავკასიის” გადაცემები. ამ ორმა ტელეკომპანიამ ყველაზე მეტი დრო დაუთმო საარჩევნო სიახლეების თემას, რომელსაც საინფორმაციო გამოშვებების გარდა დებატებისა და სხვადასხვა “თოქ-შოუს” დროსაც მიმოიხილავდა. მონიტორინგის შედეგად მიღებული თვისებრივი მონაცემების ანალიზმა გამოავლინა, რომ ეს არხები შედარებით ნეგატიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ მმართველი პარტიის მიმართ. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ხდებოდა საავტორო გადაცემებისა და “თოქ-შოუების”, მაგრამ არა საინფორმაციო სიახლეების შემთხვევაში.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებიდან გამომდინარე (ინფორმაციის სიმცირე, არასაარჩევნო პერიოდი, ამ პერიოდში კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის არარსებობა/გაუთვალისწინებლობა), სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება მიიჩნევს, რომ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები ტელევიზიების მუშაობის ხარისხის ანალიზს უფრო წარმოადგენს, ვიდრე მხოლოდ საარჩევნო სუბიექტების გაშუქების საკითხის შესწავლას. შესაბამისად, მიღებული მონაცემები სრულიად განსხვავებული იქნება მომავალი არჩევნების დროს ჩატარებული მედიის მონიტორინგისას მიღებული ინფორმაციისგან. კვლევამ ცხადყო, რომ ისეთი მნიშვნელოვანი თემა როგორიცაა საარჩევნო საკითხების გაშუქება, არასაარჩევნო პერიოდში ქართული ნაციონალური არხების ყურადღების ცენტრში არ ექცევა. არჩევნების პერიოდის მოახლოება შესაძლებელს გახდის იმ ფაქტების გამოვლენას, რომლებიც ხელს უშლიან ან უწყობენ ინფორმაციის სწორად, ფაქტებზე დაფუძნებულად და დაბალანსებულად გავრცელებას. გამომდინარე იქედან, რომ მასმედია, განსაკუთრებით კი ტელევიზია დიდ როლს ასრულებს საქართველოში მცხოვრები ამომრჩევლის აზრის ჩამოყალიბებაში, აუცილებელია მედიის მონიტორინგის გაგრძელება და მისი არჩევნებამდე საკმაოდ დიდი პერიოდის განმავლობაში შესწავლა.



REPORTING ABOUT ELECTION ISSUES IN GEORGIAN MEDIA

Nino Dolidze
Nana Tabatadze

INTRODUCTION

The International Society for Fair Elections and Democracy (ISFED) conducted a study of current reporting about election issues in the Georgian media between May 30 and December 31, 2011. The study included three phases and comprised the monitoring of state private TV channels.

Research was carried out in the framework of a UNDP project, Development of Media Monitoring Capacities in Georgia, funded by the European Union.

The main aim of the study was to observe the reporting of election issues by existing TV companies, to conduct analyses of the data collected and to present these to a wider audience in order to support the development of democratic processes in the country.

During the monitoring, the International Society for Fair Elections and Democracy (ISFED) investigated the frequency and quality of reporting and defined its qualitative and quantitative aspects based on methodology suggested by the leading international media monitoring organizations.

METHODOLOGY

Selected Media Outlets

The International Society for Fair Elections and Democracy (ISFED) (later Fair Elections) decided to concentrate its study on monitoring TV channels only. This decision was based on the fact that the research period coincided with a phase free from elections in which the printed media produced only a limited number of articles on the topic. For selecting TV channels to be monitored, Fair Elections opted for the following criteria:

ownership of the media outlet, coverage area and influence on society. The following channels were selected for the study:

Media Outlet	Ownership	Programs
Public Broadcaster of Georgia, 1 st Channel	Public	<ul style="list-style-type: none"> • Moambe • Accents • Dialogue • Evropuli Archevani (Choice of Europe) • Sadjaro Politika (Public Policy)
2 nd Channel	Public	<ul style="list-style-type: none"> • Tavisufali Tribuna (Free Platform) • Brifingis Dro (Time of Briefing)
Rustavi 2	Private	<ul style="list-style-type: none"> • Kurieri (Courier at 18:00, 20:00, 21:00) • Post-Scriptum
Imedi	Private	<ul style="list-style-type: none"> • Chronicle (19:00, 20:00)
Maestro	Private	<ul style="list-style-type: none"> • News • Pirdapiri Saubari (Direct Talk) • Argumentebi (Arguments) • Chven (We) • Kviris Reportazhi (Weekly Report) • Kanoni Khalkhistvis (Public Law) • Subieqturi Azri (Subjective Opinion) • Anatomia (Anatomy) • Khovedgiuri Ambebi Vasiko Odishviltan Ertad (Daily News with Vasiko Odishvili)
Kavkasia (Caucasus)	Private	<ul style="list-style-type: none"> • Dges (Today at 19:00, 20:30, digest) • Studia Speqtri (Studio Spectrum) • Barrieri (Barrier) • Politikuri Tamashebi (Political Games) • Tskheli Khazi (Hotline)

For the study, the research team selected news and other programs which are aired during the so-called prime time period (18:00-00:00). It was decided to investigate programs which are the most important for the coverage of elections: news, talk shows, analytical programs and social statements.

SELECTED SUBJECTS

Fair Elections defined 37 subjects which are linked to elections, their processes and their influence on the relevant environment. These included: the President of Georgia, the government, local self-governments, political parties¹, administration of elections, international and local monitoring organizations.


PRINCIPAL FINDINGS

The monitoring team used quantitative and qualitative methods of analysis to conduct a three-phase study:

- Phase one: May 30 – July 3, 2011
- Phase two: July 18 – September 4, 2011
- Phase three: November 10 – December 31.

The research revealed that, during the first period of monitoring, the total duration of coverage of the election issues by all TV channels was 54 hours. Time allocation varied a lot between the TV channels, with Maestro appearing as the leader with the largest amount of time dedicated to the topic (1,755 minutes). The rest of the TV companies produced the following results: Kavkasia (Caucasus) - 1,222 minutes, Public Broadcaster - 200 minutes, 2nd Channel - 76 minutes, Imedi - 2 minutes, Rustavi 2 - 26 seconds. The chart below shows time distribution by share and by channel.


Diagram #1: Time allocation for election issues by TV channels (% , May 30 – July 3, 2011).



¹ For the selection of political parties, the monitoring team decided to focus on those that registered prior to the previous elections. This decision was based on the fact that, despite a big number of registered political parties, the majority are involved in minimal activities and are very passive participants in the political process.


As in the first phase, in the July-September period, Fair Elections continued to observe discussion of all subjects by the TV channels aired between 18:00 and 00:00. In contrast with June and July, TV channels allocated a much smaller amount of time (only 6 hours) to the discussion of election issues. Time allocation per channel was different as well. The biggest amount of time was dedicated to the topic by Kavkasia (Caucasus), the least by the Public Broadcaster. Time distribution per channel appeared as follows: Kavkasia (Caucasus) - 272 minutes, 2nd Channel - 55 minutes, Maestro - 34 minutes, Rustavi 2 - 6 minutes, Imedi - 5 minutes, 1st Channel - 2 minutes.

Diagram #2: Time allocation for election issues by TV channels (% , July 18 – September 4, 2011).



In order to obtain a clearer picture and to reveal sharp differences between the TV channels, during the second period of monitoring, Fair Elections decided to study not only general reporting about election issues, but to add to the research separate investigations into the coverage in news programs only. News programs of six channels dedicated two out of the total six hours to elections. Time distribution by channel revealed the following results: Kavkasia (Caucasus) – 73 minutes, Maestro – 24 minutes, Rustavi 2 – 6 minutes, Imedi – 5 minutes, 1st Channel – 2 minutes. The list does not include data from the 2nd Channel because, as already mentioned, it does not have a news program and limits itself to the broadcasting of party briefings.

Diagram #3: Time allocation for election issues by news programs of the TV channels (% , July 18 – September 4, 2011).



The third period of research proved to be the most interesting and important. First of all, it was marked by a significant increase in the length of coverage of election issues on all channels. The topic became of a remarkable urgency compared to the previous phases. This may have been connected to several factors: the approaching election period, an increase in the activities of an editorial group of the election code, the establishment of a commission responsible for the creation of more accurate lists of voters, amendments to the rule About Political Unions of the Citizens and the financing of political parties. According to Fair Elections, the greater interest in elections was also caused by the introduction a new player – Bidzina Ivanishvili - to the field of politics. Along with an increased duration of coverage, the third period was marked by changes in the quality, tone and balance of information. As a result, the monitoring group had an opportunity to collect significantly more data for analysis.

The following results were generated for separate TV channels after completion of the three monitoring phases:

Public Broadcaster of Georgia (1st Channel)

Quantitative outcomes: During the first phase of monitoring, the Public Broadcaster of Georgia allocated only 200 minutes to discussion of election issues. This constituted 6.14% of the total time used for the topic by all the TV channels concerned. An analysis of time distribution between different subjects produced the following results: Akhali Memarjveneebi (The New Rights) - 26.43%, Republican Party of Georgia - 9.98%, Christian-Democratic Movements - 9.63%, United National Movement - 7.88%, Conservative Party of Georgia - 5.32%, Our Georgia – Free Democrats - 5.08%. The remaining amount of time was shared among other subjects. In the process of reporting about the activities of different parties, the Public Broadcaster applied a neutral tone in the majority of cases.

Dramatically different were the results of the following seven weeks; in the second phase, coverage of election topics by the 1st Channel was reduced to only 2 minutes (0.63% of total time used by all channels). The time was distributed between the following subjects: administration of elections - 30%, Christian-Democratic Movement - 15 %, United National Movement - 2%, Mretsveloba Gadaarchens Sakartvelos” (Industry Will Save Georgia) - 2%. The remaining amount of time was once again shared among different subjects.

Qualitative outcomes: Fair Elections studied the degree of compliance with the following standards by the Public Broadcaster: balance, delivery of fact-based and relevant information etc. During the first period, balance was maintained by almost every program that was aired by the channel; topics were covered from the perspectives of both the governing and opposition parties, reports were based on facts and programs in most cases were relevant to current events.

In the second period of research, the Public Broadcaster dedicated only two minutes to the elections, which made it impossible for the monitors to carry out a full-scale qualitative analysis of the data obtained. However, it has to be mentioned that the topic in this phase was again covered in a very balanced way, which indicates that journalists of the channel more or less paid attention to the content of the reports and tried to preserve the balance.

During the third phase of monitoring (November 10 – December 31, 2011), public TV companies (1st Channel and 2nd Channel) aired balanced and fact-based reports. Tone was more or less neutral and, in contrast to previous periods, news programs allocated an even amount of time to governing and opposition parties.

2nd Channel

Quantitative outcomes: 2nd Channel, which receives its funding from the state budget, has an obligation to make society familiar with political parties and their activities. The channel produces two programs and dedicates their entire duration to the briefings and events which are organized by political parties. During the first period of the study (May 30 – July 3, 2011), the 2nd Channel allocated only 76 minutes to the election issues i.e. 2.35% of the entire time dedicated to the theme by all channels. Time distribution between the political parties looked as follows: Labor Party of Georgia - 19.44%, Republican Party of Georgia - 15.54%, Government of Georgia - 11.11%, Our Georgia-Free Democrats - 9.50%, Akhali Memarjveneebi (New Rights) - 5.45%. The remaining time was shared by other subjects.

During the second period, the 2nd Channel devoted 55 minutes to election issues - 14.68% of the total time given by all channels. An analysis of time allocation per party revealed the following results: Georgia's Way - 16%, local NGOs - 6%, National-Democratic Movement - 5%, Our Georgia – Free Democrats - 5%, Republican Party of Georgia - 5%, Conservative Party of Georgia - 5%, Khalkhis Partia (People's Party) - 5%. The rest of the time was distributed between other subjects. Because of the fact that Fair Elections monitored solely the reporting about election issues, these results

contain data exclusively about the coverage of election topics and are not calculated based on the total broadcasting time.

During the third phase of research, the 2nd Channel devoted the largest amount of time to discussion of political parties and their election-related activities. Taking into consideration the format of the programs, it was impossible to analyze the balance and tone of reports.

Qualitative outcomes: Due to the specific format of the Public Broadcaster 2nd Channel, it is almost impossible to carry out qualitative assessment of its two programs in which presented political parties are given broadcasting time individually, without any facilitation and/or debates. It is hard to talk about balance or any other qualitative aspect of the channel.

Rustavi 2

Quantitative outcomes: During the first two periods of monitoring, Rustavi 2 was one of the channels that allocated the least amount of time to the coverage of election issues. In May-July, the channel aired only two reports with a total duration of 26 seconds: 0.01% of the entire coverage time of the topic by all channels. In the reports, subjects were discussed in a neutral tone. An analysis of time distribution revealed the following results: Labor Party of Georgia - 92.31%, Government of Georgia - 7.69%. The rest of the time was shared by other subjects.

During the following weeks (July 18 – September 4, 2011), Rustavi 2 reported on the research topics for 6 minutes, or 1.69% of the total time used for the issue. The channel started to talk about election issues only after political parties had nominated their candidates for the intermediary elections in the Telavi precinct #17. The 6 minutes were distributed between the United National Movement (36.84%), Christian-Democratic Movement (29.74%) and Mretsveloba Gadaarchens Sakartvelos (Industry Will Save Georgia, 5.26%). The tone adopted was neutral most of the time, but taking a relatively positive turn in the case of the Christian-Democratic Movement.

The biggest amount of time in November and December were allocated by the private channels - Rustavi 2 and Imedi - to overviews of the activities of the governing party (United National Movement) and to Bidzina Ivanishvili's election plans. The tone of the coverage of the governing party was positive, whereas Bidzina Ivanishvili's actions were discussed mostly in a negative tone. The channels used unethical, mocking and ironic terms and phrases such as 'Instead of sturgeon on a spit you'll be delivered huge sums on a plate' (Rustavi 2) and 'From spit to the million' (Imedi).

Qualitative outcomes: As a result of the very low coverage of election issues by Rustavi 2, it is very hard to assess the quality of the reports. However, the fact that the topic was given so little attention, even at a time when it had become an urgent one (the second period coinciding with intermediate elections), can be assessed as a negative trend. Despite the fact that Rustavi2 is a private channel and has no legal obligation to report on specific issues, it still should have found time to share all the news stories

with the general public. Practically, neither the first nor the second phases of research produced any qualitative results.

Imedi

Quantitative outcomes: During the first period of monitoring, Imedi dedicated 132 seconds to the coverage of election issues. This constituted 0.07% of the time allocated to the topic by all channels. One can say that, like Rustavi 2, Imedi also almost ignored the theme. Time distribution between the subjects looked the following way: President of Georgia - 21.21%, Christian-Democratic Movement - 8.33%, Labor Party of Georgia - 8.33%, United National Movement - 4.55%.

In the following weeks (July 18 – September 4, 2011), Imedi slightly lagged behind Rustavi 2. It broadcast information about elections only twice, with a total duration of 5 minutes. These made up 1.38% of the entire amount of time given to the topic. This time was unevenly distributed between four major subjects: United National Movement - 77%, President of Georgia - 22%, Mretsveloba Gadaarchens Sakartvelos (Industry Will Save Georgia) - 0.5%, Christian-Democratic Movement - 0.5%.

During the third period Imedi produced more reports on the topic of elections than during the two previous phases, which can be considered a positive trend. The time in these reports was mostly divided between the United National Movement and opposition parties which received their funding from Bidzina Ivanishvili. NGO activities were not discussed at all.

Qualitative outcomes: 86% of the reports that were aired during the first period of research maintained a balance and presented fact-based information. Like in the case of Rustavi 2, the limited coverage of election issues by Imedi channel can be assessed as a negative trend in itself. As a result of the qualitative study in the second phase of the monitoring, it became clear that the channel has a problem with maintaining the time balance. It is true, that information which was aired during this period was based on facts, but it was partial and one-sided. One of the reports demonstrated an overly positive attitude towards nomination of a candidate from the United National Movement.² During the third period of monitoring, reports were unbalanced and journalists' tone was not neutral. It was significant that none of the reports broadcast by Imedi presented opinions of NGO representatives or independent experts. Comments about the election code usually originated from the governing authorities and rarely reflected ideas from the opposition or members of the Venice Commission. Lack of balance was also obvious in connection with an exclusively positive presentation of the amendments to the election code. None of the aired reports discussed any shortcomings or gaps. During the third phase, the tone of journalists was especially negative towards Bidzina Ivanishvili and his partner political organizations. A couple of reports presented fact-based conclusions.

² Chronicle, September 1, 2011, 20:00.

Maestro

Quantitative outcomes: Maestro is a private TV channel with coverage area limited to Tbilisi. However, its programs can be watched on internet as well. Compared to the other companies during the first period of research, Maestro allocated the biggest amount of time to the election issues. The coverage duration constituted 105,325 seconds, which made 53.91% of the total time used by six TV channels together. Time was distributed between the subjects: Akhali Memardjveneebi (New Rights) - 12.03%, Christian-Democratic Movement - 11.74%, National Forum - 11.44%, Our Georgia-Free Democrats - 11.29%, Conservative Party of Georgia - 10.89%, Sakartvelos Gza (Georgia's Way) - 10.85%, Khalkhis Partia (People's Party) - 10.81%, Republican Party of Georgia - 10.66%. The remaining time was shared by other subjects.

In contrast then to the first period, in the second phase Maestro's interest in the topic significantly diminished. Over a seven-week period, the channel dedicated only 34 minutes to discussion of the issue, i.e. 9.08% of total time. Time distribution between the subjects looked as follows: Government of Georgia - 7%, Labor Party of Georgia - 7%, administration of elections - 7%.

The tone of the coverage in the first period was negative regarding the President of Georgia, Government, administration of elections, the United National Movement and the Labor Party of Georgia. The other parties, especially the non-parliamentary opposition, were mentioned in a more or less neutral or positive tone. International and local monitoring organizations were discussed in a neutral manner only. During the second period, the tone of reporting about the activities of the subjects was mostly neutral.

Qualitative outcomes: An analysis of qualitative data in May-July 2011 revealed that balance in reporting was frequently violated by the news and other programs. Maestro limited itself to presenting only one political subject and did not discuss the other subjects or parties at all. Violation of balance happened especially often in the case of inviting governing party members or representatives of the parliamentary opposition to the studio and their participation in discussions of election issues. In addition, it has to be mentioned that information which was presented during the programs was not based on the facts. However, in contrast to the first period, Maestro maintained the balance during the next weeks of research (second phase) and delivered fact-based information.

Kavkasia (Caucasus)

Quantitative outcomes: The Kavkasia (Caucasus) TV channel only covers Tbilisi with its programs although, like Maestro, it can be watched on the internet. During the first monitoring phase, Kavkasia (Caucasus) was second-best in the highest duration of reports about election issues. It dedicated to the topic 20 hours and 21 minutes, or 37.52% of the total time used by all TV channels together. Analysis revealed the following results of the time distribution: Republican Party of Georgia - 12.12%, Our Georgia / Free Democrats - 10.90%, Akhali Memardjveneebi (New Rights) - 10.74%,

Sakhalkho Partia (People's Party) - 10.66%, Conservative Party of Georgia - 10.37%, Sakhartvelos Gza (Georgia's Way) - 10.02%, National Forum - 9.89%, Christian Democratic Movement - 8.11%.

In the following weeks, Kavkasia (Caucasus) took the lead in reporting about election issues. It dedicated to the topic 4 hours and 32 minutes, using 2 hours for coverage of the topic in their news programs. An assessment of time distribution between the subjects showed that Sakhalkho Partia (People's Party) was discussed during 18% of the cases, Labor Party of Georgia - 10%, Our Georgia-Free Democrats - 9%, United National Movement - 9% and National Forum - 9%.

It is worth mentioning that this TV channel was very selective in its use of tone. For example, the President of Georgia, government, local self-government and the Democratic Movement were covered with a negative tone. Journalists were neutral in mentioning international and local monitoring organizations, administration of elections, National-Democratic Party, Republican Party, Christian-Democratic Movement, Christian-Democratic People's Party, Fair Elections and United National Movement.

During the second phase, which was marked by the use of a neutral tone by all other channels, Kavkasia (Caucasus) made prevailing use of the negative tone. This was especially visible in connection with the United National Movement (46%). On the contrary, activities of the opposition parties were mostly discussed in a positive tone.

During the third period, Kavkasia (Caucasus) and Maestro, as in the previous phases, dedicated most of the time to discussion of opposition parties' activities. They tried to distribute the time evenly and give all sides equal opportunity to express their views in news programs and talk shows. It is true that the tone in most cases was neutral but the moderator from Kavkasia (Caucasus) continued to use unethical expressions: he branded representatives of the governing party as 'featherbrains' and called amendments made to the election code 'monkey business'.

In general, a comparison of the same information on different channels revealed cases when the same facts were presented in different ways. For example, amendments to the ruling About Political Unions of the Citizens were covered by Rusatavi 2 in a positive way, while Kavkasia (Caucasus) focused on its shortcomings.

Qualitative outcomes: An analysis of qualitative data showed that, during the first two phases, news and other programs on Kavkasia differed from each other significantly. In the news programs, the channel presented different fact-based issues, maintained a balance and followed the other media norms. It was clear that journalists tried to preserve professional standards and report in a versatile and impartial way. The situation was absolutely different in the case of the private programs when moderators acted in accordance with their personal decisions and became subjective in their coverage of the issues. Discussions during talk shows were one-sided, with no representatives of the governing party or parliamentary opposition invited for participation. Expressed opinions were not based on facts.

CONCLUSION

The International Society for Fair Elections and Democracy (ISFED) carried out monitoring of TV media from May 30 to December 31, 2011 in order to study coverage of election issues. Due to the fact that actual elections are to take place only in more than a year's time, the monitoring team experienced certain problems connected to collection of the data. However, at the same time researchers had an opportunity to study and analyze activities of Georgian television companies from different angles. Investigation of legal norms did not belong to the goal of the study, which was focused on monitoring a general way of acting, identification of existing trends and their analysis.

The results of the monitoring showed that the TV channels pursue very different strategies for reporting about election issues. Especially big is the difference between the private and public channels. In both cases, the topic suffers from a very limited coverage. Despite important election processes which coincided with the monitoring period (amendments to the legislation concerning elections, intermediate elections in the Telavi precinct #17 etc.), this information was left beyond the attention of the TV channels.

Public Broadcaster (1st Channel and 2nd Channel) aired a very limited amount of information. However, it has to be mentioned that both channels demonstrated a positive trend in the presenting of correct, fact-based and balanced information.

From the private TV companies (Maestro, Kavkasia (Caucasus), Rustavi 2, Imedi), Rustavi 2 and Imedi are the most interesting based on their coverage of the whole territory of Georgia and a huge influence on its solid base of viewers. Unfortunately, our monitoring showed that these two TV companies allocated the least amount of time to election issues. In addition to practically ignoring the topic, they demonstrated a tendency to present different subjects in different ways: namely, an obviously positive tone was adopted in reporting the activities of the governing party, President of Georgia and the government.

Programs which were broadcast on Maestro and Kavkasia (Caucasus) need to be mentioned separately as these two companies allocated the biggest amount of time to election news and discussion in the news programs, different talk shows and debates. Our analysis of the qualitative data showed that these channels demonstrated a relatively negative attitude towards the governing party. However, partial reporting was part of the personal programs and talk-shows, and was not recorded during news programs.

Based on the above reasons (limited information, period free of elections, non-existence of legal responsibility in this period), the International Society for Fair Elections and Democracy (ISFED) believes that the results of this monitoring provide an analysis of the quality of existing TV companies, rather than a study limited to the monitoring of reporting about elections. Accordingly, a study conducted during the election period will produce absolutely different results. The investigation revealed that an urgent topic like coverage of election issues does not belong to the subjects of interest for the national TV channels. The approaching elections will make it possible to define the facts which create obstacles or support correct dissemination of fact-based and balanced information. Considering the fact that the media, and especially TV, play a major role in establishing opinion among Georgian voters, it is very important to continue the monitoring process during quite an extensive period of time before the start of elections.



INTERNEWS
GEORGIA

ტელეკომპანიების მიერ იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის გაშუქება

ეკა ბერიძე
ნატა ძველიშვილი

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ინტერნიუსის მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2011 წლის 30 მაისიდან 31 დეკემბრამდე ჩატარებული კვლევის, "ტელეკომპანიების მიერ იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის გაშუქება", ანგარიშს. პროექტის მიზანი იყო საქართველოში არსებული მედიის პროფესიული სტანდარტის ზრდისა და დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობის - დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ჟურნალისტიკის განვითარების ხელშეწყობა.

კვლევა ჩატარდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული გაეროს განვითარების პროგრამის მედიის მონიტორინგის პროექტის ფარგლებში.

მეთოდოლოგია

ქართული ტელევიზიების მიერ იძულებით გადაადგილებულ პირებთან (იგპ) დაკავშირებული თემების გაშუქების მონიტორინგი ინტერნიუსმა სამ ეტაპად განახორციელა:

- პირველი ეტაპი: 2011 წლის 30 მაისი - 3 ივლისი
- მეორე ეტაპი: 2011 წლის 18 ივლისი - 3 სექტემბერი
- მესამე ეტაპი: 2011 წლის 10 ნოემბერი - 31 დეკემბერი.

ორგანიზაციამ კვლევისათვის შეარჩია ტელეარხები "საზოგადოებრივი მაუწყებელი", "იმედი", "რუსთავი 2", "მაესტრო" და "კავკასია". ტელეკომპანიების შერჩევისას ინტერნისის მონიტორინგის ჯგუფი ხელმძღვანელობდა შემდეგი კრიტერიუმებით:

- პოტენციური მაყურებლების მინიმუმ მილიონიანი აუდიტორია;
- ყოველდღიური საინფორმაციო პროგრამის არსებობა;
- სიგნალის მეტრული ან დეციმეტრული ტალღების დიაპაზონში გადაცემა.

დაკვირვება მიმდინარეობდა მხოლოდ საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებზე ე. წ. "პრაიმ-ტაიმის" პერიოდში, როდესაც მაყურებელთა რაოდენობა პიკს აღწევს.

პროექტში გამოყენებული მეთოდოლოგია ითვალისწინებდა როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის ჩატარებას. რაოდენობრივი მონაცემები მოიცავდა ეთერში გასული იმ სიუჟეტების ქრონომეტრაჟის (წამი) დათვლას, რომლებიც იგპ-ებს ეძღვნებოდათ ან სადაც ისინი ნახსენები იყვნენ. ცალკე მოხდა ისეთი სიუჟეტების დროის აღრიცხვა და დათვლა, სადაც დევნილებს თავისი აზრის გამოთქმის საშუალება ეძლეოდათ (ინტერვიუები). გარდა ამისა, მონიტორინგის ჯგუფის წევრები სწავლობდნენ გეოგრაფიულ არეალს, უთითებდნენ ინფორმაციის წყაროსა და შესაბამისი სუბიექტების მოხსენიების ტონს (პოზიტიური, ნეიტრალური და ნეგატიური). თვისებრივი მონაცემების საფუძველზე მოხდა მედიის მუშაობის ეფექტურობის ეთიკური ან პროფესიული სტანდარტების დაცვის თვალსაზრისით შეფასება.

სატელევიზიო გადაცემების კვლევის დროს მონიტორინგის ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა წინასწარ შერჩეული თემების შესწავლაზე: იგპ-ების განსახლება, მათი საცხოვრებელი პირობები, სამთავრობო და საერთაშორისო დახმარების პროგრამები, დასაქმება, ჯანდაცვა, დევნილების ინტეგრაცია ახალ საცხოვრებელ გარემოში, საკუთრების დაკანონება, საკუთრების უფლება კონფლიქტის ზონაში, იგპ-ების დაბრუნება საკუთარ სახლებში, ნდობის აღდგენა იგპ-ების მონაწილეობით. მოგვიანებით ამ თემებს დაემატა საქველმოქმედო დახმარების საკითხიც.


მონიტორინგის სუბიექტები იყვნენ: იგპ-ები/დევნილები, პრეზიდენტი, პარლამენტი, მთავრობა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, მმართველი პარტიისა და ოპოზიციის წარმომადგენლები.

კვლევის ძირითადი შედეგები

რაოდენობრივი ანალიზი


კვლევის პირველ ორ ეტაპზე ტელეკომპანიების მიერ დევენილებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების ჯამურმა ქრონომეტრაჟმა 12,044 წამი ანუ 3 საათი და 21 წუთი შეადგინა (იხ. დიაგრამა #1). ყველაზე მეტი დრო მათ ტელეკომპანია “კავკასიამ” დაუთმო (6,914 წამი, დაახლოებით 2 სთ). არხის მიერ იგპ-ების პრობლემების განხილვა ყველაზე ინტენსიურად მათი ახალ საცხოვრებელ ადგილებში გადაყვანის პერიოდში ხდებოდა. “კავკასიას” მოსდევდა “საზოგადოებრივი მაუწყებელი”, რომელმაც დევენილების თემას საგრძნობლად ნაკლები, მაგრამ სხვა ტელეკომპანიებთან შედარებით მეტი დრო დაუთმო (817 წამი ანუ 13.37 წუთი). ყველაზე მცირე დრო იგპ-ების საკითხების გაშუქებას ტელეკომპანია “იმედმა” მიუძღვნა (146 წამი ანუ 2 წუთი და 26 წამი).

დიაგრამა #1: ტელევიზიების მიერ იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების საერთო ქრონომეტრაჟი (სთ/წთ/წმ, 2011 წლის 30 მაისი - 3 სექტემბერი).



დევენილებისათვის პრობლემური თემებიდან ყველაზე მეტი დრო ტელევიზიებმა მათ განსახლებასა (2.31 საათი) და ძველ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნების საკითხს (36 წუთი) მიუძღვნეს. გარდა ამისა, იყო თემები, რომლებიც მონიტორინგისთვის შერჩეული ტელეკომპანიების ყურადღების მიღმა დარჩა.

დიაგრამა #2: ტელევიზიების მიერ იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული ცალკეული თემების გაშუქების ქრონომეტრაჟი (სთ/წთ/წმ, 2011 წლის 30 მაისი - 3 სექტემბერი).




უნდა ითქვას, რომ საკითხები, რომელთა შესახებაც ინფორმაცია ახალი ამბების კატეგორიაში გადაიცემა, ტელეკომპანიების მიერ მოგვიანებით აღარ განიხილება და მაყურებელი ვერ იგებს კონკრეტული ამბის შესაძლო განვითარების შესახებ.

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ მიუხედავად დევნილთა საკითხებისადმი დათმობილი საკმაოდ მოკრძალებული საერთო დროისა, "საზოგადოებრივმა მაუწყებელმა" იგპ-ებთან დაკავშირებული ყველაზე მეტი თემა მიმოიხილა.

ტელეკომპანიების მიერ სუბიექტების გაშუქების სიხშირით პირველი ადგილი დაიკავეს „დევნილებმა“ (58%), მეორე „მთავრობამ“ (22%), მესამე კი „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ“ (17%). დარჩენილი ჯამური 3% სხვა სუბიექტებს შორის გადანაწილდა (პარლამენტი, მმართველი პარტია, ოპოზიცია, ომბუდსმენი და პრეზიდენტი).

მონიტორინგის ჯგუფმა კვლევისას ყურადღება მიაქცია ასევე იმას, ვინ საუბრობდა დევნილთა პრობლემების შესახებ: საკუთრივ დევნილი თუ სხვა სუბიექტი. როგორც გაირკვა, დევნილთა საკითხებზე ძირითადად სხვები საუბრობდნენ (86%).

დიაგრამა #3: ტელევიზიების მიერ იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებული საკითხების პირდაპირი და არაპირდაპირი განხილვის საერთო ქრონომეტრაჟი (სთ/წთ/წმ, 2011 წლის 30 მაისი - 3 სექტემბერი).



რაოდენობრივმა ანალიზმა გამოავლინა, რომ ტელევიზიების მიერ სხვადასხვა სუბიექტის გაშუქების ტონი ძირითადად ნეიტრალური იყო. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა ხელისუფლება (მთავრობა და სამინისტრო), რომლის შესახებ ლაპარაკიც უმეტესწილად უარყოფითი ტონით წარიმართებოდა. ხელისუფლების ქმედებებს უარყოფითად ყველაზე ხშირად “კავკასია” და “მაესტრო” მიმოიხილავდნენ.

თვისებრივი ანალიზი

მონიტორინგის პირველ ეტაპზე (2011 წლის 30 მაისი - 3 ივლისი) წარმოებული დაკვირვებისას ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ ინფორმაცია იგპ-ების შესახებ მაყურებელს უმეტესწილად გაკვრით, სხვა თემებთან დაკავშირებულ კონტექსტში მიეწოდებოდა. კვლევის მთელი პერიოდის განმავლობაში ტელეკომპანია „მაესტროს“ საინფორმაციო გამოშვებებში დევნილთა პრობლემების შესახებ მომზადებული მხოლოდ ოთხი სიუჟეტი გადაიცა. დანარჩენ ოთხ ტელეკომპანიას (“საზოგადოებრივი მაუწყებელი”, “რუსთავი 2”, “იმედი” და “კავკასია”) საგანგებოდ იგპ-ებისთვის მიძღვნილი სიუჟეტი საერთოდ არ მოუმზადებია.

არც ერთ ტელევიზიას არ აუღნიშნავს ის ფაქტი, რომ 20 ივნისი დევნილთა საერთაშორისო დღეა.

მონიტორინგის მეორე ეტაპზე (2011 წლის 18 ივლისი - 3 სექტემბერი) დევნილთა პრობლემების გაშუქებას საკმაოდ დიდი დრო დაუთმეს ტელეარხებმა “მაესტრომ” და “კავკასიამ”. განსაკუთრებით გააქტიურდნენ ტელეკომპანიები აგვისტოს პირველ ნახევარში, როდესაც ცნობილი გახდა იგპ-თა საცხოვრებელი ადგილებიდან გამოსახლების მორიგი ეტაპის შესახებ.

ივლისი-სექტემბრის თვეებში ტელეკომპანია “კავკასიაზე” უშუალოდ დევნილების შესახებ მომზადებული 17 სიუჟეტი გადაიცა, “მაესტროზე” - 15, “საზოგადოებრივ მაუწყებელზე” - 2. “რუსთავი 2”-სა და “იმედს” საგანგებოდ მათთვის არც ერთი სიუჟეტი არ მიუძღვნიათ და ისინი მხოლოდ რამდენჯერმე სხვა თემებთან დაკავშირებით გაკვრით ახსენეს (“რუსთავი 2”-ზე ერთხელ, “იმედზე” 3-ჯერ). მსგავსი სიუჟეტები “საზოგადოებრივი მაუწყებლის” (2), “მაესტროსა” (2) და “კავკასიას” (3) მიერაც გადაიცა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდი იყო დევნილების მიმართ დაინტერესება ტელეკომპანია “კავკასიას” მხრიდან. ის აქტიურად გამოეხმაურა მათ პრობლემებთან დაკავშირებულ ყველა მოვლენას. არხმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო დევნილთა გამოსახლებას სასტუმრო “აფხაზეთიდან” და ამ თემის გაშუქება უშუალო გამოსახლებამდე 10 დღით ადრე ყოველდღიური, ხშირად 6-7 წუთიანი, სიუჟეტების საშუალებით დაიწყო. გადაცემის წამყვანისა და ჟურნალისტის ტონი როგორც წესი, ნეიტრალური იყო: ისინი მხოლოდ ფაქტებს აღნიშნავდნენ. თუმცა აქვე შეიძლება ითქვას, რომ მთლიანობაში დევნილთა თემის გაშუქება პოზიტიურად ხდებოდა და სიუჟეტები გაჯერებული იყო მათთან და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან ინტერვიუებით (სიუჟეტში რვა-ცხრა, ზოგჯერ თორმეტი ინტერვიუც კი იყო).

იგპ-თა შესახებ საუბრისას ტელეკომპანია “მაესტროს” ჟურნალისტების ტონი უმეტესად დადებითი იყო და მათ მიმართ კეთილგანწყობა წამყვანის შესავალიდანაც იგრძნობოდა. თავად დევნილთა ინტერვიუს გარეშე თითქმის არც ერთი სიუჟეტი არ მომზადებულა.

“საზოგადოებრივმა მაუწყებელმა” კვლევის თემას მხოლოდ ორჯერ დაუთმო დრო. ორივე სიუჟეტი დევნილთა განსახლებას შეეხებოდა და გამოსახლების პროცესი ორივეჯერ დადებითად იქნა შეფასებული. წამყვანის ტონი ნეიტრალური იყო: “დევნილების დროებითი საცხოვრებელი ადგილებიდან გამოსახლების პროცესი გრძელდება” (2011 წლის 18 ივლისი), “სასტუმრო “აფხაზეთიდან” დევნილების გამოსახლების პროცესი დამთავრდა. დევნილები შეთავაზებულ პირობებს დათანხმდნენ” (2011 წლის 15 აგვისტო). სიუჟეტებში უშუალოდ დევნილს მხოლოდ ერთხელ დაეთმო დრო, ისიც 9 წამი. აქვე უნდა ითქვას, რომ სასტუმრო “აფხაზეთიდან” გამოსახლების შესახებ მომზადებული სიუჟეტი საინფორმაციო გამოშვების მესამე ბლოკში გადაიცა.

“რუსთავი 2”-სა და “იმედს” მონიტორინგის მეორე პერიოდში იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ სრული სიუჟეტი საერთოდ არ მოუმზადებიათ. ისინი იგპ-ებს იშვიათად და ისიც მხოლოდ სხვა თემებთან დაკავშირებით, გაკვრით ახსენებდნენ.

მონიტორინგის მესამე ეტაპის (2011 წლის ნოემბერი-დეკემბერი) განმავლობაშიც გაგრძელდა იძულებით გადაადგილებული პირების შესახებ მაყურებლისთვის ინფორმაციის სხვა თემებთან დაკავშირებულ კონტექსტში მიწოდების ტენდენცია. უნდა აღინიშნოს გამოჩენილი იქნა, როცა “კავკასიას”, “მაესტროსა” და “რუსთავი 2“-ის ეთერით უშუალოდ იგპ-ების პრობლემის შესახებ მომზადებული სიუჟეტები გადაიცა. “კავკასიაზე” - 5, ხოლო “მაესტროსა” და “რუსთავი 2-ზე” ორ-ორი სიუჟეტი. “იმედს”, როგორც წინა ეტაპებზე, უშუალოდ დევნილებისთვის დრო არ დაუთმია და მაყურებელს ინფორმაციის სხვა წყაროებზე დაყრდნობით აწვდიდა (3 სიუჟეტი). იგპ-ებზე სიუჟეტი ამჯერად არც “საზოგადოებრივ მაუწყებელს” მოუმზადებია. აქაც დევნილებს მხოლოდ სხვა მოვლენებთან კავშირში ახსენებდნენ (4 სიუჟეტი). მსგავსი სიუჟეტები “რუსთავი 2“-ის (3), “მაესტროსა” (4) და “კავკასიას” (4) მიერაც გადაიცა. მაგალითად, პრეზიდენტის გამოსვლა ევროპის სახალხო პარტიის ყრილობაზე, სადაც მან თქვა: “ყველამ კარგად იცით 500 ათასი ქართველი იძულებით გადაადგილებულ პირის ტრაგედიის შესახებ...”; 2012 წლის ბიუჯეტის განხილვა მთავრობის სხდომაზე: “ვეგემავთ 36,000 ოჯახის ბინით დაკმაყოფილებას”; სიუჟეტები ცხინვალის დე-ფაქტო არჩევნების შედეგების შესახებ, შიდა ქართლში ახალი მულტიფუნქციური ცენტრების გახსნაზე და ასე შემდეგ.

დევნილების შესახებ მომზადებული მასალა თემების მრავალფეროვნებით არც კვლევის მესამე ეტაპზე გამოირჩეოდა. ის ძირითადად მათ ახალ საცხოვრებელ ადგილებში დაგეგმილ გადასვლას (“რუსთავი 2”, “მაესტრო”) ან გამოსახლებას (“კავკასია”) შეეხებოდა, თუმცა გადაიცა ცალკეული რეპორტაჟები სახელმწიფოს მიერ საერთაშორისო მიმართულებების სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხული დევნილების სწავლის დაფინანსების (“რუსთავი 2”: “დევნილების დაფინანსება”), დევნილთა სამოქალაქო საზოგადოების კოალიციის მიერ დევნილებსა და შესაბამის სამინისტროს შორის დიალოგის დაწყების მოთხოვნის (“კავკასია”), დევნილთა დასახმარებლად გამოყოფილი თანხების მონიტორინგის შედეგების ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიშში განხილვის შესახებაც (“კავკასია”, “მაესტრო”). მართალია, ჩამოთვლილ სიუჟეტებში პრობლემების თაობაზე უშუალოდ დევნილებს არ ულაპარაკიათ, მაგრამ თავად მათი მომზადება იგპ-თა შესახებ საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენდა.

ჟურნალისტების ტონი დევნილების მიმართ უმეტეს შემთხვევებში ნეიტრალური ან პოზიტიური იყო. საკმაოდ დიდი დრო დაუთმო მათ “კავკასიამ”, რომლის ფაქტობრივად ყველა სიუჟეტი მათთან ინტერვიუს შეიცავდა (როგორც წესი 3-4, ზოგჯერ კი მეტიც). საუბრის დროს დევნილები გამოხატავდნენ თავის ნეგატიურ დამოკიდებულებას გამოსახლების პროცესის, ხელისუფლებისა და სამინისტროს მხრიდან მათ მიმართ უყურადღებობისა და გულგრილი დამოკიდებულების

შესახებ. აქვე უნდა ითქვას, რომ “კავკასიაზე” სპეციალურად იგპებისადმი მიძღვნილ არც ერთ სიუჟეტში არ ყოფილა ნაჩვენები ხელისუფლების წარმომადგენელთა კომენტარი. გაუგებარი დარჩა, მათ უარი თავად თქვეს თავისი პოზიციის გამჟღავნებაზე თუ ტელეკომპანიამ არ ჩათვალა საჭიროდ მათი აზრის გაგება. ამ მხრივ განსახვავებული იყო ვითარება “რუსთავი 2“-ის მიერ მომზადებულ სიუჟეტებში, სადაც დრო როგორც დევნილებს, ისე სახელმწიფო მოხელეებსაც დაეთმოთ. მაგრამ “რუსთავის 2“-ის მიერ გადაცემულ მასალაში მეორე უკიდურესობა გამოიკვეთა: ამა თუ იმ საკითხზე კომენტარს ყოველთვის ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილი დევნილები აკეთებდნენ.

მონიტორინგმა გამოავლინა, რომ იგპ-ებთან დაკავშირებული თემები ტელეკომპანიების მიერ არასაკმარისად შუქდებოდა. მესამე პერიოდში შესწავლილი ხუთიდან ორ ტელეკომპანიას (“საზოგადოებრივი მაუწყებელი” და “იმედი”) უშუალოდ იგპ-ების შესახებ სიუჟეტი საერთოდ არ მოუმზადებია და მათ მხოლოდ იშვიათად და ისიც სხვა თემებთან დაკავშირებით, გაკვრით ახსენებდა.

შესაძლოა, შედეგები ოდნავ განსხვავებული ყოფილიყო, რომ არა ტელეკომპანია “მანეტრომი” განვითარებული მოვლენები (მაუწყებლობის დროებით შეწყვეტა, საგანგებო რეჟიმში მუშაობა) და გადაცემების შეზღუდული ფორმატი, რაც დევნილთა პრობლემების გაშუქებაზეც აისახა. კვლევის შედეგებზე გავლენის შესახებ დასკვნის გამოტანის უფლებას წინა ორი პერიოდის მონიტორინგის დროს მიღებული მონაცემები იძლევა.

დასკვნა

ინტერნისის მონიტორინგის ჯგუფის მიერ 2011 წლის 30 მაისიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში ჩატარებულმა კვლევამ “ტელეკომპანიების მიერ იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობის გაშუქება” ცხადყო, რომ:

1. ტელეკომპანიების მიერ იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების მიმოხილვა ფრაგმენტული ხასიათისაა და დევნილთა მდგომარეობას ადეკვატურად ვერ ასახავს. სატელევიზიო არხები „იმედი“, „რუსთავი 2“ და „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ დევნილთა პრობლემებით საინფორმაციო საბაზის არსებობის შემთხვევაშიც კი იშვიათად ინტერესდებიან. იგპ-ებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება ძირითადად სხვა თემებთან ერთად ხდება. აღსანიშნავია პრინციპი, რომ ტელეკომპანია ერთხელ განხილულ საკითხს აღარ უბრუნდება და მაყურებელი ვერ იგებს, როგორ ვითარდება კონკრეტულ პრობლემასთან დაკავშირებული მოვლენები.

2. ტელეკომპანიები დევნილთა პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებს წინასწარი განწყობით აშუქებენ და სიუჟეტის თემებსაც ამ განწყობის შესაბამისად ირჩევენ. იძულებით გადაადგილებულ პირთა ახალ საცხოვრებელ ადგილებში განსახლების საკითხის შესახებ ინფორმაცია არხებმა „კავკასია“ და „მესტრო“ გაავრცელეს და მათ მთავრობის ქმედებები უმეტესად უარყოფითი ტონით გააშუქეს მაშინ, როცა „რუსთავი 2“-მა და „იმედმა“ ასეთ „პრობლემურ“ თემებს საერთოდ აუარეს გვერდი. იმ იშვიათ შემთხვევაში, როცა ეს ორი არხი დევნილებს ასხენებდა, საუბარი შეეხებოდა მთავრობის ძალისხმევასა და დევნილთა პრობლემების მოგვარების მცდელობას.
3. მიუხედავად იმისა, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიერ დევნილებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების ინტენსივობა (დაახ. 14 წთ.) „კავკასიასთან“ შედარებით 8-ჯერ ნაკლები იყო („კავკასიამ“ იგპებს ყველაზე მეტი დრო დაუთმო (დაახ. 2 სთ.)), მან რეპორტაჟებში უფრო მეტი თემა მოიცვა.

დანართი

ბერმინის „იძულებით გადაადგილებული პირი“ განმარტება

საქართველო მსოფლიოს იმ 54 ქვეყნის სიაშია, სადაც დევნილი მოსახლეობის რიცხვი 27 მილიონს აღწერს. „იძულებით გადაადგილებული პირის“ ყველაზე სრულყოფილი და საზოგადოდ მიღებული განმარტება 1998 წელს გაეროს მიერ დამტკიცებულ სახელმძღვანელო პრინციპებშია ჩამოყალიბებული: „იძულებით გადაადგილებულ პირებად ითვლებიან ის პირები ან პირთა ჯგუფები, რომლებიც გამოძევებულ იქნენ ან იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ თავისი სახლი ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, რათა გაქცეოდნენ შეიარაღებულ კონფლიქტს, საყოველთაო ძალადობას, ადამიანის უფლებათა ხელყოფასა და სტიქიურ ან ადამიანის მიერ შექმნილ კატასტროფებს, და ამასთან, არ გადაუკვეთავთ საერთაშორისოდ აღიარებული საზღვარი“. სხვა შემთხვევაში, ანუ საზღვრის გადაკვეთისას, ისინი მოიხსენიებიან, როგორც „ლტოლვილი“.

კვლევის ანგარიშში „იძულებით გადაადგილებული პირის“ (იგპ-ის) სინონიმად გამოყენებულია ტერმინი „დევნილი“.

საერთაშორისო სტანდარტები

გაეროს მიერ დამტკიცებული სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, ყველა იგპ-ს უნდა ჰქონდეს ადექვატური ცხოვრების უფლება, რაც გულისხმობს წვდომას საკვებზე, სასმელ წყალზე, თავშესაფარზე, ტანსაცმელსა და გადაუდებელ სამედიცინო დახმარებაზე. სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად არსებობს მთელი რიგი უფლებებისა, რომელთა დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა.

დევნილთა საკითხების შესახებ არსებულ მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს გაეროს მიერ 2005 წლის 28 ივნისს დამტკიცებული ე. წ. „პინეიროს პრინციპები“, სადაც აღიარებული და დეკლარირებულია შემდეგი: დევნილთა ქონების რესტიტუციის (ანუ აღდგენის), ადექვატური საცხოვრებელი პირობების, კომპენსაციის, უსაფრთხო და ღირსეულ გარემოში ცხოვრების უფლება. ამასთანავე, აღნიშნულია სახელმწიფოს მიერ შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნისა და მისი ადამიანის საერთაშორისო უფლებებთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობა.

2009 წლის 29 დეკემბერს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ დაამტკიცა დანართი, რომელიც შეიცავდა „იძულებით გადაადგილებულ პირთათვის პრობლემის გრძელვადიანი გადაწყვეტის ჩარჩო-პრინციპებს“. გრძელვადიანი გადაწყვეტა გულისხმობს ეტაპს, როდესაც დევნილები აღარ საჭიროებენ სპეციფიკურ დახმარებასა და დაცვას. ამის მიღწევა მათი მუდმივ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნებით, ადგილობრივი ინტეგრაციით ან ქვეყნის სხვა რომელიმე ნაწილში განსახლებითაა შესაძლებელი.

იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი დოკუმენტია ევროპის საბჭოს მიერ 2009 წელს შემუშავებული № 1877 რეკომენდაცია, რომელიც სახელმწიფოებს ისეთი ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შექმნისკენ მოუწოდებს, რომელშიც მკაფიოდაა განსაზღვრული დევნილთა დაცვის ეფექტური მექანიზმები.

საქართველოს კანონმდებლობა და სახელმწიფო პოლიტიკა

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (შემდგომში „სამინისტრო“) 2010 წლის იანვრის მონაცემებით საქართველოში 249,365 დევნილი ცხოვრობს (87,962 ოჯახი). 1990-იანი წლების მოვლენების შედეგად დევნილები საქართველოს მასშტაბით 1,540 კომპაქტური ჩასახლების ცენტრში არიან გადანაწილებული. მათგან 735 ცენტრი თბილისში, 805 კი საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მდებარეობს. 2010 წლის იანვრის მონაცემებით, სამინისტრომ

23,000 დევნილი ოჯახის (8,000 ე. წ. ახალი და 15,000 ე. წ. ძველი დევნილი ოჯახი) საცხოვრებლის პრობლემა უკვე გადაჭრა.

საქართველოს ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით იგპ-ებთან დაკავშირებულ ძირითად მარეგულირებელ აქტს 1996 წელს მიღებული კანონი “იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ” წარმოადგენს. კანონი განმარტავს დევნილის ცნებას, დევნილად ცნობისა და დევნილის სტატუსის მინიჭების წესს, მათ ძირითად უფლებებსა და ვალდებულებებს.

გარდა ამისა, 2006 წლის 29 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი “ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში კონფლიქტის შედეგად საქართველოს ტერიტორიაზე დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციისა და კომპენსაციის შესახებ”.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტია საქართველოს მთავრობის მიერ 2008 წლის 30 ივლისს მიღებული განკარგულება № 489 “იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ”. დოკუმენტი მას შემდეგ რამდენჯერმე განახლდა.

სახელმწიფო სტრატეგია განსაზღვრავს საქართველოს მთავრობის მიდგომას დევნილთა მიმართ. მის საფუძველზე ხდება სამოქმედო გეგმით დეტალურად განსაზღვრული სხვადასხვა ღონისძიების ჩატარება და ამ პროცესში ყველა მთავარი პრინციპის სრულად დაცვა, რაც მოიცავს საინფორმაციო კამპანიის მეშვეობით დევნილთა ინფორმირებას სამოქმედო გეგმის ყველა ასპექტის შესახებ, მათი იგპ-თა პრობლემებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებისა და გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში სრული ჩართულობის უზრუნველყოფას და მათთვის გააზრებული და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების საშუალების მიცემას.

უნდა ითქვას, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობა მეტ-ნაკლებად სრულყოფილია და კანონსა და კანონქვემდებარე აქტებში ასახული ძირითადი პრინციპები და ნორმები არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს. მიუხედავად ამისა, კანონმდებლობით გათვალისწინებული პრინციპების დანერგვის პროცესში მაინც იქმნება გარკვეული პრობლემები.



REPORTING ABOUT THE STATE OF INTERNALLY DISPLACED PERSONS BY GEORGIAN TV CHANNELS

Eka Beridze
Nata Dzvelishvili

INTRODUCTION

The following document presents a report of the research that was conducted by a monitoring group from Internews Georgia between May 30 and December 31, 2011, and concerned the reporting of the state of internally displaced persons by Georgian TV channels. The investigation pursued the goal to support the development of independent and impartial reporting - one of the most important prerequisites on the way to enhanced professional media standards and democracy.

The research was carried out in the framework of the UNDP project Development of Media Monitoring Capacities in Georgia funded by the European Union.

METHODOLOGY

Internews Georgia carried out monitoring of the reporting about IDPs by Georgian TV channels in three phases:

- Phase one: May 30 – July 3, 2011
- Phase two: July 18 – September 3, 2011
- Phase three: November 10 – December 31, 2011.

The monitoring group selected the following five TV channels for participation in the survey: Public Broadcaster, Imedi, Rustavi 2, Maestro and Kavkasia (Caucasus). The selection process was based on the following criteria:

- Minimum of one million potential viewers;
- Daily news program;
- Range of a signal emission of meter or decimetre waves.

The monitoring covered the evening news programs that were aired in the so called “prime time” period when the number of viewers is at its highest.

The investigation combined quantitative and qualitative research. Quantitative data included information about the duration (seconds) of reports dedicated to or mentioning IDPs, separate registration of reports where IDPs were given an opportunity to express themselves (interviews), the geography of coverage, information sources and the tone the relevant subjects were mentioned in (positive, neutral and negative). The qualitative part of the data collection concentrated on assessing the effectiveness of media activities and the maintaining of ethical and professional standards.

During the study of TV programs, the monitoring group focused on an analysis of the following preselected topics: resettlement of IDPs, their living conditions, governmental and international support programs, employment, healthcare, integration of IDPs in their new living environment, legalization of ownership, the right to ownership in a conflict zone, the return of IDPs to their places of residence, restoration of trust with the participation of IDPs. Later, the issue of charity was also added to the list of research topics.


The monitoring involved studying the following subjects: IDPs/refugees, President, parliament, government, Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Accommodation and Refugees of Georgia, representatives of the governing party and the opposition.

PRINCIPAL FINDINGS

Quantitative Analysis


The duration of reporting about the IDPs during the first two phases of monitoring totalled 12,044 seconds, i.e. 3 hours and 21 minutes (see Diagram #1). The biggest amount of time (6,914 seconds i.e. appr. 2 hours) was dedicated to the topic by Kavkasia (Caucasus). The most intensive coverage of the problems by the channel took place during the resettlement of refugees in new residential areas. Kavkasia (Caucasus) was followed by the Public Broadcaster which, although allocating less time than Kavkasia to the issue, gave more time (817 seconds i.e. 13.37 minutes) than the other TV channels. Imedi was the one which demonstrated the least interest towards the problems of IDPs (146 seconds i.e. 2 minutes and 26 seconds).

Diagram #1: Total Duration of Reporting about IDPs by TV Channel (hour/minute/second, May 30 – September 3, 2011).



Among the most covered problematic issues were resettlement (2.31 hours) and return to old places of residence (36 minutes). In addition, there were also themes which remained beyond the coverage of the selected TV channels.

Diagram #2: Duration of Reporting about Specific Issues Concerning the IDPs by TV Channels (hour/minute/second, May 30 – September 3, 2011).




It has to be mentioned that the TV channels do not offer the viewers any follow-up information concerning the issues that have already been covered in the section of the news. Consequently, viewers are not informed about possible developments in a specific story.

Monitoring revealed that, despite their provision of the least amount of time dedicated to discussion of IDPs' problems, Public Broadcaster was the best in delivery of the biggest number of different topics.

'IDPs' was the most frequent subject to be discussed (58%). It was followed by the "government" (22%) and the "Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Accommodation and Refugees of Georgia" (17%). The remaining 3% were distributed among the other subjects (parliament, governing party, opposition, ombudsman and the President).

In the process of research, the monitoring team also paid attention to who was talking about the problems of IDPs: the refugees themselves or other subjects. Our study showed that problems of the IDPs were mostly discussed by third parties (86%).

Diagram #3: Total Duration of Direct and Indirect Reporting about IDPs by TV Channels (hour/minute/second, May 30 – September 3, 2011).



Quantitative analysis showed that televisions mostly used a neutral tone during the coverage of different subjects. An exception to this rule concerned the authorities (government and the Ministry), which as a rule were mentioned in a negative way. A negative tone was most frequently used by Kavkasia (Caucasus) and Maestro.

QUALITATIVE ANALYSIS

During the **first phase** of monitoring (May 30 – July 3, 2011) it became obvious to the team of researchers that information about the IDPs was mostly presented to the viewers in a brief way and in connection with other themes. During the entire period of research, Maestro broadcast only four reports about the research issues. The other four TV channels (Public Broadcaster, Rustavi 2, Imedi and Kavkasia (Caucasus)) did not produce a single report dedicated solely to the IDPs.

None of the channels mentioned the fact that June 20 is International IDPs Day.

During the **second phase** of monitoring (July 18 – September 3, 2011), TV channels Maestro and Kavkasia (Caucasia) devoted a substantial amount of time to reporting the problems of IDPs. The channels became especially active in the first half of August, when the news about another round of resettlement became public.

During July-September, Kavkasia (Caucasus) broadcast 17 reports that were solely dedicated to the research issues, while Maestro aired 15 reports and Public Broadcaster two. Rustavi 2 and Imedi did not produce any reports exclusively devoted to the problems of the IDPs. They just briefly mentioned their problems in connection with other topics (Rustavi 2 - 1 report, Imedi - 3 reports). Similar material was also aired by the Public Broadcaster (2), Maestro (2) and Kavkasia (Caucasus) (3).

As already mentioned, Kavkasia (Caucasus) expressed the biggest interest towards the IDPs and actively reacted to all occurrences regarding their problems. This channel became specifically interested in the story of their eviction from the Abkhazia hotel and started to broadcast 6-7 minute reports on the issue 10 days prior to the beginning of the process. The tone of the program moderator usually remained neutral: he only presented the facts. However, it can be said that, in general, issues concerning IDPs were covered in a positive way. Reports included interviews with both IDPs and representatives of the opposition parties (each report containing 8-9, sometimes even 12 interviews).

During the coverage of IDPs, the tone of the journalists from the TV channel Maestro was mostly positive. A positive attitude could be felt from the very introduction to the report as well. Almost every story included an interview with a refugee.

Public Broadcaster became interested in the research issues only twice. Both reports informed the viewers about the resettlement of the IDPs. The process of their eviction from the dwellings was both times given a positive assessment. The moderator's tone was neutral: "Eviction of the IDPs from their temporary housing continues" (July 18, 2011), "Eviction of the IDPs from the Abkhazia hotel is completed. IDPs agree to the proposed conditions." (August 15, 2011). Reports focused exclusively on IDPs only once and for 9 seconds. It has to be mentioned that the news about the eviction of the refugees from the Abkhazia hotel was broadcast in the third section of the news program only.

Rustavi 2 and Imedi did not produce any reports about the topics of research during the second period of monitoring at all. They mentioned the IDPs only rarely and in connection with other themes.

The trend of informing viewers about the problems of displaced persons in connection with other contexts and themes continued during the third phase of monitoring too (November-December 2011). However, there were some exceptions made to the general trend too: during this period Kavkasia (Caucasus) (5), Maestro (2), and Rustavi 2 (2) did broadcast reports exclusively dedicated to the IDPs. As in the previous phases, Imedi covered the topic in an indirect way and transmitted information which was based on stories told by third parties (3 reports). Public Broadcaster did not produce any direct reports either and mentioned the IDPs only in connection with other events (4 reports). A similar coverage approach was chosen by Rustavi 2 (3), Maestro (4) and Kavkasia (Caucasus) (4) as well. Examples were the speech of the President at the European People's Party convention where he said: "We are all well aware of the tragedy of 500,000 Georgian IDPs..."; in a discussion of the 2012 budget government session: "We plan to provide housing for 36,000 families"; in reports about the de

facto elections in Tskhinvali; the inaugurations of new multifunctional centres in Shida Kartli etc.

Broadcast material during the third phase of the monitoring was not marked by diversity of topics. Channels mainly focused on the planned relocation to new residential areas (Rustavi 2, Maestro) or the eviction process (Kavkasia (Caucasus)). At the same time, they aired a number of reports about financial support of the government for the internally displaced MA students pursuing an international track in different subjects (Rustavi 2: Financial Support for the IDPs), a request for a start of a dialogue between the IDPs and the relevant Ministry (made by the Coalition of IDP Civil Society, Kavkasia (Caucasus)), a report by the Young Lawyers' Association regarding monitoring of the support funds which were allocated for the IDPs (Kavkasia (Caucasus), Maestro). It is true that the mentioned reports did not provide the IDPs with an opportunity to talk about the problems, but even the fact of their production and the desire to inform the public about the issues already presents an important fact.

The tone in discussing the IDPs was neutral or positive in most of the cases. Kavkasia (Caucasus) was the leader in their coverage based on duration of reports. Practically every piece of information aired by the channel contained an interview (as a rule 3-4, sometimes even more). During the talks, IDPs expressed their negative attitude towards the process of eviction and blamed the Ministry and the government for neglect and their indifferent attitude towards them. It has to be mentioned that there was not a single report broadcast and exclusively devoted to the IDPs by Kavkasia (Caucasus), which included comments by representatives of the government. It was unclear whether they refused to reveal their opinion regarding the issue or if it was the TV channel that decided not to include it in the report. Slightly different was the situation with Rustavi 2. The channel gave opportunities to express themselves to IDPs and the representatives of the governmental offices as well. However, material aired by Rustavi 2 revealed another extreme: comments on different subjects were always made by the IDPs who were loyal to the government.

The monitoring showed that the IDPs and related issues were not sufficiently covered by the TV channels. During the third period of research, two out of five TV channels (Public Broadcaster and Imedi) did not produce a single report that exclusively covered problems of the IDPs. They only mentioned them quite rarely and in connection with some other topics.

The results could have been slightly different if not for the events surrounding Maestro (temporarily suspended broadcasting, work under special conditions) and the limited format of coverage that influenced reporting about the IDPs as well. Conclusions about the influence on the outcomes of the investigation can be made following the data generated during the first two phases of the monitoring.

CONCLUSION

The study of the reporting about the state of internally displaced persons by Georgian TV channels, which was conducted by Internews Georgia in the period of May 30 - December 31, 2011, revealed that:

1. Reporting on the problems of IDPs by the TV channels is of a fragmentary character and does not adequately reflect the existing situation. TV channels Imedi, Rustavi 2 and the Public Broadcaster rarely get interested in the problems of IDPs even if there is enough reason for covering the topic. Issues that are connected with IDPs are mainly discussed along with some other topics. It has to be mentioned that, according to the general trend, TV programs do not follow up on the aired information and the viewers have no opportunity to learn about further developments of specific problems.
2. TV channels report on the issues regarding the IDPs with a preliminary attitude and select the topics for reports based on this attitude as well. During coverage of the resettlement of the IDPs to new places, Kavkasia (Caucasus) and Maestro broadcast the information about the actions of the government mostly in a negative way. At the same time, Rustavi 2 and Imedi fully ignored problematic topics. These channels rarely mentioned the IDPs and, in the rare cases when this happened, they talked only about the initiatives of the government and attempts to solve the problems.
3. Despite the fact that the intensity of Public Broadcaster's reporting about the IDPs was 8 times lower (app. 14 minutes) compared to Kavkasia (Caucasus), which devoted to the issues of research the highest amount of time (app. 2 hours), the channel covered the biggest number of diverse topics.

ADDENDUM

Definition of the Term "Internally Displaced Person"

Georgia is on the list of 54 countries where the number of displaced population exceeds 27 million. The most perfect and generally accepted definition of the term "Internally Displaced Person" is given in Guiding Principles on Internal Displacement, prepared by the United Nations in 1998: "Internally displaced persons (also known as DPRE in many civil and military organizations which assist) are persons or groups of persons who have been forced or obliged to flee or to leave their homes or places of habitual residence, in particular as a result of or in order to avoid the effects of armed conflict, situations of generalized violence, violations of human rights or natural or human-made disasters, and who have not crossed an internationally recognized State border." In cases when a border is crossed, they are referred to as "refugees".

This report of monitoring uses the term "refugee" as a synonym of "Internally Displaced Person" (IDP).

International Standards

Following the “Guiding Principles” of the UN, every IDP has the right to an adequate habitat. That includes access to food, drinking water, shelter, clothes and first medical aid. The “Guiding Principles” define the whole list of the rights that should be guaranteed by the state.

An important document concerning the IDPs is the so-called “Pineiro Principles”, which was adopted by the UN on June 28, 2005. The document acknowledges and declares the following topics: restitution of property of IDPs, adequate habitat, compensation and right to live in a safe and worthy environment. It also mentions the responsibility of the state to create a relevant legislative base and ensure its compatibility with international human rights.

On December 29, 2009, the United Nations Human Rights Council adopted the addendum Framework on Durable Solutions for Internally Displaced Persons. Durable solutions mean achievement of the phase when IDPs are no more in the need of specific aid and protection. That becomes possible after their return to their places of permanent residence, local integration or their resettlement in other parts of the country.

An important document protecting rights of the IDPs is the Recommendation #1877 of the European Council. It was adopted in 2009 and calls states to elaborate a national strategy and an action plan which would clearly define effective mechanisms for their protection.

Georgian Legislation and the State Policy

According to the January 2010 data of the Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Accommodation and Refugees of Georgia (later referred as the “Ministry”), for the time being there are 249,365 IDPs living in Georgia (87,962 families). Persons who were internally displaced after the events of the 1990s are distributed in 1,540 centres of compact settlement on the whole territory of Georgia. 735 centres are located in Tbilisi, and 805 in different regions of Georgia. Based on the information from January 2010, the Ministry has already solved the problem of living space for 23,000 families (8,000 so called “new” and 15,000 so called “old” ID families).

The principal regulatory act of the Georgian legislation regarding the IDPs is the Law About Internally Displaced Persons from 1996. It interprets the concept of the Internally Displaced Person, regulation on awarding the IDP status, basic rights and responsibilities. In addition, on December 29, 2006, the Parliament of Georgia adopted the Law on Property Restitution and Compensation for the Victims of Conflict in the Former South Ossetian Autonomous District in the Territory of Georgia.

One more important document is the Order #489 of the Government of Georgia from July 30, 2008, about Adoption of the Action Plan for the Implementation of the State Strategy on IDPs. This document has since been reviewed and renewed several times.

The state strategy determines the approach of the Government of Georgia towards IDPs. Based on the strategy, it carries out different actions as determined in the action plan. All major principles have to be fully maintained, including providing the IDPs with information about each aspect of the action plan through information campaigns, their full involvement in the process of decision making regarding the problems of IDPs, planning of the actions as foreseen in the action plan and making of well conceived and informed decisions.

It has to be said that the Georgian legislation concerning the issues of IDPs is more or less perfect. The principles and norms which are defined by the law and legislative acts are in compliance with international standards. However, the government still encounters certain problems in implementing the principles that are set out in the legislative acts.



INTERNEWS
GEORGIA

გენდერული ძალადობის გაშუქების ხარისხი ქართულ ბეჭდურ მედიაში

გიორგი თაბაგარი
დიანა ჩაჩუა

შესავალი

ინტერნისი-საქართველომ ქართული ბეჭდური მედიის მიერ გენდერული ძალადობის გაშუქების ხარისხის შესწავლის მიზნით 2011 წლის 16 მაისიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში საქართველოში გამოცემული ეროვნული და რეგიონული გაზეთების მონიტორინგი განახორციელა. კვლევის მიზანი იყო მედიის მომხმარებლებისა და ამ სფეროში დასაქმებული პროფესიონალებისთვის (რედაქტორები, ჟურნალისტები, მედიის ექსპერტები, მკვლევარები, კრიტიკოსები) გენდერული ძალადობის საკითხების გაშუქების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის შედეგების მიწოდება და პრობლემის საქართველოში არსებული მასშტაბის შესწავლა.

კვლევა ჩატარდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული გაეროს განვითარების პროგრამის მედიის მონიტორინგის პროექტის ფარგლებში.

მეთოდოლოგია

ინტერნისი-საქართველომ ქართულ ბეჭდურ მედიაში გენდერული ძალადობის თემის განხილვის ხარისხზე დაკვირვება სამ ეტაპად ჩაატარა:

- პირველი ეტაპი: 2011 წლის 16 მაისი - 3 ივლისი
- მეორე ეტაპი: 2011 წლის 18 ივლისი - 3 სექტემბერი
- მესამე ეტაპი: 2011 წლის 10 ნოემბერი - 31 დეკემბერი

კვლევის პერიოდის განმავლობაში მონიტორინგის ჯგუფმა მოახდინა მოპოვებული მასალის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი ანალიზი. რაოდენობრივი ანალიზი მოიცავდა წინასწარ განსაზღვრულ ბეჭდურ გამოცემებში ძალადობის საკითხისადმი დათმობილი სივრცის გაზომვას, გაშუქების ტონის (დადებითი, ნეიტრალური, უარყოფითი) შეფასებას, სუბიექტისა და ძალადობის ტიპის განსაზღვრას, ინფორმაციის წყაროს დადგენას, საკითხის გეოგრაფიის შესწავლას, სტატიისთვის გამოცემაში დათმობილი გვერდების გადანაწილების გაზომვას და იმის დადგენას, მასალამთლიანად თუ მხოლოდ ნაწილობრივ ეძღვნებოდა საკვლევ თემას. თვისებრივი ანალიზი ითვალისწინებდა მედიის საშუალებების მიერ შემოთავაზებული ინფორმაციის სიზუსტისა და სანდოობის დადგენას, გაზეთების მხრიდან საზოგადოებრივი აზრის ე. წ. **“spin”** ტაქტიკით მანიპულირების მცდელობების გამოვლენასა და მიკერძოებულობისა და დისკრიმინაციული ლექსიკის გამოყენების ფაქტების აღრიცხვას.

ბეჭდური გამოცემების შერჩევისას *ინტერნისი-საქართველომ* შემდეგი კრიტერიუმები გამოიყენა:

- ეროვნული და რეგიონული დაფარვა და ტირაჟი;
- გამოქვეყნების ინტენსივობა (ყოველკვირეული და ყოველდღიური);
- გამოცემების სამოქალაქო და პოლიტიკური საკითხებით დაინტერესება;

ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით ეროვნული და რეგიონული გაზეთებიდან თორმეტი გამოცემა შეირჩა: “ახალი თაობა”, “ალია”, “კვირის ქრონიკა”, “კვირის პალიტრა”, “ვერსია”, “24 საათი”, “რეზონანსი”, “ასავალ-დასავალი”, “ბათუმელები”, “პრაიმ-ტაიმი”, “ახალი გაზეთი”, “სამხრეთის კარბჭე”.

საკვლევ თემებად ძალადობის შემდეგი ტიპები განისაზღვრა: სიტყვიერი შეურაცხყოფა, სქესობრივი დისკრიმინაცია, ცემა, გაუპატიურება, პედოფილია, მკვლელობა, ფსიქოლოგიური და ფინანსური ზეწოლა, მოტაცება, დისკრიმინაცია სამსახურში, ოჯახსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

მონიტორინგის სუბიექტებს წარმოადგენდნენ: ქალი, მამაკაცი, ცოლი, ქმარი, საქმრო, საცოლე, მეგობარი ბიჭი, მეგობარი გოგონა, პარტნიორი ქალი, პარტნიორი მამაკაცი, პოლიცია, მოძალადე, მოძალადის ადვოკატი, სასამართლო, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია, სასაჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, დაზარალებულის ადვოკატი, მონმე, მთავრობა, პროკურატურა, პრეზიდენტი და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

მუშაობის პერიოდში მონიტორინგის ჯგუფის წევრები, რომლებმაც გაიარეს მოსამზადებელი სემინარები, ინტერნეზი-საქართველოს მიერ ექსკლუზიურად ამ პროექტისთვის შექმნილი მონაცემთა მართვის პროგრამის დახმარებით (პროგრამა იყენებს “დრუპალის”¹ ღია პლატფორმას)² ყოველდღიურად ახდენდნენ კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში შეყვანას.

კვლევის ძირითადი შედეგები

პრობლემის მიმოხილვა

გენდერული ძალადობა ის უნივერსალური პრობლემაა, რომელსაც ყველა კულტურასა და სოციალურ ჯგუფში ვხვდებით. გაეროს მოსახლეობის ფონდის მონაცემებით მსოფლიოს მასშტაბით სულ მცირე ყოველი მესამე ქალი ცემის, იძულებითი სექსუალური კავშირის ან სხვაგვარი ძალადობის მსხვერპლია. ყველაზე ხშირია ძალადობა ნაცნობი ადამიანების, ოჯახის წევრების, დამსაქმებლებისა და თანამშრომლების მხრიდან. ოთხიდან ერთი ქალი ძალადობის მსხვერპლი ფეხმძიმობის პერიოდში ხდება. ქალთა მიმართ ძალადობას “მთელ მსოფლიოში ყველაზე მასშტაბურ, მაგრამ ყველაზე ნაკლებად აღიარებულ ადამიანის უფლებების დარღვევის ფორმად”² მიიჩნევენ.

გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) განმარტების თანახმად “გენდერული ძალადობა ასახავს და აძლიერებს უთანასწორობას ქალებსა და მამაკაცებს შორის და ხელყოფს მსხვერპლთა ჯანმრთელობას, ღირსებას, უსაფრთხოებასა და დამოუკიდებლობას.

1 Drupal შინაარსის მართვის ღია, უფასო სისტემაა, რომელსაც მსოფლიოში 7 მილიონზე მეტი ვებ-გვერდი ეფუძნება. მათ შორისაა როგორც პერსონალური ბლოგები, ასევე კორპორატიული, პოლიტიკური და სახელმწიფო უწყებების ვებგვერდები, მაგალითად whitehouse.gov და data.gov.uk

2 CARE, მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი საერთაშორისო არასამთავრობო ჰუმანიტარული ორგანიზაცია, <http://www.care.org/campaigns/voices-against-violence/index.asp>

ის მოიცავს ადამიანის უფლებების დარღვევის ფართო სპექტრს და აერთიანებს ბავშვების სქესობრივ შეურაცხყოფას, გაუპატიურებას, ოჯახურ ძალადობას, სქესობრივ ძალადობასა და შევიწროებას, ქალებისა და გოგონების ტრეფიკინგსა და რამდენიმე საზიანო ტრადიციულ პრაქტიკას. ჩამოთვლილი ქმედებებიდან ნებისმიერს შეუძლია ქალებისა და გოგონებისათვის ღრმა ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზიანის მიყენება მათი რეპროდუქციული და სქესობრივი ჯანმრთელობის ჩათვლით. შესაძლოა, ზოგ შემთხვევაში ძალადობა ფატალური შედეგითაც კი დასრულდეს”.

საკითხთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობა

საქართველო კონსერვატული საზოგადოების, ღრმად ფესვგადგმული რელიგიური და პატრიარქალური ტრადიციების ქვეყანაა, სადაც ძლიერია ქალთა დისკრიმინაცია და გენდერული ძალადობის სხვადასხვა ფორმა მისაღებად ითვლება.

საქართველოს კანონმდებლობა არ იყენებს ტერმინს “გენდერული ძალადობა” (Gender-Based Violence) თუმცა, საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ, აგრეთვე სამოქალაქო კოდექსითა და სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრული რეგულაციები აწესრიგებს ოჯახური ძალადობის დაძლევის, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების, ტრეფიკინგთან ბრძოლის სხვადასხვა ასპექტს.

მონიტორინგის შედეგები

საქართველოში 2009 წელს ჩატარებული ეროვნული კვლევის³ შედეგად დადგინდა, რომ გათხოვილი ქალებიდან ყოველი მეთერთმეტე ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია. როგორც კვლევა აჩვენებს, ქალების 80% დარწმუნებულია, რომ ოჯახური ძალადობის საკითხი მხოლოდ ოჯახში უნდა განიხილებოდეს, 35% გარკვეულ შემთხვევებში ამართლებს მამაკაცს, რომელიც ცოლს სცემს და ამას კანონის დარღვევად არ მიიჩნევს.

³ ეროვნული კვლევა საქართველოში ქალთა მიმართ ოჯახური ძალადობის შესახებ, საბოლოო ანგარიში, თბილისი, 2010 წ. საქართველოში ქალთა მიმართ ოჯახური ძალადობის კვლევა 2009 წელს ნორვეგიის მთავრობისა და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიერ თანადაფინანსებული პროექტის “გენდერული ძალადობის დაძლევა სამხრეთ კავკასიაში” ფარგლებში ჩატარდა.

მიუხედავად არსებული მდგომარეობისა, ინტერნეუსი-საქართველოს მიერ ჩატარებული პრესის მონიტორინგის პერიოდში გაირკვა, რომ გენდერული ძალადობა არ წარმოადგენს ქართული მედიის დაინტერესების საგანს გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შოკისმომგვრელი ინციდენტის გამომწვეურება ხდება. კვლევის პირველი ორი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის 16 მაისი-2011 წლის 3 სექტემბერი) 496 ეროვნული და რეგიონული ბეჭდური გამოცემის შესწავლამ გენდერული ძალადობის თემის განხილვის მხოლოდ 38 შემთხვევა გამოავლინა.

ბეჭდური მედიის მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ კვლევის სამივე პერიოდის განმავლობაში:

- გენდერული ძალადობის თემა არასაკმარისად განიხილება ეროვნულ და რეგიონულ ქართულ ბეჭდურ გამოცემებში. ქართულ პრესაში საკითხის შესახებ მცირე რაოდენობით მასალა ქვეყნდება;
- გამოქვეყნებული სტატიების დიდ ნაწილს ანონიმირებული რესპონდენტების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ეყრდნობა;
- გენდერული ძალადობის საკითხის გაშუქებისას ჟურნალისტები ძირითადად ნეიტრალურ ტონს იყენებენ;
- არ იბეჭდება ანალიტიკური სტატიები გენდერული ძალადობის თემაზე;


სტატიების თვისებრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ ქალები, რომლებიც დაცვასა და სხვა სერვისებს საჭიროებდნენ, პრობლემის დაძლევის მცდელობისას ბევრ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ. ძალადობის მსხვერპლი ანონიმი რესპონდენტების უმრავლესობას მათზე მოძალადე ადამიანის ეშინოდა და უნდობლად იყო განწყობილი გარეშე მხარის საქმეში ჩართვის მიმართ. დაზარალებულებს აშინებდათ ზეწოლისა და საკითხის გასაჯაროებით გამონვეული მოსალოდნელი შედეგები, კონკრეტულ შემთხვევებში კი მოძალადესა და პოლიციას შორის კარგი ურთიერთობა. აქვე უნდა გავითვალისწინოთ ქართველი ქალების წარმოდგენა თვითშეზღუდვასთან დაკავშირებით: როგორც სხვადასხვა კვლევის შედეგად გაირკვა, გამოკითხულ ქალთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ძალადობის თავიდან აცილება უფრო თავდაჭერილი ქცევის საშუალებითაა შესაძლებელი. მათი აზრით, ოჯახური პრობლემები ოჯახშივე უნდა გადაწყდეს. საქართველოში არსებული საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება ოჯახური ძალადობის განმტკიცების ერთ-ერთ ფაქტორია.

კვლევის პირველი ორი პერიოდის განმავლობაში გენდერული ძალადობის საკითხი პრესაში მხოლოდ 38-ჯერ გაშუქდა. სტატიების 80%-ის შემთხვევაში (30 სტატია) გამოქვეყნებული მასალა მთლიანად ძალადობის თემას ეძღვნებოდა, 20% (8 სტატია) საკითხს მხოლოდ სხვა თემებზე მომზადებულ პუბლიკაციებში განიხილავდა. ამ პერიოდში საკვლევი თემისადმი მიძღვნილი სტატია მხოლოდ ერთხელ დაიბეჭდა გაზეთის პირველ გვერდზე.

საკითხის გაშუქების თვალსაზრისით უნდა გამოიყოს ალია ჰოლდინგი, რომლის მიერ გამოცემული ორივე გაზეთი (ალია და კვირის ქრონიკა) გენდერული ძალადობის საკითხებისადმი მიძღვნილი სპეციალური რუბრიკის ფარგლებში რეგულარულად აშუქებს ამ თემას. აქ გამოქვეყნებული სტატიების უმეტესობა ანონიმი რესპონდენტების მონათხრობს ეფუძნება, რაც, სავარაუდოდ, კიდევ ერთხელ მიუთითებს ფაქტზე, რომ მათ ამბის საჯაროდ განხილვის შედეგებისა და მოსალოდნელი ზენოლის ემინიათ.

გაზეთებმა “კვირის ქრონიკა”, “ალია” და “პრაიმ-ტაიმი” გენდერული ძალადობის ფაქტების განხილვას ყველაზე მეტი საგაზეთო სივრცე დაუთმეს განსახვავებით “24 საათის”, “ახალ გაზეთისა” და “სამხრეთის კარიბჭისგან”, რომლებსაც ამ თემაზე არც ერთი სტატია არ გამოუქვეყნებიათ.


დიაგრამა #1: გენდერული ძალადობის საკითხის გაშუქების განაწილება ბეჭდური მედიასაშუალებების მიხედვით (2011 წლის 16 მაისი-3 სექტემბერი).



საკითხის გაშუქების ტონი


შესწავლილი პუბლიკაციების უმრავლესობა (82%) სუბიექტებს უარყოფითი ტონით მოიხსენიებდა. ამის ძირითადი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ სტატიების უმეტესობა ანონიმი დაზარალებული ქალების ინტერვიუს ეფუძნებოდა და სწორედ ისინი საუბრობდნენ უარყოფითი ტონით მოძალადეების შესახებ. სუბიექტების 17% ნეიტრალური ტონით იყო გაშუქებული, დადებითად კი სუბიექტების მხოლოდ 1%-ზე ნაკლები რაოდენობა შეფასდა.

დიაგრამა #2: სუბიექტების გაშუქების ტონი ფართობის მიხედვით (2011 წლის 16 მაისი-3 სექტემბერი).



მონიტორინგის პერიოდში უარყოფითად ძირითადად “მამაკაცი” და “ქმარი” იყვნენ გაშუქებული. მათთვის დათმობილი ფართობის 92% და 95% ნეგატიური ტონის შემცველი იყო. “ცოლი” ჩვეულებრივ ნეიტრალურ ტონში იყო მოხსენიებული, თუმცა იყო შემთხვევებიც როცა ზოგადად “ქალი” ნეიტრალურად (50%) და უარყოფითი ტონით იყო განხილული (48%).


დიაგრამა #3: გაშუქების ტონი სუბიექტების მიხედვით (2011 წლის 16 მაისი-3 სექტემბერი).



ძალადობის ტიპები

გენდერული ძალადობის ბუნებიდან გამომდინარე, ის საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა სფეროს ეხება. მიუხედავად ამისა, კვლევის პერიოდში შესწავლილი გამოცემების უმრავლესობა აქცენტს ოჯახურ ძალადობაზე აკეთებდა. განხილული შემთხვევების 56% ცემასა და ფიზიკურ ძალადობას, 15% კი გაუპატიურებას ეხებოდა. მონიტორინგის შედეგად ასევე გამოვლინდა, რომ დაზარალებულსა და მოძალადეს უმეტესწილად ოჯახური ან ინტიმური ურთიერთობა აკავშირებდა.


დიაგრამა #4: ბეჭდურ მედიაში წარმოდგენილი ძალადობის ტიპები (2011 წლის 16 მაისი-3 სექტემბერი).



ქალაქობის გეოგრაფია

საგაზეთო სტატიებში აღწერილი შემთხვევების ადგილი ავტორების მიერ ხშირად (7 სტატიაში) არ იყო დაკონკრეტებული. იმ შემთხვევებში, სადაც გეოგრაფიული არეალი მითითებული იყო, 12 ინციდენტი - დედაქალაქში, 4 კი - კახეთში მოხდა.


დიაგრამა #5: გენდერული ქალაქობის შემთხვევები რეგიონების მიხედვით (2011 წლის 16 მაისი-3 სექტემბერი).



მონიტორინგის სუბიექტები

გენდერულ ქალაქობასთან დაკავშირებით სუბიექტებიდან ყველაზე ხშირად “მამაკაცი” და “ქმარი” არიან მოხსენიებული (54% და 22%). შესაბამისად, “ქალს”, როგორც მონიტორინგის სუბიექტს, შედარებით ნაკლები სივრცე აქვს დათმობილი (13%). კიდევ უფრო ნაკლები ყურადღება დაეთმო სხვა სუბიექტებს: მამაკაც მოძალადეებს (4%), პოლიციასა (4%) და ცოლს (3%).

დიაგრამა #6: მონიტორინგის სუბიექტები დათმობილი სივრცის მიხედვით (2011 წლის 16 მაისი-3 სექტემბერი).



დაზარალებულთა ტიპი

კვლევის სამივე პერიოდის განმავლობაში გამოვლენილ დაზარალებულთა აბსოლუტური უმრავლესობა ქალი იყო. აღწერილი შემთხვევები მიმოიხილავდა გაუპატიურების, ცემისა და ფიზიკური ძალადობის სხვა ფორმების გამოყენების ფაქტებს. შემთხვევების უმეტესობაში დაზარალებული ერთდროულად იყო ზემოთ ჩამოთვლილი ძალადობის ყველა ფორმის მსხვერპლი. აღსანიშნავია, რომ დაზარალებულთა ძირითად ჯგუფს ის ქალები შეადგენენ, რომლებმაც ადრე დაკარგეს მშობლები, ბავშვთა სახლებში გაიზარდნენ, მატერიალური პრობლემების გამო ადრე დაქორწინდნენ ან ადრეულ ასაკშივე მოუხდათ შრომის დაწყება.

მონიტორინგის მესამე ეტაპზე გაზეთში “პრაიმ-ტაიმი” გამოქვეყნდა სტატია, რომელიც ქალი და მამაკაცი ექიმების მკვლელობის ამბავს მიმოიხილავდა (ორი ექიმის გარდაცვალების საიდუმლო დეტალები, “პრაიმ-ტაიმი”, 2011 წლის 14 ნოემბერი). იმის გამო, რომ სტატია მხოლოდ ვარაუდებზე იყო აგებული, მედიის მონიტორინგის ჯგუფმა მისი კვლევაში გათვალისწინება საჭიროდ არ ჩათვალა. სტატიაში მოხსენიებული სუბიექტების მონიტორინგი უხეშად დაარღვევდა უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპებს (განიხილებოდა დანაშაულის ორი ვერსია და ორი სავარაუდო დამნაშავე: ქმარი და საყვარელი).

ინფორმაციის წყაროები

მონიტორინგის პერიოდში გამოქვეყნებული სტატიების 61%-ის შემთხვევაში ინფორმაცია დაზარალებულის მონაყოლს ეფუძნებოდა, მასალის 25%-ს ჟურნალისტები საკუთარი, ხშირად დაუკონკრეტებელი, წყაროებიდან მოიპოვებდნენ.

დასკვნა და რეკომენდაციები

ინტერნეტი-საქართველოს მიერ 2011 წლის 16 მაისიდან 2011 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში ჩატარებული მონიტორინგის “გენდერული ძალადობის გაშუქების ხარისხი ქართულ ბეჭდურ მედიაში” შედეგებზე დაყრდნობით მონიტორინგის ჯგუფმა დაასკვნა, რომ გენდერული ძალადობის საკითხი უმეტესად არ წარმოადგენს ქართული ბეჭდური მედიის ინტერესის საგანს. ჟურნალისტები მხოლოდ შოკისმომგვრელი შემთხვევის გამომზეურების შემდეგ აღნიშნავენ, რომ აუცილებელია პრობლემის საჯაროდ განხილვა, მაგრამ პრესაში გამოქვეყნებული მწირი მასალა ამ ფენომენის მასშტაბებს სათანადოდ ვერ ასახავს. როგორც კვლევის შედეგების თანახმად გაირკვა, გენდერული ძალადობის საკითხების გაზეთის ფურცლებზე უფრო ხშირად მოხვედრას ორი რამ უშლის ხელს: ერთი მხრივ საზოგადოება არ აწვდის მედიას საკმარის ინფორმაციას საკითხის შესახებ, მეორე მხრივ კი თავად ჟურნალისტები არ იჩენენ ინიციატივას და არ ცდილობენ იმ თემების კვლევას, რომელთა განხილვასაც საზოგადოება მიჩვეული არ არის. გარდა ამისა, იმ პუბლიკაციებშიც კი, რომლებიც გაზეთებში ქვეყნდება, ავტორები თავს არიდებენ გენდერული ძალადობის საკითხის ანალიზსა და დასკვნების გამოტანას და მხოლოდ ფაქტების აღწერით შემოიფარგლებიან, ან დაზარალებულებს აძლევენ თავს გადახდენილი შემთხვევის შესახებ ლაპარაკის საშუალებას. მონიტორინგის პერიოდში გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებული სტატიები მხოლოდ ახალი ამბებების ან ინტერვიუების ფორმით ქვეყნდებოდა.

მონიტორინგის ჯგუფმა გენდერული ძალადობის საკითხის პრესაში გაშუქებასთან დაკავშირებით შემდეგი რეკომენდაციები შეიმუშავა:

1. გენდერული ძალადობის შემთხვევების გაშუქებისას აუცილებელია მკითხველისთვის სირლმისეული ინფორმაციის მიწოდება;
2. საჭიროა საქართველოს რეგიონებში მომხდარი ძალადობის შემთხვევების უფრო მეტად გაშუქება;

3. უნდა მოხდეს მოსახლეობის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობის შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლება;
4. საზოგადოება უკეთ უნდა იყოს ინფორმირებული სქესობრივი ძალადობის, ინცესტის, ოჯახური ძალადობის, ეკონომიკური ზენოლის, ტრეფიკინგისა და მათი საზოგადოებაზე გავლენის შედეგების შესახებ;
5. უნდა მოხდეს მედიაში გამოყენებული სექსისტური, გენდერული ფოზიისა და სხვა წინასწარი განწყობებისა და სტერეოტიპების აღმნიშვნელი ლექსიკის აღმოფხვრა;
6. ჟურნალისტებისა და რედაქტორებისთვის უნდა ჩატარდეს სპეციალური ტრეინინგები, რათა მათ აიმაღლონ ცოდნა გენდერული თანასწორობის საკითხების შესახებ და ყოველდღიურ პროფესიულ საქმიანობაში დანერგონ სქესის, გენდერის, სქესობრივი და გენდერული იდენტობის შესახებ დელიკატური ლექსიკით საუბრის პრაქტიკა;
7. გენდერული თანასწორობისა და ოჯახური ძალადობის საკითხების შესწავლა უნდა გახდეს განათლების სისტემის შემადგენელი ნაწილი;
8. საჭიროა მედიას, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და მთავრობას შორის ინფორმაციის გაცვლის მიზნით თანამშრომლობის გაძლიერება.



REPORTING ON GENDER-BASED VIOLENCE IN GEORGIAN PRINT MEDIA

Giorgi Tabagari
Diana Chachua

INTRODUCTION

Internews Georgia conducted monitoring of reporting about gender-based violence in the Georgian print media between May 16 and December 31, 2011. The investigation covered a study of national and regional newspapers and pursued the goal to inform present media users and field professionals (editors, journalists, media experts, researchers, critics) of the results of quantitative and qualitative analysis and make them familiar with the scale of the problem in Georgia.

The research was carried out in the framework of a UNDP project, Development of Media Monitoring Capacities in Georgia, funded by the European Union.

METHODOLOGY

Internews Georgia carried out monitoring of the quality of reporting in three phases:

- Phase one: May 16 – July 3, 2011
- Phase two: July 18 – September 3, 2011
- Phase three: November 10 – December 31, 2011

During the monitoring period, a research team analysed the data collected based on their qualitative and quantitative characteristics. The quantitative analysis involved gathering information about the area, tone of reporting (positive, neutral and negative), subject and abuse types, sources of information, geography, distribution of information on specific pages of a newspaper and identification of partial or full coverage of the issue in the newspapers. The qualitative analysis studied the exactness and credibility of the information presented and attempts to influence society with the use of so called “spin tactics”, and recorded instances of partial reporting and use of derogatory language.

The selection of the newspapers to be studied was based on the following criteria:

- National and regional coverage and the number of copies;
- Frequency of publishing (daily or weekly);
- Focus of the newspapers on civil and political issues.

Internews Georgia identified twelve regional and national newspapers which were later included in the study: Akhali Taoba (New Generation), Alia, Kviris Khronika (Week's Chronicle), Kviris Palitra (Week's Palette), Versia (Version), 24 Saati (24 Hours), Resonansi (Resonance), Asaval-Dasavali, Batumelebi, Prime Time, Akhali Gazeti (New Newspaper) and Samkhretis Karibche (Southern Gate).

Our research focused on the following types of violence: verbal abuse, sexual discrimination, battery, rape, pedophilia, manslaughter, psychological and financial pressure, kidnapping, discrimination in the family, at a workplace or in an educational institution.

The subject categories for the monitoring included: woman, man, bride, groom, fiancée, boyfriend, girlfriend, partner, police, oppressor, defence attorney of the oppressor, court, civil society organization, Ministry of Corrections and Legal Assistance of Georgia, victim, defence lawyer of the victim, witness, government, Prosecutor's Office, the President and the Administration of the President.

In the process of monitoring, members of the research team – who participated in a preliminary workshop – performed the daily transfer of generated results into an electronic database that was exclusively created for the project by Internews Georgia (and which uses the open source platform Drupal)¹.

PRINCIPAL FINDINGS

Problem Background

Gender based violence is a universal problem in every culture and social group. According to the United Nations Population Fund, every third woman at least in the world has been made the object of battery, forced sexual intercourse or some other form of violence. Most frequently, violence is exercised by acquaintances, family members, employers and colleagues. One out of every fourth woman becomes the victim of abuse during the period of pregnancy. Violence towards women is considered to be “the most large scale, but least acknowledged, form of human rights violations in the world”².

1. Drupal is an open free system of content management, which offers its platform to more than 7 million webpages around the world. The list of users includes personal blogs, websites of corporate, political and government agencies (for example whitehouse.gov and data.gov.uk).

2. CARE is one of the biggest international non-governmental humanitarian organizations:
<http://www.care.org/campaigns/voices-against-violence/index.asp>

According to the United Nations Population Fund (UNFPA), “gender based violence reflects and strengthens inequality between men and women and encroaches on the health, dignity, security and independence of its victims. It encompasses a wide range of human rights violations and includes sexual abuse of children, rape, domestic violence, sexual violence and oppression, trafficking of girls and women as well as a number of damaging traditional practices. Any of the activities listed above can have a deep psychological and physical impact on girls and women, including on their reproductive and sexual health. In some cases, violence can result in the death of a victim”.

Georgian Legislation and Gender Based Violence

Georgia is a country with a conservative society and deeply rooted religious and patriarchal traditions, where discrimination of women is strong and different forms of gender-based violence are considered acceptable.

The Georgian legal system does not use the term “gender-based violence”. However, Georgian law on gender equality and rules defined in the civil code and the criminal law regulate different aspects of combating trafficking and domestic violence, protection of the victims of domestic violence and providing them with aid.

Monitoring Results

A national study, which was carried out in Georgia in 2009³, revealed that every eleventh married woman is a victim of physical abuse. According to the survey, 80% of women are convinced that the issue of domestic violence should be discussed within the family only while 35% discharge men who hit their wives in specific cases and do not consider the behavior to be illegal.

Despite the existing situation, the investigation by Internews Georgia showed that the issue of gender-based violence does not attract the interest of the Georgian media, except in cases where shocking actions become known to the public. During the first two phases of research (May 16 – September 3, 2011), a study of 496 national and regional newspapers revealed only 38 cases of discussions about gender-based violence.

³ *National Research on Domestic Violence Against Women in Georgia*, Final Report, Tbilisi, 2010. A study of violence against women was carried out as part of a project, *Combating Gender-Based Violence in the South Caucasus*. The project was co-financed by the United Nations Population Fund (UNFPA) and the Government of Norway in 2009.

Media monitoring of all three periods produced the following results:


- The topic of gender-based violence is not sufficiently covered by Georgian national and regional newspapers. Georgian press publishes only a very limited amount of information regarding the issue;
- The biggest part of published articles are based on information which is retrieved from anonymous sources;
- Journalists mainly adopt a neutral tone while reporting about gender-based violence;
- The Georgian print media do not publish analytical articles about gender-based violence.

The qualitative analysis of the articles revealed that women in need of protection and other services encountered many obstacles on their way to combating the problem. The majority of anonymous respondents who suffered abuse were afraid of the oppressors and distrustful towards any involvement by external parties in the conflict resolution. Victims were scared of the pressure and possible outcomes of going public. In particular, their fright was often based on their oppressor's good relationship with the police. Here, one also has to take into account the perception of Georgian women regarding self-limitation. As a result of several studies, it became clear that, according to the majority of respondents, violence can be avoided through more restrained behavior. They think that family matters should be solved inside the family. This kind of approach contributes to the strengthening of the issue of domestic violence in Georgia.

During the first two phases of research, the press discussed gender-based violence 38 times. 80% of the articles (30 units) were entirely dedicated to the topic of violence, 20% (8 units) discussed the issue in publications about other themes. During the entire duration of monitoring, it happened only once that an article about gender-based violence was published on the first page of the newspaper.


While talking about reporting on the research issue, we have to make separate mention of Alia Holding and two of its newspapers, Alia and Kviris Khronika (Week's Chronicle). They regularly report on cases of gender-based violence in a special section. Most of the articles in this part of the newspaper are based on the stories of anonymous respondents – which once again indicates that victims of abuse are afraid of the possible pressure and outcomes of open discussion.

Three of the newspapers (Kviris Khronika (Week's Chronicle), Alia and Prime Time) allocated the largest amount of space to the coverage of gender-based violence, unlike 24 Saati (24 Hours), Akhali Gazeti (New Newspaper) and Samkhretis Karibche (Northern Gateway), which published no articles at all on the issue..


Diagram #1: Reporting about gender-based violence by newspapers (May 16 – September 3, 2011).

Tone

The majority (82%) of the publications under scrutiny mentioned the subjects with a negative tone. The main reason for this kind of attitude was connected to the fact that most of the articles were based on interviews with anonymous victims of the abuse, who spoke about the oppressors in a negative way. A neutral tone was used in 17% of the cases while more positive coverage was recorded in less than 1% of the articles.


Diagram #2: Tone of reporting by area (May 16 – September 3, 2011).

During the monitoring period, “man” and “husband” were mainly mentioned in a negative way, with 92% and 95% of the respective area containing their negative assessments. “Wife”, as a rule, was covered in a neutral tone although, in some cases, “women” in general were discussed in neutral (50%) and negative tones (48%).

Diagram #3: Tone of reporting by subject (May 16 – September 3, 2011).

Types of Violence


Considering the nature of gender-based violence, it is present in all layers of civil relationships. Despite this, during the period of research, the majority of the newspapers focused their attention on the issue of domestic violence. 56% of the cases discussed reported on battery and physical violence and 15% about rape. The monitoring revealed that, in most cases, the victims and oppressors were family members or partners.

Diagram #4: Types of violence in print media (May 16 – September 3, 2011).

Geography of Violence

Frequently, the authors of the articles did not indicate the locations of the incidents (7 articles). 12 of the cases when in which a geographic area was mentioned took place in Tbilisi and 4 in Kakheti.


Diagram #5: Cases of gender-based violence by region (May 16 – September 3, 2011).



Subjects

Among the most frequently mentioned subjects of the articles about gender-based violence were “man” and “husband” (54% and 22%). Accordingly, ‘woman’ as a subject of monitoring was allocated a relatively smaller area (13%). Even less attention was paid to male oppressors (4%), police (4%) and wives (3%).

Diagram #6: Subjects of monitoring by area (May 16 – September 3, 2011).



Types of Victims

The vast majority of the victims who were identified during all three periods of monitoring were female. Reported cases described incidents of rape, battery, physical abuse and other forms of violence. In most of the cases victims were subject to simultaneous suffering from all forms of the above-mentioned types of violence. It has to be noted that the biggest group of victims comprised women who lost their parents in early childhood, were brought up in children's homes, got married early in order to overcome financial problems or were forced to start working at a young age.

During the third period of monitoring, Prime Time published an article about the murder of two persons: male and female doctors ('Secret details of the death of two doctors', Prime Time, November 14, 2011). Because of the fact that the article was solely based on assumptions, the media monitoring group decided not to include it in the research in order to avoid any violation of presumption of innocence. (The article discussed two possible versions of the crime and two possible offenders: husband and lover).

Sources of Information

In 61% of the cases, published articles based their information on stories that were provided by the victims. 25% of the material was collected by the journalists from their personal, often unspecified, sources.

CONCLUSION AND RECOMMENDATIONS

Based on the results of the media monitoring which was conducted by Internews Georgia between May 16 and December 31, 2011 and concerned "Reporting about gender-based violence in the Georgian print media," the research team concluded that the Georgian print media are mainly not interested in covering this topic. Journalists start to discuss the necessity of a public debate regarding the issue only after learning about shocking cases. The limited amount of published information does not reflect the scale of the phenomenon in a proper way. The study revealed that there are two obstacles preventing a more frequent discussion by newspapers of gender-based violence: on the one hand, society does not provide the media with enough information concerning the issue and, on the other hand, journalists themselves do not show any initiative to try and investigate the themes, discussion of which is not common in Georgian society. Even the articles that are published in the newspapers try to avoid any analysis of the issue or to produce any conclusions. They limit themselves to mere descriptions of the facts or let the victims tell their stories. During the period of monitoring, articles about gender-based violence were published only in the form of news or interviews.

The monitoring group elaborated the following recommendations regarding reporting about gender-based violence in the print media:

1. When reporting about gender-based violence, journalists should provide their readers with in-depth information;
2. Cases of gender-based violence in the regions of Georgia are in need of increased coverage;
3. The level of awareness about equal participation of male and female members of society in economic and social development should be raised;
4. Society has to be better informed about the impact of sexual abuse, incest, domestic violence, economic pressure and trafficking;
5. Language which is sexist and leads to gender phobias as well as other prejudices and stereotypes have to be eradicated from the media;
6. Journalists and editors should be offered special training directed at the enhancement of their knowledge about gender equality issues and which will help them to implement the practice of sensitive reporting about gender, sex and sexual and gender identity topics in their everyday professional activities;
7. Studies in gender equality and domestic violence issues should become part of the education system;
8. It is necessary to strengthen cooperation between the media, civil society organizations and the government in order to exchange information.



დაზარალებულ და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა საკითხების გაშუქება ტელევიზიების მიერ

ია გეგეშიძე
გიორგი ჯოლოგუა
თამთა ყუბანეიშვილი

შესავალი

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა 2011 წლის 30 მაისიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში არასრულწლოვანთა საკითხების სატელევიზიო მედით გაშუქების მონიტორინგი განახორციელა. კვლევის მიზანი იყო ხუთი სატელევიზიო არხის საინფორმაციო გამოშვებებში დაზარალებული და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების შესახებ გადაცემული მასალის ძირითადი თემების, სიუჟეტებში არასრულწლოვანთა იდენტიფიცირების ხარისხისა და მათთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების ტენდენციების შესწავლა. კვლევა ჩატარდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული გაეროს განვითარების პროგრამის მედიის მონიტორინგის პროექტის ფარგლებში.

მეთოდოლოგია

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მიერ დაზარალებულ და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანებთან დაკავშირებული საკითხების ტელევიზიით გაშუქების მონიტორინგი სამ ეტაპს აერთიანებდა:

- პირველი ეტაპი: 2011 წლის 30 მაისი - 3 ივლისი
- მეორე ეტაპი: 2011 წლის 18 ივლისი - 4 სექტემბერი
- მესამე ეტაპი: 2011 წლის 10 ნოემბერი - 31 დეკემბერი.

მონიტორინგის ჯგუფმა ცხრამეტკვირიანი კვლევის პერიოდში შეაგროვა რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების შემცველი მასალა არასრულწლოვანთა საკითხების გაშუქების ქრონომეტრაჟის, თემების, ტონის, იდენტიფიკაციის, წყაროების, დაზარალებულების, კანონთან კონფლიქტში მყოფი პირებისა (რაოდენობრივი ინდიკატორები) და ფაქტობრივი გაშუქების, სიუჟეტის ეფექტისა და სათაურების (თვისებრივი ინდიკატორები) გამოყენების შემთხვევების შესახებ.

მედიის მონიტორინგისათვის შეირჩა სუბიექტები, რომლებიც მოხსენიებულნი იყვნენ, როგორც:

- სისხლის სამართლის დამნაშავე, ეჭვმიტანილი ან მსჯავრდებული და
- დაზარალებული, ძალადობის მსხვერპლი.

პროექტის ფარგლებში მიმდინარე დაკვირვებისათვის *სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა* ხუთი სატელევიზიო არხი და შემდეგი ძირითადი საინფორმაციო გამოშვებები შეარჩია:

- საზოგადოებრივი მაუწყებელი: “მოამბე” 20:00 საათზე;
- “რუსთავი 2”: “კურიერი” 21:00 საათზე, “პოსტ-სკრიპტუმი”;
- “იმედი”: “ქრონიკა” 20:00 საათზე;
- “კავკასია”: “დღეს” 20:30 საათზე;
- “მაესტრო”: “ახალი ამბები” 21:00 საათზე., კვირის რეპორტაჟი“

კვლევის ძირითადი შედეგები

2011 წლის მაისი-დეკემბრის თვეებში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მონიტორინგისთვის შერჩეული არხების საინფორმაციო გამოშვებებში დაზარალებული არასრულწლოვნის შესახებ მეტი სიუჟეტი გადაიცა, ვიდრე კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის შესახებ.

სატელევიზიო მედიის მიერ არასრულწლოვანის გაშუქებისას მედიასტანდარტის დარღვევის ფაქტები გამოვლინდა. კანონთან


კონფლიქტში მყოფი და დაზარალებული არასრულწლოვნის გაშუქებისას „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ დაირღვა მონიტორინგის სამივე პერიოდში. არასრულწლოვნის ანონიმურობის საკითხი დაირღვა „იმედი“, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“, „რუსთავი 2“-ისა და „მაესტროს“ სიუჟეტებში.

რაოდენობრივი ანალიზის შედეგები

სუბიექტებისთვის დამოკიდებული დრო

მოპოვებული მასალის რაოდენობრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ მონიტორინგის სამივე პერიოდის განმავლობაში ხუთივე სატელევიზიო არხმა კვლევის საკითხებისადმი მიძღვნილი 89 სიუჟეტი გადასცა. მათგან 204 წუთისა და 13 წამის ხანგრძლივობის 68 სიუჟეტი ეთერში კვლევის პირველი და მეორე პერიოდების დროს გავიდა. წუთობრივი მონაცემების თანახმად, საკვლევი სუბიექტების გაშუქებას საწყის ორ ეტაპზე ყველაზე მეტი დრო საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, ყველაზე ნაკლები კი „კავკასიამ“ დაუთმო. სიუჟეტების რაოდენობა არხების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა: საზოგადოებრივი მაუწყებელი - 21, „იმედი“ - 19, „რუსთავი 2“ - 14, „მაესტრო“ - 10 და „კავკასია“ - 4. ეს თანმიმდევრობა არც კვლევის მესამე ეტაპზე დარღვეულა: ლიდერობა ამჯერადაც „საზოგადოებრივი მაუწყებელს“ ერგო - 8 სიუჟეტი, „იმედი“ - 7, ხოლო „რუსთავი 2-ზე“, „კავკასიასა“ და „მაესტროზე“ თანაბრად 2-2 სიუჟეტი გავიდა. უნდა ითქვას, რომ მესამე პერიოდს დაემთხვა სახალხო დამცველის მიერ ბავშვთა უფლებების შესახებ ანგარიშის პრეზენტაცია და ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა სპეც-სკოლაში გადამისამართების კანონპროექტის მიღება. შესაბამისად, ამ პერიოდში არასრულწლოვანთა საკითხების ინტენსიურ გაშუქებას ამ ღონისძიებებსაც უნდა ვუმაღლოდეთ.

დიაგრამა #1: დაზარალებულ ან კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა საკითხების განხილვის წუთობრივი მონაცემების განაწილება ტელეარხების მიხედვით (2011 წლის 30 მაისი-4 სექტემბერი).




შენიშვნა: დიაგრამაზე გამოსახული მონაცემები ასახავს სიუჟეტში უშუალოდ არასრულწლოვანთათვის დათმობილი წუთობრივი მონაცემების განაწილებას ტელევიზიების მიხედვით.

სუბიექტისთვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით

კვლევის პერიოდში სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა მოახდინა სუბიექტის მიმართ გამოყენებული ტონის შეფასება. მომდევნო დიაგრამები ასახავს სხვადასხვა ტელევიზიის მიერ არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებული დადებითი, ნეიტრალური და უარყოფითი ტონის დროთა განაწილებას.


კვლევის პირველ და მეორე ეტაპზე საზოგადოებრივ მაუწყებელზე სუბიექტისთვის დათმობილმა დრომ ჯამში 50.34 წუთი შეადგინა, რაც „იმედისა“ და „რუსთავი 2“-ის მონაცემებთან შედარებით გაცილებით მეტი იყო. მათგან 43.22 წუთის განმავლობაში არასრულწლოვნები ნეიტრალური, 1.05 წუთის განმავლობაში კი პოზიტიური ტონით იყვნენ მოხსენიებულნი. საზოგადოებრივი მაუწყებელი სხვა არხებთან შედარებით ყველაზე ხშირად იყენებდა ნეგატიურ ტონს (5.26 წუთი), რომელიც მხოლოდ ბავშვთა სახლზე გაკეთებულ სიუჟეტში ქარბობდა.

დიაგრამა #2: „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ არასრულწლოვანთათვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით (წუთი, წამი; 2011 წლის 30 მაისი-4 სექტემბერი).




ტელეკომპანია „იმედმა“ უშუალოდ სუბიექტის გაშუქებას პირველი ორი პერიოდის დროს 29.19 წუთი დაუთმო. აქედან, 26.36 წუთის განმავლობაში სიუჟეტების ტონი ნეიტრალური, 2 წუთის განმავლობაში ნეგატიური, ხოლო 1.36 წუთის განმავლობაში პოზიტიური იყო.

დიაგრამა #3: „იმედზე“ არასრულწლოვანთათვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით (წუთი, წამი; 2011 წლის 30 მაისი-4 სექტემბერი).




„მაესტრომ“ დაზარალებულ და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანებს 10 სიუჟეტი მიუძღვნა. მართალია, ეს რიცხვი ოთხი ერთეულით ნაკლები იყო „რუსთავი 2“-ის მიერ გადაცემული სიუჟეტების რაოდენობასთან შედარებით, მაგრამ დროის თვალსაზრისით „მაესტროს“ მასალა უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა. ამ არხზე გამოყენებული ტონის უდიდესი ნაწილი (22.05 წუთი 23.21-დან) ნეიტრალური იყო.

დიაგრამა #4: „მაესტროზე“ არასრულწლოვანთათვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით (წუთი, წამი; 2011 წლის 30 მაისი-4 სექტემბერი).



„რუსთავი 2“-მა არასრულწლოვანებს 21.53 წუთი დაუთმო. მათგან 19 წუთის განმავლობაში სუბიექტები ნეიტრალური ტონით მოიხსენიებოდნენ, თუმცა მცირე დროით ის ნეგატიურით შეიცვალა (2 წუთი). „რუსთავი 2“-ზე პოზიტიური ტონი დაკვირვების პირველი ორი პერიოდის განმავლობაში საერთოდ არ დაფიქსირებულა.

დიაგრამა #5: „რუსთავი 2“-ზე არასრულწლოვანთათვის დათმობილი დრო ტონის მიხედვით (წუთი, წამი; 2011 წლის 30 მაისი-4 სექტემბერი).



„კავკასიამ“ არასრულწლოვანთა საკითხებს მხოლოდ მთლიანად ნეიტრალური ტონით გაშუქებული 2 წუთისა და 36 წამის ხანგრძლივობის სიუჟეტი მიუძღვნა.

არასრულწლოვანთა შესახებ მიღებული ინფორმაციის წყაროები

მონიტორინგის პირველი და მეორე პერიოდის შედეგების მიხედვით დადგინდა, რომ დაზარალებულ ან კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა საკითხების გაშუქებისას ხუთივე ტელევიზიის ინფორმაციის წყაროს ძირითადად ექიმები, ოჯახის წევრები, მოქალაქეები, მოწმეები ან თვითმხილველები, იშვიათ შემთხვევებში კი - მასწავლებლები და ნაცნობები წარმოადგენენ. უნდა აღინიშნოს, რომ ცნება „ნაცნობი“ ამ შემთხვევაში აერთიანებს მეზობელს, ნაცნობს, მეგობარს, ანუ ყველა იმ პირს, ვისაც გარკვეული სუბიექტური დამოკიდებულება აქვს კონკრეტულ პიროვნებასთან.

მკვეთრად განსხვავებული ინფორმაციის წყაროები გამოვლინდა ტელეკომპანია „კავკასია“-ს შემთხვევაში, სადაც ამ ფუნქციას მხოლოდ

ნაცნობები და ექიმები ასრულებენ. „იმედი“ რამდენიმე სიუჟეტში უშუალოდ არასრულწლოვანს გაესაუბრა ტელეფონით, რის გამოც ამ არხიდან მოპოვებულმა მონაცემებმა საკმაოდ განსხვავებული სურათი მოგვცა. არასრულწლოვანი, როგორც ინფორმაციის წყარო, ყველაზე მეტი ნუთობრივი მონაცემებით „იმედის“ სიუჟეტებში დაფიქსირდა.

თემები

კვლევის განმავლობაში სატელევიზიო არხები განსაკუთრებულად რამდენიმე თემით დაინტერესდნენ. მათ მიერ არასრულწლოვანთა შესახებ მომზადებული 68 სიუჟეტის დიდი ნაწილი ოჯახსა და ქუჩაში მომხდარ კრიმინალსა და ექიმების დაუდევრობას მიმოიხილავდა. სიუჟეტებში არასრულწლოვანი, ძირითადად, დაზარალებულის სახით მოგვევლინა.

ჩამოთვლილთაგან განსაკუთრებით აქტუალური ექიმების თემა იყო, რაც მონიტორინგის ჯგუფის აზრით, გარკვეულ ტენდენციას ასახავს. თემების გაშუქების ინტენსივობა შემდეგნაირად განაწილდა: ექიმებს - 15, ქუჩაში მომხდარ დანაშაულს - 8, ოჯახში და ოჯახის წევრების მიერ არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილ დანაშაულს 11 სიუჟეტი მიეძღვნა. მონიტორინგის პირველი და მეორე პერიოდების განმავლობაში არასრულწლოვანი დაზარალებულის ამპლუაში 46-ჯერ, კანონთან კონფლიქტში მყოფის რანგში კი 12-ჯერ აჩვენეს.

მონიტორინგის მესამე პერიოდში გამოიკვეთა ერთი თემა - კანონმდებლობა. ამ თემაში გაერთიანებულია არასრულწლოვანთა შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები, მათი უფლებებისა და შეწყალების საკითხები. კანონმდებლობის თემაზე არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებულია მხოლოდ ზოგადი ფრაზები.

მესამე პერიოდში, ასევე, მკვეთრად ააშემცირებულია არასრულწლოვანთა მოხსენიება დაზარალებულის როლში. 11 შემთხვევაში იყო დაზარალებული, ხოლო 10 შემთხვევაში კანონთან კონფლიქტში მყოფი.

თვისებრივი ანალიზი

მონიტორინგის სამივე პერიოდის განმავლობაში დაზარალებული და კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანების შესახებ საკმაოდ ბევრი სიუჟეტი მომზადდა. თვალშისაცემი იყო მედიასამუღლებების ამ საკითხით დაინტერესება. ტელეარხების წარმომადგენლები მიდიოდნენ შემთხვევის ადგილზე და უშუალოდ ეცნობოდნენ არსებულ მდგომარეობას. განსაკუთრებული იყო ინტერესი ექიმის დაუდევრობის

შემთხვევების მიმართ „რუსთავი 2“-ის, „იმედისა“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან.

კანონთან კონფლიქტი მყოფი არასრულწლოვანების გაშუქებისას საზოგადოებრივი მაუწყებელი, „იმედი“, „რუსთავი 2“ და „მაცეტრო“ ხშირად საუბრობდნენ რამდენიმე არაოფიციალური ვერსიის შესახებ. მათგან განსხვავებით, „კავკასია“ არ გადმოსცემდა ვერსიებს და მხოლოდ ფაქტების მიწოდებით შემოიფარგლებოდა. მაგალითად, დაჭრილი არასრულწლოვნის შემთხვევაში ამ არხის ჟურნალისტები აღწერდნენ მხოლოდ დაჭრის ფაქტს და წყაროდ მოჰყავდათ ექიმი, რომელიც მხოლოდ დაზარალებულის მდგომარეობაზე საუბრობდა. ზოგადად ტელევიზიები ნაკლებად იყენებდნენ ემოციურ კადრებს. ისინი არ ცდილობდნენ ზედმეტად ემოციური ეფექტის შექმნას და მონიტორინგის არც ერთ პერიოდში დადგმული და რეკონსტრუირებული კადრები არ გამოუყენებიათ.

კვლევის შედეგად გამოვლინდა მაუწყებლების მხრიდან სიუჟეტების მომზადების დროს მედიასტანდარტის დარღვევაც. კერძოდ, მონიტორინგის სამივე პერიოდის განმავლობაში დაირღვა „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 44-ე მუხლი, სადაც არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვის მიზნით ნათქვამია: „მაუწყებელმა უნდა დაიცვას არასრულწლოვან ექვმიტანილთა, ბრალდებულთა, განსასჯელთა, მსჯავრდებულთა, მოწმეთა და დაზარალებულთა (განსაკუთრებით, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩამდენ პირთა) ანონიმურობა.“ მიუხედავად „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ რამდენიმე მუხლით დადგენილი წესისა - რა შემთხვევებში არ უნდა მოხდეს არასრულწლოვანთა ტელევიზიების მიერ იდენტიფიცირება - არხები მაინც არ ერიდებოდნენ მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. გარდა ამისა, „იმედსა“ და საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე არასრულწლოვანი გოგონას გაუპატიურების შესახებ გასულ სიუჟეტში დაზარალებული სრულად იყო იდენტიფიცირებული. მსგავსი ფაქტი მოხდა კრიმინალური შემთხვევის დროს დაზარალებული არასრულწლოვანის მონაცემების საზოგადოებრივი მაუწყებლის, „მაცეტროს“, „იმედისა“ და „რუსთავი 2“-ის ეთერით გავრცელებისასაც.

44-ე მუხლი დაირღვა მონიტორინგის დროს ეთერში გასული 68 სიუჟეტიდან 10-ის შემთხვევაში. განსხვავებული იყო ამ მხრივ მესამე პერიოდი, როცა მონიტორინგის ჯგუფმა არასრულწლოვანის იდენტიფიცირების მხოლოდ ერთი შემთხვევა გამოავლინა (საზოგადოებრივი მაუწყებელი): სიუჟეტში სრულად იყო მოცემული ინფორმაცია არასრულწლოვანის დედის შესახებ, რაც თავად მისი იდენტიფიცირების საშუალებასაც იძლეოდა. აქვე უნდა ითქვას იმ სამი შემთხვევის შესახებაც, როცა სიუჟეტები წესების დაცვით

იყო მომზადებული და არასრულწლოვანთა იდენტიფიცირებასთან დაკავშირებული წესი არ დარღვეულა („რუსთავი 2“, „მაესტრო“, „იმედი“).

რაც შეეხება ეთერით გასული მასალის დასათაურებას: უნდა აღინიშნოს, რომ მონიტორინგის პერიოდში ტელევიზიებს არ გამოუყენებიათ სენსაციური სათაურები და ისინი, ძირითადად, ნეიტრალური იყო. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ „მაესტრო“ და „კავკასია“, რომელთა მიერ შერჩეული სათაურებიც არ იყო ზედმეტად გამძაფრებული და ნეგატიური.

დასკვნა

საშოპალაპო განვითარების ინსტიტუტის მიერ 2011 წლის 30 მაისიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში განხორციელებული არასრულწლოვანთა საკითხების სატელევიზიო მედით გაშუქების მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა დაზარალებულ და კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა გაშუქებასთან დაკავშირებული რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი. აღმოჩნდა, რომ ისინი ძირითადად დაზარალებულ მხარეს წარმოადგენენ. კვლევის დროს ასევე გაირკვა, რომ რამდენიმე განსაკუთრებით აქტუალური თემადან (კონფლიქტები ოჯახსა და ქუჩაში, ექიმების შეცდომები) ყველაზე მეტი დრო ექიმების დაუდევრობით მომხდარ შემთხვევებსა და მათ შედეგებს დაეთმო. მესამე პერიოდი ამ მხრივ განსხვავებულია, ექიმების თემა ნაკლები ინტენსივობით გაშუქდა და ასევე, დაზარალებულის როლში ნაკლებად გვევლინება არასრულწლოვანი.

მომხდარი ინციდენტების გაშუქებისას ხშირი იყო ტელევიზიების მხრიდან მაყურებლისთვის ვერსიების სიმრავლის წარდგენა. ამ მხრივ გამონაკლისი იყო „კავკასია“, რომელიც მხოლოდ ფაქტების ასახვაზე იყო კონცენტრირებული.

გარდა ამისა, მონიტორინგის პერიოდში გამოვლინდა დაზარალებული ან კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანების სრული იდენტიფიცირების საკითხიც, რაც „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დარღვევას წარმოადგენდა. თუმცა აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ კვლევის მესამე პერიოდში არასრულწლოვანთა იდენტიფიცირების თვალსაზრისით პირველ ორ პერიოდთან შედარებით საგრძნობი გაუმჯობესება შეინიშნებოდა და მედიასაშუალებები მეტი პასუხისმგებლობით აშუქებდნენ არასრულწლოვანთა საკითხებს. შედეგად „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ დარღვევა მხოლოდ ერთხელ მოხდა.

REPORTING ON UNDER-AGE VICTIMS AND JUVENILES IN CONFLICT WITH THE LAW BY GEORGIAN TV CHANNELS

Ia Gegeshidze
Giorgi Jologua
Tamta Khubaneishvili

INTRODUCTION

The Civic Development Institute conducted monitoring of reporting on juveniles by Georgian TV channels between May 30 and December 31, 2011. The research pursued the goal to study trends, major themes and ways in which under-age victims and juveniles in conflict with the law are identified in the news programs of five TV channels.

The research was carried out as part of a UNDP project, Development of Media Monitoring Capacities in Georgia, funded by the European Union.

METHODOLOGY

The Civic Development Institute conducted the monitoring of reporting about under-age victims and juveniles in conflict with the law by TV channels in three phases:

- Phase one: May 30 – July 3, 2011
- Phase two: July 18 – September 4, 2011
- Phase three: November 10 – December 31, 2011

The research team collected quantitative and qualitative data about: duration, themes, tone, identification, sources, victims and persons in conflict with the law (quantitative indicators) and coverage, effects of reports and their titles (qualitative indicators) over nineteen weeks.

The study focused on the following subjects:

- offenders of criminal law, suspects or convicts and
- victims, abuse victims.

The Civic Development Institute selected five TV channels and the following principal news programs for the study:

- Public Broadcaster Moambe at 20:00;
- Rustavi 2 Courier at 21:00, Post Scriptum;
- Imedi Chronicle at 20:00;
- Kavkasia (Caucasus) and Dges (Today) at 20:30;
- Maestro News at 21:00, Kviris Reportazhi (Week's Report).

PRINCIPAL FINDINGS

Our investigation, which was conducted in May-December 2011, revealed that the news programs of the selected channels aired more reports about under-age victims than about juveniles in conflict with the law.

Researchers recorded cases of violation of media standards (the Code of Conduct for Broadcasters) throughout the entire duration of the monitoring process. Reports broadcast by Imedi, Public Broadcaster, Rustavi 2 and Maestro ignored the issue of securing the anonymity of under-age subjects.


QUANTITATIVE DATA

Time

Quantitative analysis of the collected data showed that, between May 30 and December 31, 2011, the five TV channels broadcast 89 reports on the research topics. Among them, 68 reports with a total duration of 204 minutes and 13 seconds were aired during the first two periods of monitoring. In the months of May-September, Public Broadcaster took the lead with the greatest amount of time dedicated to coverage of the issue. The least amount of time was allocated to the problems of the juveniles by Kavkasia (Caucasus). An analysis of reports distribution by channel produced the following results: Public Broadcaster – 21, Imedi – 19, Rustavi 2 – 14, Maestro – 10 and Kavkasia (Caucasus) – 4 reports. This sequence remained the same during the third period of research as well: Public Broadcaster produced the highest number of reports again (8 units), Imedi followed with 7, and Rustavi 2, Kavkasia (Caucasus) and Maestro with two reports each. The third period coincided with the publication of the

Public Defender's report about children's rights and approval of a bill on the transfer of problem children to specialized schools. Correspondingly, the intense coverage of juvenile issues at that time was also determined by these developments.

Diagram #1: Time allocation for reporting about underage victims and juveniles in conflict with the law by TV channels (minutes, May 30 – September 4, 2011).




Note: The data in the diagram show the distribution of duration (in minutes) of exclusive coverage of juveniles by different channels.

Tone

The Civic Development Institute research included an assessment of the tone applied to the subjects. The following diagrams show 'tone distribution' (positive, neutral and negative) and its duration on the different TV channels.


During the first two research phases, the total time allocation for subjects by the Public Broadcaster constituted 50.34 minutes. This was a significantly larger amount of time than time allotted by Imedi or Rustavi 2. For 43.22 minutes, juveniles were covered in a neutral tone and for 1.05 minutes in a positive tone. Public Broadcaster made more frequent use of a negative tone (5.26 minutes) compared to the other channels, using it only in reports about children's houses.

Diagram #2: Time allocation by tone on Public Broadcaster (minute, second; May 30 – September 4, 2011).




The TV company Imedi dedicated 29.19 minutes to exclusive discussion of the subjects during the first two periods. During this time, the tone of reports was neutral for 26.36 minutes. It changed into 'negative' for 2 minutes and became 'positive' for 1.36 minutes.

Diagram #3: Time allocation by tone on the Imedi channel (minute, second; May 30 – September 4, 2011).




Maestro devoted 10 reports to under-age victims and juveniles in conflict with the law. Despite the fact that Rustavi 2 produced 14 reports on the same issue, the overall duration of coverage on Maestro exceeded that of Rustavi 2. As a rule, Maestro discussed juveniles in a neutral tone (22.05 minutes out of 23.21).

Diagram #4: Time allocation by tone on the Maestro channel (minute, second; May 30 – September 4, 2011).



Rustavi 2 allocated 21.53 minutes to issues about juveniles. Of this time, 19 minutes were used by the company for neutral coverage of the subjects. The tone was negative for 2 minutes. During the first two periods, Rustavi 2 did not discuss the subjects in a positive way at all.

Diagram #5: Time allocation by tone on the Rustavi 2 channel (minute, second; May 30 – September 4, 2011).



Kavkasia (Caucasus) reported on the problems of juveniles for only 2 minutes and 36 seconds in a neutral way.

Information sources

Our analysis of the first two periods revealed that, during the coverage of the under-age victims and juveniles in conflict with the law, doctors, family members, citizens, witnesses or eye-witnesses and, in rare cases, teachers and acquaintances presented the major source of information for all five channels. It has to be clarified that, in this context, the term “acquaintance” covers acquaintances, neighbours and friends: i.e. all those persons who had a subjective relationship with a specific person.

Absolutely different were the information sources used by Kavkasia (Caucasus), which received its information from acquaintances of the affected persons and doctors only. The Imedi channel managed to establish direct telephone contact with juveniles on several occasions. That resulted in the harvesting of completely different data by the channel where juveniles were registered as a major source of information.

Themes

During the research period, TV channels demonstrated particular interest in a couple of themes. The greater part of their 68 reports on the problems of juveniles focused on criminal and medical negligence cases that took place in the families or in the streets. Most of these reports presented juveniles as victims.

Especially obvious was the interest shown in the topic of medical negligence. The monitoring team believes that this should be part of a trend. An analysis of the intensity of coverage by topic produced the following results: doctors were discussed in 15 and street crimes cases in 8 reports. 11 reports covered the criminal behaviour of family members towards juveniles. During the first two periods of monitoring, under-age persons were shown by TV channels as victims in 46 cases and as persons in conflict with the law in 12 cases.

The third period dealt with a new topic of interest: legislation. It brought under one umbrella amendments to the law concerning juveniles and their rights and acts of pardon. Reports on legislation regarding juveniles were discussed only in general terms

During the third period, the monitoring team also witnessed a sharp decline in the coverage of cases where juveniles were presented as victims. TV channels reported 11 incidents where under-age persons were the victims and 10 occasions when they were in conflict with the law.

Qualitative Analysis

The three monitoring phases produced numerous reports about under-age victims and juveniles in conflict with the law. The interest of media outlets in these issues was obvious. Representatives of the TV channels visited the sites of events and personally investigated the current situation. Rustavi 2, Imedi and Public Broadcaster showed particular interest in cases of medical negligence.

During the reporting on juveniles in conflict with the law, Public Broadcaster, Imedi, Rustavi 2 and Maestro often presented several unofficial versions of events. Kavkasia (Caucasus), on the contrary, limited itself to the delivery of mere facts. For example, while telling a story of a wounded juvenile, the journalist described only the fact of wounding and used a medical doctor as a source of information to report about the state of the victim. As a rule, TV channels made very limited use of emotional images; they did not try to create an overly emotional effect and did not use staged or reconstructed images during any of the periods.

Our investigation revealed instances of media standards violation. Specifically, during all three periods, TV channels violated Paragraph 44 of the Code of Conduct for Broadcasters, which says: A broadcaster must protect the anonymity of juvenile suspects, defendants, convicts, witnesses and victims, especially of those who have committed a crime against sexual freedom and security. Ignoring regulations which are prescribed in several paragraphs of the Code of Conduct for Broadcasters and which define the cases when juveniles should not be identified by the TV channels, media outlets did not refrain from disseminating of information about them. For example,

in reports which were broadcast by Imedi and the 1st Channel of Public Broadcaster concerning the rape of an under-age girl, her identity was fully disclosed. A similar thing happened when Maestro, Public Broadcaster, Imedi and Rustavi 2 disseminated information about the juvenile victim.

Paragraph 44 of the CCB was violated in 10 out of 68 cases. However, the situation changed in the third period, when the number of similar cases decreased to one (Public Broadcaster). This report contained full information about the mother of the victim and made it possible to identify him as well. Here we should mention, however, three cases when reports were prepared in compliance with all regulations and did not violate the rule about identification of juveniles (Rustavi 2, Maestro, Imedi).

A study of report titles revealed that, during all three phases, TV channels did not resort to sensationalism and they were mostly neutral. Especially correct were Maestro and Kavkasia (Caucasus): these channels did not use overly critical and negative titles.

CONCLUSION

As a result of the media monitoring conducted by the Civic Development Institute between May 30 and December 2011 which studied reporting on juvenile persons by TV channels, the research team came to an important conclusion – that under-age persons were mostly presented as the victims. Our research also showed that the greatest amount of time, devoted to reporting on especially urgent topics (conflicts at home and in the streets, mistakes by doctors), was allocated to cases of medical negligence and their outcomes. The third period was very different in this regard; the topic of doctors was given less attention, while there were less cases of discussion of juvenile victims.

During the coverage of incidents, TV channels frequently presented to viewers different versions of events. Kavkasia (Caucasus), on the contrary, focused solely on factual descriptions.

The monitoring also revealed cases of full identification of under-age victims or juveniles in conflict with the law, which violated the rules set out in the Code of Conduct for Broadcasters. However, it has to be mentioned that the third period showed a significant improvement regarding this issue. TV channels approached reporting about under-age persons with increased responsibility and as a result monitors recorded only one violation of the code of conduct.



ბელაჟიზიების მიერ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გაშუქება

ია გეგეშიძე
გიორგი ჯოლოგუა
თამთა ყუბანიშვილი

შესავალი

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა 2011 წლის 30 მაისიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში განახორციელა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გაშუქების მონიტორინგი ტელევიზიებში. კვლევის მიზანი იყო ხუთი სატელევიზიო არხის საინფორმაციო გამოშვებებში გასული მასალის ძირითადი თემების განსაზღვრა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციაში არსებული ტენდენციების შესწავლა. კვლევა ჩატარდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული გაეროს განვითარების პროგრამის მედიის მონიტორინგის პროექტის ფარგლებში.

მეთოდოლოგია

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მიერ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან (შემდგომში შპმ პირები) დაკავშირებული საკითხების ტელევიზიებში გაშუქების მონიტორინგი სამ ეტაპს აერთიანებდა:

- პირველი ეტაპი: 2011 წლის 30 მაისი - 3 ივლისი
- მეორე ეტაპი: 2011 წლის 18 ივლისი - 4 სექტემბერი
- მესამე ეტაპი: 2011 წლის 10 ნოემბერი - 31 დეკემბერი

მონიტორინგის ჯგუფმა ცხრამეტკვირიანი კვლევის პერიოდში შეაგროვა რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების შემცველი მასალა შშმ პირთა მედიაში გაშუქების ქრონომეტრაჟის, ტონის, ძირითადი თემებისა (რაოდენობრივი ინდიკატორები) და დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის, სტერეოტიპული მიდგომის, სიუჟეტის სათაურების (თვისებრივი ინდიკატორები) გამოყენების შემთხვევების შესახებ.

პროექტის ფარგლებში მიმდინარე დაკვირვებისათვის *სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა* ხუთი სატელევიზიო არხის შემდეგი ძირითადი საინფორმაციო გამოშვებები შეარჩია:

- “საზოგადოებრივი მაუწყებელი”: “მომხმე” 20:00 საათზე;
- “რუსთავი 2”: “კურიერი” 21:00 საათზე, “პოსტ-სკრიპტუმი”;
- “იმედი”: “ქრონიკა” 20:00 საათზე;
- “კავკასია”: “დღეს” 20:30 საათზე;
- “მანესტრო”: “ახალი ამბები” 21:00 საათზე, “კვირის რეპორტაჟი”.

კვლევის ძირითადი შედეგები

ხუთი თვის განმავლობაში შეგროვებული მასალის რაოდენობრივი ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ სატელევიზიო მედიის წარმომადგენლების მხრიდან შშმ პირების მიმართ ინტერესი ძალიან დაბალია. შერჩეულმა სატელევიზიო გადაცემებმა მონიტორინგის პერიოდში მათ ძალიან მცირე დრო დაუთმეს: შშმ პირების შესახებ მაისი-სექტემბრის თვეებში 35 წუთისა და 23 წამის საერთო ხანგრძლივობის მხოლოდ 11 სიუჟეტი გადაიცა. მათ მოგვიანებით კვლევის მესამე პერიოდში მხოლოდ სამ არხზე: “რუსთავი 2”-ზე, “საზოგადოებრივ მაუწყებელსა” და “მანესტროზე” გადაცემული 6 სიუჟეტი დაემატა (თითო არხზე ორ-ორი).

სატელევიზიო მედიის მიერ შშმ პირებთან დაკავშირებულ სიუჟეტებში ინფორმაციის გაშუქებისას სამი ძირითადი თემა გამოიკვეთა. ესენია:


- ქველმოქმედება
- შშმ პირთა პრობლემები (მაგ. სოციალურ-უფლებრივი საკითხები)
- ისტორიები შშმ პირთა მიერ მიღწეული წარმატებების შესახებ.

რაოდენობრივი ანალიზის შედეგები

კვლევის პირველ და მეორე პერიოდებში ყველაზე მეტი დრო შშმ პირებთან დაკავშირებულ საკითხებს ტელეკომპანია “რუსთავი 2”-მა დაუთმო, ყველაზე ცოტა კი “საზოგადოებრივმა მაუწყებელმა” (მხოლოდ ერთი სიუჟეტი).


აღსანიშნავია, რომ მედიის მონიტორინგის სანყისი ეტაპი დაემთხვა შშმ პირების დღეს, რომელიც საქართველოში 14 ივნისს აღინიშნება. შესაბამისად, ამ დღეს დაინტერესება მათ მიმართ შედარებით გაიზარდა. 11-დან 4 სიუჟეტი სწორედ ამ დღესთან დაკავშირებით მომზადდა. მათგან ორი “რუსთავი 2”-ზე გადაცემული კონკურსის “ნიჭიერის” გამარჯვებულს შეეხებოდა. კვლევის მესამე პერიოდში აღინიშნა შშმ პირთა საერთაშორისო დღე (3 დეკემბერი), რომელსაც გამოეხმაურენ და სიუჟეტები მიუძღვნეს “რუსთავი 2”-მა და “მაესტრომ”. მესამე პერიოდის მონიტორინგის დროს საზოგადოებრივი მაუწყებლის სიუჟეტი შეეხებოდა პატრიარქის აღსაყდრების იუბილეს, სადაც ნახსენები იყო შშმ პირებისათვის საქველმოქმედო ღონისძიება.

დიაგრამა #1: შშმ პირებთან დაკავშირებული საკითხების განხილვის წუთობრივი მონაცემების განაწილება ტელეარხების მიხედვით (2011 წლის 30 მაისი-4 სექტემბერი).



წუთობრივი და რაოდენობრივი მოცულობის თვალსაზრისით შშმ პირებს კვლევის პირველ ორ ეტაპზე ყველაზე მეტი დრო “რუსთავი 2“-მა დაუთმო: არხმა მონიტორინგის პერიოდში თემისადმი მიძღვნილი 5 სიუჟეტი (მათ შორის 2 ვრცელი) გადასცა. “იმედსა” და “საზოგადოებრივ მაუწყებელზე” თითო-თითო სიუჟეტი მომზადდა, “კავკასიასა” და “მაცენტროზე” - ორ-ორი. აქვე უნდა ითქვას, რომ “კავკასიისა” და “იმედის” სიუჟეტების ხანგრძლივობა თითქმის ერთნაირი იყო.


დიაგრამა #2: ტელევიზიების შედარება ინფორმაციის წყაროს მიხედვით შშმ პირებთან დაკავშირებით (ნამობრივი მონაცემები, 2011 წლის 30 მაისი-4 სექტემბერი).



როგორც დიაგრამიდანაც ჩანს, თავად სიუჟეტებში შშმ პირებს საკმაოდ ბევრი დრო ეთმობოდათ: ისინი ხშირად და ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე ლაპარაკობდნენ პირდაპირ ეთერში. შშმ პირები მონიტორინგის პერიოდში ტელევიზიით გადაცემულ ყველა სიუჟეტში რესპონდენტის რანგში იყვნენ წარმოდგენილი.

ტელევიზიების ტონი შშმ პირებთან მიმართებაში ძირითადად ნეიტრალური იყო. პოზიტიური და ნეგატიური ტონის შემცველი გამონათქვამები მხოლოდ იშვიათად და ისიც მცირე რაოდენობით გამოიყენებოდა. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მონიტორინგის პერიოდში ტელეარხების ყურადღება მხოლოდ სამ თემაზე: ქველმოქმედებაზე, პრობლემებსა (ინფრასტრუქტურის საკითხები, სერვისების ხელმისაწვდომობა და ა.შ.) და მიღწეულ წარმატებებზე გამახვილდა. ყველაზე აქტუალური პრობლემური საკითხების განხილვა იყო და მათ ყველაზე მეტი დროც დაეთმო. ქველმოქმედება და წარმატების ისტორიები კი ერთნაირი ინტენსივობით შუქდებოდა.

დიაგრამა #3: ტელევიზიების ტონი სუბიექტის მიმართ (ნამობრევი მონაცემები, 2011 წლის 30 მაისი-4 სექტემბერი).



მონიტორინგის პირველ და მეორე პერიოდებში შშმ პირების მიმართ განსაკუთრებული ინტერესით “რუსთავი 2” გამოირჩეოდა, რაც სავარაუდოდამ არხზე მიმდინარე კონკურსის (“ნიჭიერი”) ტრანსლირებამ განაპირობა. კონკურსში შშმ პირის გამარჯვების შემდეგ არხის დაინტერესება საკითხის მიმართ გაიზარდა და მომზადდა სიუჟეტები შშმ პირებისა და მათი პრობლემების შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონკურსის მონაწილის წარმატების შესახებ ინფორმაცია სხვა ტელევიზიებით არ გაშუქებულა. “კავკასიამ” მაისი-სექტემბრის პერიოდში სამივე თემას დაუთმო ყურადღება, “მაესტროზე” გასული სიუჟეტი შშმ პირების პრობლემებს მიმოიხილავდა, “იმედი” კი მხოლოდ ქველმოქმედების საკითხს შეეხო. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა კვლევის ხუთი თვის განმავლობაში შშმ პირების შესახებ მხოლოდ ერთი სოციალურ-უფლებრივი საკითხებისადმი მიძღვნილი სიუჟეტი მოამზადა, განსხვავებით მესამე ეტაპისაგან, როცა ის ქველმოქმედების საკითხით დაინტერესდა (ორი სიუჟეტი). თუმცა ამ სიუჟეტებში შშმ პირები მხოლოდ მოხსენიებულია, როგორც ქველმოქმედების ობიექტი. სიუჟეტის ძირითადი თემა იყო პატრიაქის აღსაყდრების იუბილესთან დაკავშირებული საქველმოქმედო კონცერტი.

თვისებრივი ანალიზი

როგორც უკვე ვთქვით, მონიტორინგის სამივე პერიოდი გამოირჩეოდა ტელევიზიების მხრიდან შშმ პირების არასაკმარისი გაშუქებით. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს სიუჟეტებში გამოყენებულ წყაროთა (და მათ შორის შშმ პირების, როგორც ინფორმაციის წყაროების) სიმრავლე.

ფაქტების გადმოცემისას მედიის საშუალებები, ძირითადად, მოკლე ზედაპირული ინფორმაციის გავრცელებით შემოიფარგლებოდნენ. იშვიათი იყო ჟურნალისტის მხრიდან თემასთან დაკავშირებით სუბიექტური მოსაზრების გამოხატვის შემთხვევები. საკითხის მიმართ გარკვეული ინდიფერენტულობა და დაბალი ინტერესი სიუჟეტების შინაარსშიც იკვეთებოდა. შედეგად არ ხდებოდა პრობლემის გაშლა, მის შესახებ მონოდებული საკმაოდ მწირი ინფორმაციის გამრავალფეროვნება და საკითხის სიღრმისეული შესწავლა. მაგალითისთვის შეიძლება არასამთავრობო ორგანიზაციების აქციის შესახებ “კავკასიაზე” გასული სიუჟეტის დასახელება. აქციის ორგანიზატორები საქართველოში შშმ პირებთან დაკავშირებული გაეროს კონვენციის რატიფიცირებას მოითხოვდნენ, მაგრამ იმის გამო, რომ სიუჟეტში საკითხის შესახებ ვრცელი ინფორმაციის მიწოდება არ მოხდა, საზოგადოებას ვერ შეექმნა სრული წარმოდგენა კონვენციის რატიფიცირების მნიშვნელობისა და აუცილებლობის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ “იმედსა” და “რუსთავი 2“-ს აქცია საერთოდ არ გაუშუქებიათ, თუმცა, “რუსთავი 2“-მა მოამზადა სხვა ორი სიუჟეტი კონკურსის გამარჯვებულისა და შშმ პირების სოციალურ-უფლებრივი საკითხების შესახებ. ეს უკანასკნელი შშმ პირების ქალაქში გადაადგილებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შესამჩნევ გაუმჯობესებას მიმოიხილავდა.

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მიერ განხორციელებული მედიის მონიტორინგის ჩატარების პირველი ეტაპი ბავშვთა და შშმ პირების დღეს დაემთხვა (საქართველოში შშმ პირთა უფლებების დღე 14 ივნისს აღინიშნება), რასთან დაკავშირებითაც “კავკასიამ” შშმ ბავშვებისთვის მონყოილი საქველმოქმედო აქციის შესახებ მოამზადა მასალა. საერთო ჯამში რვიდან ხუთი სიუჟეტი სწორედ ამ დღეებს უკავშირდებოდა, ორი კი “რუსთავი 2“-ზე გადაცემული კონკურსის გამარჯვებულს მიეძღვნა. შშმ პირთა საერთაშორისო დღე (3 დეკემბერი - გაეროს მიერ გამოცხადებული საერთაშორისო თარიღი), რომელიც კვლევის მესამე ეტაპს დაემთხვა, მონიტორინგის ამ პერიოდში წარმოადგენდა ერთადერთ თარიღს, როცა “რუსთავი 2“-მა და “მანეტრომ” შშმ პირების შესახებ ისაუბრეს. კვლევის მონაცემების გაანალიზების შედეგად ნათელი გახდა ტენდენცია, რომ ტელევიზიების ინტერესი შშმ პირები მიმართ მხოლოდ განსაკუთრებულ დღეებში ჩნდება.

კვლევის პირველი ორი პერიოდის განმავლობაში მედიასაშუალებებში დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები არ აღრიცხულა. სიუჟეტების სათაურების ტონი საკმაოდ ნეიტრალური და სენსაციურობისგან თავისუფალი იყო. ზოგადად, თავად სიუჟეტებიც

არ გამოირჩეოდა ზედმეტად ემოციური კადრების გამოყენებით. განსხვავებული აღმოჩნდა კვლევის მესამე ეტაპი, როცა ტელეკომპანია “მანეტროს” და საზოგადოებრივი მაუწყებლის სიუჟეტებში გაიჟღერა დისკრიმინაციულმა ტერმინებმა და ჟურნალისტმა შშმ პირს “უნარშეზღუდული” უწოდა. „მანეტროს“ სიუჟეტში ასევე ნახსენები იყო „ინვალიდობის პენსია“. ეს ტერმინები შშმ პირებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით დისკრიმინაციულ ლექსიკადაა მიჩნეული.

ერთგვარი სტერეოტიპული მიდგომა გამოიკვეთა “რუსთავი 2“-ის გადაცემაში “პოსტ-სკრიპტუმი”, რომლის წამყვანის მიერ ანონსის დროს წარმოთქმული იქნა ფრაზა: „ნიჭიერში“ ქველმოქმედებამ და მონყალებამ გაიმარჯვა“. თავად ამ ფრაზის შემდეგ გასული სიუჟეტი პროფესიული სტანდარტების დაცვით იყო მომზადებული და მისი ავტორის ტექსტი არსად შეიცავდა მსგავს მინიშნებებს. მართალია, მასალა ემოციური იყო, მაგრამ არა ხელოვნურად გამძაფრებული.

აქვე უნდა აღინიშნოს შშმ პირების მიმართ მედიის საშუალებების ზოგადი დამოკიდებულების ცვლა. ექსპერტების შეფასებითა და წინა წლების დაკვირვების თანახმად, ტელევიზიების მიერ შშმ პირების შესახებ მომზადებულ სიუჟეტებში სამი ტიპის მიდგომა იკვეთებოდა. მათ განიხილავდნენ როგორც:

- ქველმოქმედების ობიექტებს
- პაციენტებს
- სოციალურ-უფლებრივი სტატუსის მქონე პირებს (თანაბარი უფლებები, თანაბარი შესაძლებლობები).

2011 წლის მაისი-დეკემბრის თვეებში ჩატარებული კვლევის შედეგად გაირკვა, რომ მონიტორინგის პერიოდში მედია შშმ პირებს უმეტესად, როგორც ქველმოქმედების ობიექტებსა და თანაბარი უფლებების მქონე მოქალაქეებს განიხილავდა. მათი პაციენტის სტატუსით გაშუქება მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში ხდებოდა.

დასკვნა

სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მიერ 2011 წლის 30 მაისიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში ჩატარებულმა ტელევიზიების მიერ შპმ პირების გაშუქების კვლევამ რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა გახადა შესაძლებელი. კერძოდ, გაირკვა, რომ სატელევიზიო არხები არასათანადოდ აშუქებენ შპმ პირებთან დაკავშირებულ საკითხებს და მედია მათ მიმართ ინდიფერენტულია. გარდა იმისა, რომ ეთერში ძალიან ცოტა რაოდენობის სიუჟეტი გადაიცემა, მათი ხანგრძლივობაც საკმაოდ მოკლეა იმისთვის, რომ თემის სიღრმისეული და მრავალმხრივი განხილვა მოხდეს. ხუთი თვის განმავლობაში შპმ პირების შესახებ მომზადებული სიუჟეტების უდიდესი ნაწილი 14 ივნისსა და 3 დეკემბერს - შპმ პირთა საერთაშორისო დღის აღინიშნასთან დაკავშირებით გადაიკა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ შპმ პირებით ჟურნალისტები ძირითადად კონკრეტულ თარიღთან დაკავშირებით ინტერესდებიან და მათი ზოგადი დაინტერესების ხარისხი როგორც ამ მოქალაქეების ჯგუფის, ისე მათთვის პრობლემური საკითხების მიმართ დაბალია. გარდა მწირი ინფორმაციისა, სიუჟეტების ზედაპირულობას ისიც განსაზღვრავდა, რომ ჟურნალისტები არ სთავაზობდნენ მაყურებელს საკითხის ან პრობლემის ფართო, სიღრმისეულ განხილვას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია შპმ პირებთან დაკავშირებული საკითხების მიმართ საზოგადოებრივი მაუწყებლის მხრიდან დაბალი ინტერესი, რომელმაც პირველი სამი თვის განმავლობაში შპმ პირებს მხოლოდ ერთი, შემდგომი ორი თვის განმავლობაში კი ორი სიუჟეტი მიუძღვნა. „საზოგადოებრივი არხი“, რომელიც სახელმწიფოს მიერ ფინანსდება, მეტი ყურადღებით უნდა მოეკიდოს ქვეყნის მოქალაქეების სხვადასხვა ჯგუფებსა და მათ პრობლემებს და არ შემოიფარგლოს მხოლოდ მათთან დაკავშირებული საქველმოქმედო საკითხების გაშუქებით. ასევე, საყურადღებოა დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის სრულიად აღმოფხვრაც.

მონიტორინგის პირველ ორ პერიოდში გამოიკვეთა დადებითი ტენდენცია, რომელიც დაკავშირებული იყო ქართულ ტელეარხებზე შპმ პირების მიმართ გამოყენებული დისკრიმინაციულ ტერმინოლოგიის არარსებობაში. თუმცა მესამე პერიოდის მონიტორინგმა აჩვენა, რომ ამ მხრივ მედია სტანდარტი რამდენჯერმე დაირღვა. შესაბამისად ცალკეული ჟურნალისტების გადაცდომების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია, შპმ პირებთა გაშუქების შესახებ ერთიანი მედია სტანდარტის შემუშავება და ამ კუთხით ჟურნალისტების კვალიფიკაციის ამაღლება.

საქართველო
ბანკითარების
ინსტიტუტი



CIVIC
DEVELOPMENT
INSTITUTE

REPORTING ABOUT THE PERSONS WITH DISABILITIES BY GEORGIAN TV CHANNELS

Ia Gegeshidze
Giorgi Jologua
Tamta Khubaneishvili

INTRODUCTION

The Civic Development Institute conducted monitoring of the media reporting of persons with disabilities by Georgian TV channels between May 30 and December 31, 2011. The research pursued the goal of studying the trends in the presentation of information about the research issues and identifying the main themes in relevant reports broadcast by five TV channels.

The research was carried out as part of the UNDP project Development of Media Monitoring Capacities in Georgia, funded by the European Union.

METHODOLOGY

The Civic Development Institute monitored reporting about persons with disabilities in three phases:

- Phase one: May 30 – July 3, 2011
- Phase two: July 18 – September 4, 2011
- Phase three: November 10 – December 31, 2011

The research team collected quantitative and qualitative data about duration, main themes and tone (quantitative indicators) and the use of derogatory language, stereotypical approaches and report titles (qualitative indicators) over a total period of nineteen weeks.

The Civic Development Institute selected for its study five TV channels and the following main news programs:

- Public Broadcaster: Moambe at 20:00;
- Rustavi 2: Courier at 21:00, Post Scriptum;
- Imedi: Chronicle at 20:00;
- Kavkasia (Caucasus): Dges (Today) at 20:30;
- Maestro: News at 21:00, Kviris Reportazhi (Week's Report).

PRINCIPAL FINDINGS

A five-month quantitative analysis of the collected data revealed that the interest of Georgian TV channels in reporting on persons with disabilities was limited. Selected TV programs allotted a very small amount of time to the issue; during the months May to September, they covered the topic on 11 occasions with a total duration of only 35 minutes and 23 seconds. Later, during the third research period, three TV channels - Rustavi 2, Public Broadcaster and Maestro - added six more reports to the list (two reports each).

Coverage of disabled persons by the TV media focused on three main themes:


- Charity
- Problems of disabled persons (social and legal issues)
- Success stories of persons with disabilities.

QUANTITATIVE DATA

During the first and second periods of research, Rustavi 2 allocated the greatest amount of time to persons with disabilities. The smallest number of reports (one) was produced by the Public Broadcaster channel.


It has to be mentioned that the beginning phase of the media monitoring coincided with the Day of Persons with Disabilities, which is celebrated in Georgia on June 14. Accordingly, on that day interest towards the issue increased and resulted in 11 out of 14 reports dedicated to the event. Two reports told the viewers about the winner of a TV contest, Nichieri (Got Talent), which was aired by Rustavi 2. During the third period of research the international community celebrated an International Day of Persons with Disabilities (December 3). Rustavi 2 and Maestro responded to the event and dedicated several reports to it. Similarly, Public Broadcaster covered the anniversary of the Patriarch's inauguration and mentioned a charity event which was organized in this connection for persons with disabilities.

Diagram #1: Time distribution of reporting about persons with disabilities by TV Channels (May 30 - September 4, 2011).



During the first two phases of monitoring Rustavi 2 devoted the largest amount of time to coverage of persons with disabilities. The channel aired 5 reports, two of which were quite extensive. Imedi and Public Broadcaster aired only two reports (one each), while Kavkasia (Caucasus) and Maestro covered the issue four times (two reports each). From the point of view of duration, relevant news pieces broadcast by Kavkasia (Caucasus) and Imedi were almost identical.


Diagram #2: Comparison of TV Channels by source of information (seconds, May 30 – September 4, 2011).



As one can see from the chart, persons with disabilities were given a relatively large amount of time in the reports: they were quite often given opportunities to speak during the live programs and without any limitations. They were involved as respondents in all reports to be aired.

The tone adopted during coverage of the issues was mostly neutral. Positive and negative ways of reporting were used in some rare cases and on a smaller scale. As already mentioned, during the research period TV channels focused on three main topics: charity, problems (of infrastructure, availability of services etc.) and success stories. Among them, the coverage of problems was considered to be of the highest priority and it was allotted the biggest share of available time. Charity and success stories were discussed at a similar rate.

Diagram #3: Tone distribution by TV channels (seconds, May 30 – September 4, 2011).



As already mentioned, Rustavi 2 showed the greatest interest in persons with disabilities during the first and the second phases of research. This finding was presumably influenced by the ongoing TV show *Nichieri* (Got Talent). The fact that the winner of the contest was a disabled person resulted in increased interest towards the issue and in the airing of more reports about the persons with disabilities and their problems. It has to be mentioned that other TV channels did not broadcast the news about the success of the contestant. Between May and September, Kavkasia (Caucasus) discussed all three topics while Maestro covered the problems of persons with disabilities and Imedi elaborated on the question of charity. During the five months of research, the Public Broadcaster channel dedicated only one report to social and legal rights of disabled persons. However, it later became interested in charity matters as well and prepared reports on this issue in the third phase of our research (2 reports). Both pieces mentioned persons with disabilities as objects of charity. One of the reports informed viewers about a charity concert which was organized to celebrate the Patriarch's inauguration anniversary.

QUALITATIVE ANALYSIS

All three periods of monitoring were marked by insufficient coverage of persons with disabilities by the media. Despite the limited number of broadcast reports, our research revealed that they relied on a wide range of information sources, including disabled persons.

In sharing facts with their viewers, media outlets typically limited themselves to dissemination of short superficial pieces of information. Cases of journalists expressing also their subjective opinions on issues were rare and a certain indifference and lack of interest were visible in the majority of the contents. As a result, reports were not focused on discussion of problems from different angles and continued to present scant homogeneous information without any kind of in-depth analysis. One example was the coverage of a meeting, organized by NGOs, which aimed to request the ratification of the UN convention about persons with disabilities. This report was aired by Kavkasia (Caucasus). Because of the fact that it did not contain any broader information about the issue, the public were not able to grasp the importance and necessity of the process. Imedi and Rustavi 2 did not cover the meeting at all. However, Rustavi 2 aired two other reports about the research issue: one about the winner of the TV contest and the other about the social and legal rights of disabled persons. This report discussed the considerable improvements to infrastructure that were needed to ensure the mobility of persons with disabilities.

The first phase of media monitoring coincided with two celebrations: Children's Day and the annual Day of Persons with Disabilities (celebrated in Georgia on June 14). Kavkasia (Caucasus) broadcast a report about a charity event which was organized for disabled kids on that occasion. In total, five out of eight reports covered the celebrations and two were dedicated to the winner of the Nichieri (Got Talent) program on Rustavi 2. The International Day of Persons with Disabilities (December 3, declared by the UN) was the only day during the third period when Rustavi 2 and Maestro touched on the topic. Analysis of the collected data showed that the media became interested in reporting about persons with disabilities only on special occasions.

During the first two periods of monitoring the research team did not register any cases of derogatory language. Report titles were kept neutral and free from sensation flavors. In general, reports did not make use of overly emotional images. The third phase of the study proved to be different. TV channels Maestro and Public Broadcaster used discriminatory terms and one journalist defined a person with disability as "a person with special needs". A report that was aired by Maestro mentioned the pension of a 'handicapped' person. According to international standards this kind of language is considered derogatory.

Rustavi 2 demonstrated a stereotypical approach to the research issue in one of its programs, Post Scriptum. An announcement about the report to be aired was followed by a phrase from the moderator: "Charity and mercy became winners in Nichieri (Got Talent)." The story that followed was given in accordance with all professional standards

and the text of the author did not contain any similar indications. Despite the fact that the broadcast material was emotional, it was not presented in an artificially fierce way.

The change in the general approach towards persons with disabilities deserves a special mention. According to expert assessments and observations from previous years, the media outlets elaborated three main types of approach to the issue. Persons with disabilities were discussed as:

- charity objects
- patients
- persons with social and legal status (equal rights, equal opportunities).

The research conducted between May and December 2011 showed that, during the first phase of monitoring, disabled persons were mostly presented by the media as charity objects and citizens with equal rights. Their coverage as ‘patients’ happened in particular cases only.

CONCLUSION

An analysis of the data collected by the Civic Development Institute between May 30 and December 31, 2011, led to several important conclusions: namely, it became clear that TV channels do not report on persons with disabilities in a proper way and the media are quite indifferent towards them. In addition to the fact that the amount of coverage is very small, the duration of the reports is also too limited to initiate any in-depth and versatile discussion on the topic. During our five months of monitoring, the majority of reports about persons with disabilities were broadcast in parallel with the celebration of the Day of Persons with Disabilities on June 14 and December 3. This fact indicates that persons with disabilities become a matter of interest only at times of specific events. On other occasions, general interest towards this group of citizens and their problems is low. The superficial character of reports was due not only to limited information, but also to the absence of broad and in-depth discussions of the topic.

The low level of interest in the problems of disabled persons on the part of Public Broadcaster has to be mentioned separately. In the first three months, the channel dedicated to the subject only one report and, in the following two months, two reports. Public Broadcaster, which is financed by the state, should give more attention to different groups of people who live in the country and report on their problems. It should not limit itself to coverage of charity events. Derogatory language should also be totally eradicated.

The first two periods of monitoring revealed a positive trend to do away with derogatory language in reports concerning persons with disabilities. However, our observations in the third period revealed that media standards were violated on several occasions. In order to avoid mistakes being made by journalists, it is necessary to elaborate a common media standard concerning the coverage of persons with disabilities and to improve journalists’ awareness and skills in this matter.



სოციალური საკითხების გაშუქება ბეჭდურ და ტელევიზიულ

ნინო კველიშვილი
ნანა საჯაია

შესავალი

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა სოციალური საკითხების გაშუქების შესწავლის მიზნით 2011 წლის 30 მაისიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში ჩაატარა ქართული ბეჭდური და ტელევიზიის მონიტორინგი. კვლევის შედეგად შეგროვდა და შესწავლილ იქნა არსებული მასალის რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები და გაკეთდა ანალიზი.

კვლევა ჩატარდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული გაეროს განვითარების პროგრამის მედია მონიტორინგის პროექტის ფარგლებში.

მეთოდოლოგია

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ სოციალური საკითხების ტელევიზიებსა და ბეჭდურ მედიაში გაშუქების მონიტორინგი სამ ეტაპს აერთიანებდა:

- პირველი ეტაპი: 2011 წლის 30 მაისი - 3 ივლისი
- მეორე ეტაპი: 2011 წლის 18 ივლისი - 4 სექტემბერი
- მესამე ეტაპი: 2011 წლის 10 ნოემბერი - 31 დეკემბერი.

კვლევა გულისხმობდა რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის ჩატარებას. შეგროვდა მონაცემები სატელევიზიო საინფორმაციო პროგრამებით გადაცემული სოციალური საკითხების შესახებ მომზადებული მასალის ქრონომეტრაჟის, გამოყენებული ტონის,

სუბიექტების, თემების, გაზეთებში მათთვის დათმობილი ფართობის შესახებ.

მონიტორინგის პერიოდში მოხდა ტელევიზიით გასული მასალის სათითაოდ შესწავლა, დათვლილი იქნა ყველა სუბიექტი და განისაზღვრა მათი ტონი მკვეთრად დადებითი, დადებითი, ნეიტრალური, უარყოფითი და მკვეთრად უარყოფითის დეფინიციით. ამკარად გამოხატული სხვაობის არარსებობის გამო საბოლოო შედეგების შეჯამებისას ერთი მხრივ გაერთიანდა დადებითი და მკვეთრად დადებითი, მეორე მხრივ კი უარყოფითი და მკვეთრად უარყოფითი ტონები. მკვლევარებმა დაითვალეს ტელევიზიუჟეტების მთლიანი და კონკრეტულად რომელიმე თემისადმი მიძღვნილი დრო. საგაზეთო სტატიებში მოხდა საერთო და კონკრეტულად რაიმე თემისთვის დათმობილი ფართობის გაზომვა. ამავე პრინციპით მოხდა სუბიექტებისთვის დათმობილი დროის ხანძღლივობისა და სივრცის დათვლა.

მონიტორინგის მედიასუბიექტები

საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა მედიასუბიექტებად ხუთი ტელევიზიის მთავარი საინფორმაციო პროგრამები და სამი გაზეთი დაასახელა. სატელევიზიო არხებიდან შეირჩა სამი ეროვნული მაუწყებელი, რომელთა დაფარვის ზონა მთელ საქართველოს მოიცავს და ორი კერძო ტელეკომპანია, რომელთა მაუწყებლობა ძირითადად, თბილისში ვრცელდება. ბეჭდური მედიიდან მონიტორინგში სამი ყოველდღიური გაზეთი ჩაერთო.

ტელევიზია:

1. „საზოგადოებრივი მაუწყებელი“
2. „რუსთავი 2“
3. „იმედი“
4. „კავკასია“
5. „მანეტრო“.

პრესა:

1. „რეზონანსი“
2. „ახალი თაობა“
3. „24 საათი“.

მედია მონიტორინგის კვლევის საგანს შემდეგი საკითხები წარმოადგენდნენ:

1. სილარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის, პენსიონერებისა და მიუსაფარი ბავშვების ყოფის ბეჭდურ და ტელემედიაში გაშუქების სიხშირე და მოცულობა;
2. კონკრეტული თემების მიმართ არსებული ზოგადი ტონი ტელევიზიასა და პრესაში;
3. შერჩეული სუბიექტების მოხსენიების სიხშირე და ტონი;
4. თემის გაშუქება გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით;
5. თემის განხილვის გზა: ჟურნალისტები პრობლემას განიხილავენ თუ მხოლოდ ინფორმაციას აწვდიან საზოგადოებას.

საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა სოციალურ თემებთან დაკავშირებულ სუბიექტებად შემდეგი პირები, ინსტიტუციები და პარტიები შეარჩია:

1. სილარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა
2. პენსიონერები
3. მიუსაფარი ბავშვები
4. მთავრობა
5. პრეზიდენტი
6. პარლამენტი
7. მერია
8. საკრებულო
9. შსს
10. განათლების სამინისტრო
11. ჯანდაცვის სამინისტრო
12. ქველმოქმედი
13. „სამართლიანი საქართველო“
14. „თავისუფალი საქართველო“
15. „დემოკრატიული მოძრაობა“
16. „ქრისტიან-დემოკრატები“
17. „ახალი მემარჯვენეები“
18. „თავისუფალი დემოკრატები“
19. „ლეიბორისტული პარტია“
20. არასამთავრობო ორგანიზაცია
21. ექსპერტი
22. სახალხო დამცველი

23. საერთაშორისო ორგანიზაცია
24. სოციალური მომსახურების სააგენტო
25. ჟურნალისტი
26. სასულიერო პირი.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების დათვლისას, სუბიექტების მოხსენიების სიხშირიდან გამომდინარე მოხდა რამდენიმე მათგანის გაერთიანება, რის შემდეგაც ცალკე მხოლოდ ჭარბად წარმოდგენილი სუბიექტები გამოიყო.

კვლევის ძირითადი შედეგები

სოციალური თემატიკა და მასთან დაკავშირებული საკითხები ქართული სინამდვილის ძალიან მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. სოციალურად დაუცველი ფენა მოსახლეობის განსხვავებულ ჯგუფებს მოიცავს. კვლევის მსვლელობისას საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა ყურადღება სამ მათგანზე გაამახვილა:

- სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა
- პენსიონერები
- მიუსაფარი ბავშვები.

მოსახლეობის ბოლო, 2002 წლის აღწერის თანახმად საქართველოში 4 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს (სტატისტიკის დეპარტამენტი, www.saqstat.ge). მათგან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა შორის 654,936 პირია რეგისტრირებული (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, www.moh.gov.ge).

მონიტორინგის თემად სოციალური საკითხების არჩევანი მათმა აქტუალობამ განაპირობა. საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა მნიშვნელოვნად მიიჩნია საქართველოს მოსახლეობის თითქმის მერვედი ნაწილის (სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა) პრობლემების გაშუქების შესწავლა და მასშტაბური სოციალური თემატიკიდან ეს საკითხი კვლევის ერთ-ერთ თემად გამოარჩია. არანაკლებ მნიშვნელოვანია მოსახლეობის მეორე საკმაოდ დიდი ჯგუფის - პენსიონერთა საკითხიც (საქართველოში 800,000-მდე პენსიონერია), რასაც პენსიის საშუალო ოდენობასა (80 ლარი) და საარსებო მინიმუმს (115 ლარი) შორის განსხვავება განაპირობებს. საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ყურადღება მიიპყრო მიუსაფარი ბავშვების პრობლემამაც, რადგან ის გარკვეულწილად სოციალურ გაჭირვებას უკავშირდება.

მონიტორინგის პირველი ორი პერიოდის განმავლობაში სოციალურ საკითხებს შერჩეულ ტელევიზიებსა და გაზეთებში 77 სიუჟეტი და

სტატია მიეძღვნა. გამოიკვეთა გარკვეული ტენდენცია, რომელიც ამ საკითხების მიმოხილვას თან სდევდა:

- არც ერთი სიუჟეტი და სტატია არ ახდენდა უშუალოდ სოციალური პრობლემის გაშუქებას;
- მასალების უმრავლესობის შემთხვევაში აქცენტი კეთდებოდა არა უშუალოდ თემასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, არამედ სხვადასხვა ინიციატივაზე, რომელსაც ძირითადად მთავრობა, ქველმოქმედი ორგანიზაცია ან ადამიანი იჩენდა;
- მონიტორინგის პერიოდში კვლევის ძირითადი სუბიექტები ირიბად იყვნენ წარმოჩენილი;
- აქცენტი კეთდებოდა დედაქალაქზე;
- სოციალურ თემაზე გადმოცემული ვერბალური ინფორმაციის ნეიტრალური ტონის პარალელურად ვიზუალური მხარე მკვეთრად დადებით კადრებს ასახავდა;
- სოციალურ თემებზე გასულ სიუჟეტებში გაცილებით მეტი დრო ეთმობოდა სხვა სუბიექტებს ვიდრე სოციალურად გაჭირვებული ფენის წარმომადგენლებს.

მონიტორინგის მესამე პერიოდის განმავლობაში სოციალურ საკითხებს შერჩეულ ტელევიზიებსა და გაზეთებში 57 სიუჟეტი და სტატია მიეძღვნა. გამოიკვეთა გარკვეული ტენდენცია, რომელიც ამ საკითხების მიმოხილვას თან სდევდა:

ოდნავ განსხვავებული იყო მდგომარეობა კვლევის მესამე პერიოდში, როცა ტელევიზიით სოციალური საკითხების შესახებ 33 სიუჟეტი გადაიცა. მათგან 23 პენსიონერებს, 7 სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრებ პირებს და 3 მიუსაფარ ბავშვებს მიეძღვნა.


ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც კვლევის ამ ეტაპზე პენსიონერების შესახებ საუბრისას გამოიკვეთა, გახლდათ თემების გადანაწილება რაოდენობის მიხედვით. შერჩეული თემებიდან სატელევიზიო სიუჟეტების 70% (23 სიუჟეტი) პენსიონერებს დაეთმო მაშინ, როცა მონიტორინგის წინა ეტაპებზე სწორედ ეს თემა შუქდებოდა ყველაზე ნაკლებად. თუმცა, მათი პრობლემებით დაინტერესების ასეთი ზრდა სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ პენსიონერთა საკითხი მედიასაშუალებებისთვის უფრო აქტუალური გახდა. 6 კვირის მანძილზე მთავარ საინფორმაციო გადაცემებში გასული ყველა სიუჟეტი ერთსა და იმავე მოვლენას - ასაკით პენსიონერთა დაზღვევის შესახებ გამოცხადებულ პრეზიდენტის ინიციატივას განიხილავდა. დღის

განმავლობაში სხვადასხვა ტელეარხის მიერ ამ თემაზე მომზადებული სიუჟეტები როგორც მათთვის დათმობილი დროის, ისე სტრუქტურის თვალსაზრისით ერთმანეთის მსგავსი იყო. თავად პენსიონერები მასალაში ირიბ, მთავრობისა და პარლამენტის წარმომადგენლები კი პირდაპირ სუბიექტებად იყვნენ წარმოდგენილი.

ნოემბერი-დეკემბრის ექვსი კვირის განმავლობაში სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის შესახებ დღის მთავარ საინფორმაციო გადაცემებში 7 სიუჟეტი მომზადდა. მათი უმრავლესობა სამთავრობო თუ მუნიციპალურ ინიციატივებს ეძღვნებოდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიუსაფარი ბავშვების შესახებ კვლევის მესამე პერიოდში მხოლოდ 3 სიუჟეტი გადაიცა.


რაც შეეხება ბეჭდურ მედიასაშუალებებს. აქაც ყველაზე მეტი, 17 სტატია, ახალ სადაზღვევო ინიციატივას დაეთმო; 3 სტატია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ მოსახლეობას, 4 კი მიუსაფარ ბავშვებს მიეძღვნა. თუმცა, სტატიები მცირე მოცულობის იყო და მათი უმრავლესობა საინფორმაციო სააგენტოებმა მოამზადა. ბუნებრივია, მათ „ნიუსის“ ფორმა ჰქონდათ და ისინი არ შეიცავდა პრობლემის განხილვასა და ანალიზს. მიუსაფარ ბავშვებზე დაბეჭდილი სტატიები ძირითადად სარეკლამო ხასიათს ატარებდა და კონკრეტული საქველმოქმედო ორგანიზაციის ინიციატივებზე მოგვითხრობდა.

დიაგრამა #1: სიუჟეტების რაოდენობისა და საერთო ხანგრძლივობის შეფარდება ტელევიზიების მიხედვით (2011 წლის 30 მაისი - 4 სექტემბერი).




სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ მოსახლეობას 31, მიუსაფარ ბავშვებს 14, პენსიონერებს კი ერთი სიუჟეტი მიეძღვნათ.


დიაგრამა #2: სიუჟეტების რაოდენობის განაწილება კვლევის სუბიექტების მიხედვით (2011 წლის 30 მაისი - 4 სექტემბერი).




დიაგრამა #3: სტატიების რაოდენობებისა და ფართობის შეფარდება გაზეთების მიხედვით (2011 წლის 30 მაისი - 4 სექტემბერი).




დიაგრამა #4: თემების საერთო გადანაწილება პრესის მიხედვით (2011 წლის 30 მაისი - 4 სექტემბერი).




დიაგრამა #5: სუბიექტების შესახებ დამზადებული სიუჟეტების პროცენტული განაწილება ტელევიზიების მიხედვით (2011 წლის 30 მაისი - 4 სექტემბერი).



დიაგრამა #6: სუბიექტების შესახებ დაწერილი სტატიების პროცენტული განაწილება გაზეთების მიხედვით (2011 წლის 30 მაისი - 4 სექტემბერი).



დიაგრამა #7: სოციალურ საკითხების გაშუქების განაწილება რეგიონების მიხედვით (2011 წლის 30 მაისი - 4 სექტემბერი).



დასკვნა

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ 2011 წლის 30 მაისიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში ჩატარებულმა კვლევამ „სოციალური საკითხების გაშუქება ქართულ ბეჭდურ და ტელემედიაში“ აჩვენა, რომ სოციალური თემები ქართულ მედიაში არასათანადოდ შუქდება. მძიმე სოციალური ფონი ტელევიზიით მხოლოდ ისეთ სიუჟეტებში აისახება, სადაც სახელისუფლებო სტრუქტურები ან ქველმოქმედი ადამიანები სოციალურად დაუცველი და გაჭირვებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებისთვის გარკვეულ აქციებს მართავენ. არც ერთ სტატიასა და სიუჟეტში არ არის საუბარი თავად პრობლემაზე. ლაპარაკი სოციალურად გაჭირვებულ ადამიანებზე მხოლოდ ირიბად მიმდინარეობს და მათ არ ეძლევათ კომენტარის გაკეთების საშუალება თუ არ ჩავთვლით განეული დახმარების გამო მადლობის გადახდას. პრობლემის სირთულიდან გამომდინარე, საინტერესოა სიუჟეტებსა და სტატიებში გამოყენებული ზოგადი ტონიც, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, ნეიტრალურია ტელევიზიით გადაცემული ვიზუალური მასალით უფრო მეტად დადებითი განწყობის შექმნის ფონზე.

სოციალური საკითხების გაშუქებისას მასალის უდიდეს ნაწილში ყურადღების ცენტრში დედაქალაქია მოქცეული მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ცნობილია, რეგიონებში არსებული სოციალური ფონი გაცილებით უფრო მძიმეა. მონიტორინგის პირველ ორ პერიოდში სატელევიზიო არხებითა და გაზეთებით ამ თემისადმი მიძღვნილი 77 სიუჟეტიდან და სტატიიდან 33 თბილისს შეეხებოდა, 15 ერთეულის იდენტიფიცირება რეგიონის მიხედვით არ მომხდარა, სხვადასხვა რეგიონს კი საშუალოდ სამი რეპორტაჟი და სტატია მიმოიხილავდა.



REPORTING ABOUT SOCIAL ISSUES ON TELEVISION AND IN PRINT MEDIA

Nino Kevlishvili
Nana Sajaia

INTRODUCTION

The Georgian Institute of Public Affairs conducted monitoring of the reporting of social issues on television and in the print media between May 30 and December 31, 2011. The investigation focused on the collection, study and analysis of quantitative and qualitative indicators of existing data.

The research was carried out as part of a UNDP project, Development of Media Monitoring Capacities in Georgia, funded by the European Union.

METHODOLOGY

The study that was conducted by the Georgian Institute of Public Affairs and investigated reporting of social issues on television and in the printed media, was spread over three phases:

- Phase one: May 30 – July 3, 2011
- Phase two: July 18 – September 4, 2011
- Phase three: November 10 – December 31, 2011

During the research, the monitoring team collected and analyzed qualitative and quantitative information about the duration of reports, their tone, subjects, themes and space allocation in the newspapers etc.

The team studied each piece of broadcast reports, counted the subjects and assessed the tone adopted based on the following criteria: very positive, positive, neutral, negative and very negative. Because of the fact that the final results produced no apparent

difference between some of the criteria, it was decided to merge information about a) very positive and positive and b) very negative and negative tones. The researchers estimated the total duration of reports and carried out a breakdown of coverage by specific topic. In the case of newspaper articles, they measured space allocation for all as well as separate topics. The same principle applied to the measurement of time and space allocation per subject.

SUBJECTS

The Georgian Institute of Public Affairs selected the main news programs of five TV channels and three newspapers to be covered by the study. The three national TV channels have a coverage area of the whole territory of Georgia, while the two private companies broadcast their programs mainly in Tbilisi. Three daily newspapers represented the print media.

Television:

1. Public Broadcaster
2. Rustavi 2
3. Imedi
4. Kavkasia (Caucasus)
5. Maestro

Newspapers:

1. Rezonansi (Resonance)
2. Akhali Taoba (New Generation)
3. 24 Hours

The media monitoring focused on the study of the following issues:

1. Frequency and amount of reporting about persons living below the poverty line, the retired and street children;
2. The general tone applied by the television and print media in discussing of specific topics;
3. Frequency of coverage of the subjects and applied tone;
4. Geographic coverage of the issues;
5. Type of coverage: Are the journalists offering discussion of the issue or do they just limit themselves to mere delivery of information?

The Georgian Institute of Public Affairs selected the following persons, institutions and parties to be the subjects of research:

1. Population below the poverty line
2. Retired persons
3. Street children
4. Government
5. President
6. Parliament
7. Mayor's Office
8. Local government
9. Ministry of Internal Affairs of Georgia
10. Ministry of Education of Georgia
11. Ministry of Health, Labor and Social Affairs of Georgia
12. Philanthropists
13. Samartliani Sakartvelo (Fair Georgia)
14. Tavisufali Sakartvelo (Free Georgia)
15. Demokratiuli Modzraoba (Democratic Movement)
16. Christian Democrats
17. Akhali Memardjveneebi (New Rights)
18. Tavisufali Demokratebi (Free Democrats)
19. Labor Party
20. NGOs
21. Experts
22. Public Defender
23. International Organizations
24. Department of Social Services
25. Journalists
26. Clergy

During the final analysis of results, several subjects were merged according to the frequency of their discussion. After the merging, only the intensely discussed subjects were left to represent separate units.

PRINCIPAL FINDINGS

Social issues and related themes are among the very important problems of Georgian reality. The socially vulnerable layer of the population includes different groups of people. The Georgian Institute of Public Affairs decided to focus on studying three of these:

- Population beyond the poverty line
- Retired persons
- Street children.

According to the last population census of 2002, the Georgian population is more than four million (Department of Statistics, www.saqstat.ge). Among them 654,936 persons are registered as living below the poverty line (Ministry of Health, Labor and Social Affairs of Georgia, www.moh.gov.ge).

The selection of topics for monitoring was prompted by their urgency. The Georgian Institute of Public Affairs decided that it was important to monitor reporting about the problems which affect almost one eighth of the Georgian population (persons beyond the poverty line) and identified this specific issue as one of the principal themes for investigation. The second most important issue concerned another large group of the population: retired persons (there are about 800,000 retired persons in Georgia). Their problem originates from the difference between an average pension (80 GEL) and a minimum monthly requirement (115 GEL). The Georgian Institute of Public Affairs decided to include in the study the issue of street children as well, as this is linked to existing social hardship.

During the first two periods of monitoring, the selected TV channels and newspapers produced 77 reports and articles on the research issues. An analysis of the material collected revealed the following trends:

- None of the reports and articles were exclusively dedicated to the coverage of social problems;
- Most of the material did not focus on research topic-related problems. It mainly discussed different initiatives of the government, charity organizations or private persons;
- During the monitoring period, the main subjects of the research were covered in an indirect way;
- Reports and articles concentrated on events that took place in the capital;
- In parallel to the neutral tone of the verbal information, the visual background presented acutely positive images;
- Reports on social issues allocated a larger share of the time to discussion of other subjects rather than to representatives of the socially vulnerable groups.

During the third period of monitoring, the selected TV stations and newspapers aired and published 57 reports and articles. The monitoring group identified the following trends in the coverage:


The third period revealed a slightly different situation in terms of topic distribution. Out of 33 reports that were broadcast by TV channels, 23 were dedicated to retired persons, 7 to persons living below the poverty line and 3 to street children.

The most important development during this period was connected to the coverage of retired persons (70%, 23 reports) and the distribution and number of topics. Retired persons were the least discussed group during the previous periods of research. However, increased interest towards their problems did not automatically mean that the issue has gained urgency in the eyes of the media outlets. Every report that was aired in the 6 weeks of November and December focused on the same topic: the president's initiative to introduce an insurance provision for retired persons. The reports aired by the different channels were similar to each other in their structure and duration. Retired persons were presented as indirect, and representatives of the government and the parliament as direct, subjects.

During the third period, the main daily news programs dedicated seven reports to those living below the poverty line. The biggest share of information was dedicated to initiatives of the government or municipal agencies. As already said, in that time street children were covered in three reports only.

Discussion of the initiative concerning pensioners' insurance gained a leading position in respect of the number of relevant articles. The newspapers published 17 pieces of information on this issue. Problems of people living below the poverty line attracted the attention of journalists 3 times while street children were discussed in articles on four occasions. It has to be mentioned that articles were very short and mainly prepared by the news agencies. Naturally, they were published in a 'News' format and contained neither discussion or analysis of the problems. The published material concerning the street children was mostly of an advertising type and informed the readers about initiatives of specific charity organizations.

Diagram #1: Number and duration of reports by TV Channel (May 30 – September 4, 2011).



Retired persons were covered on one, street children on 14 and persons living below the poverty line on 31 occasions.

Diagram #2: Report distribution by subject (May 30 – September 4, 2011).




Diagram #3: Number of articles and space allocation by newspaper (May 30 – September 4, 2011).




Diagram #4: Theme distribution by newspaper (May 30 – September 4, 2011).




Diagram #5: Report distribution by TV Channel (May 30 – September 4, 2011).




Diagram #6: Subject distribution by newspaper (May 30 – September 4, 2011).





Diagram #7: Reporting on social subjects by region (May 30 – September 4, 2011).

CONCLUSION

The survey Reporting about Social Issues on Television and in the Print Media, which was conducted by the Georgian Institute of Public Affairs between May 30 and December 31, 2011, revealed that social issues are under-reported in the Georgian media. TV channels discuss the severe social situation only in those reports that inform the audience about the government agencies or philanthropists who organize different events for socially vulnerable and impoverished people. None of the articles or TV reports covered the problem itself. Socially vulnerable persons were discussed in an indirect way only and were not given an opportunity to comment on the issue, except in cases when they expressed their thanks for help they had received. Following the complexity of the problem, it was interesting to monitor the generally adopted tone which, in the majority of cases, remained verbally neutral but with a positive visual background.

Despite the common knowledge about the much more severe state of the social situation in the regions, the majority of reports and articles focused their interest on the capital city. During the first two periods of monitoring, 33 out of 77 TV reports and articles concerned Tbilisi. 15 reports and articles did not indicate the region they were reporting on at all, and only three informed their audience about regions outside Tbilisi.



უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში

ნანა საჯავია

შესავალი

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტმა უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქების შესწავლის მიზნით 2011 წლის 30 მაისიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში ქართული მედიის მონიტორინგი ჩატარა. კვლევის შედეგად მოხდა რელიგიური თემების, ეთნიკური და სექსუალური უმცირესობების შესახებ საზოგადოებრივი და დამოუკიდებელი მედიის მიერ მომზადებული მასალის შეგროვება და მასალის რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი.

კვლევა ჩატარდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული გაეროს განვითარების პროგრამის მედიამონიტორინგის პროექტის ფარგლებში.

ზურაბ ჟვანიას სახელობის საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) წარმოადგენს არამომგებიან ორგანიზაციას, რომლის მიზანია ეფექტური მმართველობის, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების შესაძლებლობების განვითარება. ინსტიტუტის ინტერაქტიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, კვლევებსა და ტრენინგებს, უკვე თერთმეტი წელია, თავისი წვლილი შეაქვს როგორც ეროვნულ, მუნიციპალურ და ადგილობრივ დონეებზე ეფექტური მმართველობის განვითარებაში, ისე საქართველოში დამოუკიდებელი და სიცოცხლისუნარიანი მედიის ჩამოყალიბებაში.

მეთოდოლოგია

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ჟურნალისტიკისა და მედიამენეჯმენტის სკოლამ ქართულ მედიაში უმცირესობების საკითხების გაშუქების მონიტორინგი 2011 წლის ზაფხულში დაიწყო და ის სამ ეტაპად განახორციელა:

- პირველი ეტაპი: 2011 წლის 30 მაისი - 3 ივლისი
- მეორე ეტაპი: 2011 წლის 18 ივლისი - 4 სექტემბერი
- მესამე ეტაპი: 2011 წლის 10 ნოემბერი - 31 დეკემბერი.

კვლევის მიზანი იყო, მომხდარიყო იმის შეფასება, თუ რამდენად დაბალანსებულად აშუქებდა ქართული სატელევიზიო და ბეჭდური მედია შემდეგ საკითხებს:

- რელიგიური თემები
- ეთნიკური უმცირესობები
- სექსუალური უმცირესობები.

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მონიტორინგის ჯგუფმა ინფორმაციის აღრიცხვისა და ანალიზისათვის რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების შეგროვების სხვადასხვა ინსტრუმენტი გამოიყენა. შესწავლილ იქნა რაოდენობრივი მონაცემები სამაუწყებლო მედიის მიერ წინასწარ შერჩეული სუბიექტების ფაქტობრივი პირდაპირი და ირიბი ჩვენების დროის შესახებ (წამი), ცალკე მოხდა სუბიექტის ირიბად (მაგ. ახალი ამბების წამყვანის ან სხვა პირის მიერ) მოხსენიების თითოეული მაგალითის აღნუსხვა, ბეჭდურ მედიაში კვადრატულ სანტიმეტრებში (სმ²) გაიზომა შესაბამისი სუბიექტებისთვის დათმობილი საგაზეთო ფართი. გარდა ამისა, გაზეთებში გაშუქების რაოდენობრივი ანალიზი კატეგორიებად დაიყო იმის მიხედვით, თუ რომელ გვერდზე იყო გამოქვეყნებული მონიტორინგისთვის საინტერესო სტატია. კატეგორიებად დაიყო ახალი ამბების გაშუქების ფორმატიც: სათაური, სტატია, სარედაქციო სვეტი, ფოტო, ფასიანი/უფასო რეკლამა, ნახატი, კომენტარი, სიუჟეტი და ანონსი.

თვისებრივი მონაცემების შეგროვება გულისხმობდა მედია საშუალებებით წარმოდგენილი მასალის შინაარსობრივ ანალიზს. მასალის შესწავლის შემდეგ შეფასდა სუბიექტებზე საუბრისას გამოყენებული ტონი (დადებითი, ნეიტრალური ან უარყოფითი), მედია საშუალებების მიერ სუბიექტების წარმოჩენის გზები, მაცურებლისა და მკითხველისათვის სუბიექტისა და თემის შესახებ დადებითი ან უარყოფითი შთაბეჭდილების შექმნის შეთავაზება. სუბიექტების გაშუქების ტონის შეფასებისას გამოყენებული იქნა ხუთბალიანი სისტემა სადაც 1 აღნიშნავდა ძალიან დადებით, 5 კი ძალიან უარყოფით ტონს.

რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების შეგროვებამ და ანალიზმა შემდეგი მასალა მოიცვა:

- რელიგიური, ეთნიკური და სექსუალური უმცირესობების შესახებ მომზადებული სიუჟეტებისა და სტატიების რაოდენობა;
- აღნიშნული თემების გაშუქების ტონი;
- აღნიშნული სუბიექტების მოხსენიების სიხშირე;
- დაფარვის ზონა;
- თემის გაშუქება: პრობლემა თუ სიუჟეტი ახალი ამბის შესახებ.

მონაცემთა შეგროვებისას შეივსო სპეციალური ფორმები მონიტორინგისთვის საინტერესო თემებზე ტელეარხებით გასული სიუჟეტებისა და გაზეთებში დაბეჭდილი სტატიების შესახებ. შემდეგ მოხდა ამ მონაცემების ელექტრონულ ბაზაში გადატანა და მიღებული საბოლოო შედეგების სხვადასხვა კრიტერიუმის გათვალისწინებით „მაიკროსოფტ ექსელ“-ის შესაფერის პროგრამაში დამუშავება.

გარდა ამისა, მკვლევარებმა გამოიყენეს „პრაიმ-ტაიმის“ მონაცემთა ბაზა, სადაც ატვირთულია მონიტორინგისთვის საინტერესო სატელევიზიო სიუჟეტები და საგაზეთო სტატიები.

მონიტორინგისთვის შერჩეული მედიასაშუალებები

უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების მონიტორინგისთვის მკვლევარებმა ხუთი ტელეარხის „პრაიმ-ტაიმში“ გადაცემული საინფორმაციო პროგრამები და სამი ყოველდღიური გაზეთის სტატიები შეარჩიეს.

ცხრილი #1: მონიტორინგში ჩართული ტელევიზიები და გაზეთები (2011 წლის 30 მაისი - 31 დეკემბერი).

მედიასაშუალება ტელევიზიები	მფლობელობა	პროგრამები	პოტენციური გეოგრაფიული დაფარვა
„1 არხი“	საზოგადოებრივი მაუწყებელი	20:00	ქვეყნის მასშტაბით
„რუსთავი 2“	კერძო	21:00	ქვეყნის მასშტაბით
„იმედი“	კერძო	20:00	ქვეყნის მასშტაბით
„კავკასია“	კერძო	21:30	თბილისი + ინტერნეტი
„მაესტრო“	კერძო	21:00	თბილისი + საკაბელო + ინტერნეტი
მედიასაშუალება გაზეთები	მფლობელობა	სტატიების თემა	ტირაჟი
„რეზონანსი“	კერძო	რელიგიური საკითხები, ეთნიკური და სექსუალური უმცირესობები	ქვეყნის მასშტაბით
„ახალი თაობა“	კერძო	რელიგიური საკითხები, ეთნიკური და სექსუალური უმცირესობები	ქვეყნის მასშტაბით
„24 საათი“	კერძო	რელიგიური საკითხები, ეთნიკური და სექსუალური უმცირესობები	ქვეყნის მასშტაბით

კვლევის ძირითადი შედეგები


საქართველო მრავალეთნიკური, მრავალრელიგიური ქვეყანაა, სადაც მრავალფეროვნების მიუხედავად სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური ჯგუფის წარმომადგენლები ძირითადად ქვეყნის სასაზღვრო რეგიონებში: აფხაზეთში, ოსეთში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში არიან კომპაქტურად დასახლებული. კომპაქტური დასახლებების გარდა უმცირესობები ქვეყნის შიდა ტერიტორიებზეც არიან მიმოფანტული. მათგან ყველაზე წარმომადგენლობითი ჯგუფებია: ეთნიკური სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, ბერძნები, ქურთები, იეზიდები, უკრაინელები.

რელიგიური მიკუთვნების მიხედვით საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (83.9%) მართლმადიდებელი ქრისტიანია. სიდიდით გამორჩეულ სხვა რელიგიურ ჯგუფებს შეადგენენ მუსულმანები (9.9%) და გრიგორიანელი სომხები (3.9%).

დემოკრატიული საზოგადოება წარმოუდგენელია როგორც ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანების (ლგბტ), ისე ნებისმიერი სხვა სოციალური ჯგუფის საზოგადოებაში სრული ინტეგრირების გარეშე. მართალია, კანონმდებლობის მიხედვით სექსუალური ორიენტაცია და გენდერული თვითგამოხატვა დისკრიმინაციის მიზეზი არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ არსებული მაგალითები ცხადყოფს, რომ უმცირესობის ზემოთ ჩამოთვლილ ჯგუფებს უმრავლესობის მსგავსად მედიაზე ხელი არ მიუწვდებათ.

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ განხორციელებული მედიის მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ ქართული მედია სათანადოდ არ აშუქებს ეთნიკურ და სექსუალურ უმცირესობებს.


დიაგრამა #1: დროის პროცენტული განაწილება ტელეარხების მიხედვით (2011 წლის 30 მაისი - 4 სექტემბერი).



რელიგიური საკითხები

მონიტორინგის პირველ ორ პერიოდში ტელევიზიების მიერ რელიგიურ საკითხებზე ეთერში 51 სიუჟეტი გავიდა. ისინი განიხილავდნენ რამდენიმე ქვეთემას: რელიგიური დღესასწაულები, ახალი ეკლესიების აგება და ძველების რეაბილიტაცია, საპატრიარქოს ღონისძიებები და მართლმადიდებლური ცერემონიები. მასალის ყველაზე დიდი ნაწილი (37%) მართლმადიდებლური დღესასწაულების აღნიშვნას ეხებოდა (მაგ. წმინდა ნინოს დღე, ამაღლება, ღვთისმშობელი).


დიაგრამა #2: რელიგიის გაშუქება ტელევიზიაში



მაისი-სექტემბრის თვეში ტელევიზიებში რელიგიური საკითხების გაშუქების ტონი ძირითადად ნეიტრალური იყო. ნეიტრალურად იყო მიმოხილული სომხეთის პატრიარქის ვიზიტი, რაც იმ დროისთვის აქტუალურ ახალ ამბავს წარმოადგენდა. შესაბამისად, სიუჟეტებიც სომხეთის ახალი ამბის ფორმატით მომზადდა. ჟურნალისტებს არ განუხილავთ არც სომხეთა სამოციქულო ეკლესიის ისტორია და არც მისი ამჟამინდელი პრობლემები საქართველოში. არ გაკეთებულა მომზადებული მასალის ანალიზი.


ამ პერიოდში გამოვლინდა „ძალიან დადებითი“ ტონის გამოყენების ერთი შემთხვევა მართლმადიდებელი მორწმუნის მიმართ, რომელმაც რელიგიურ დღესასწაულზე თავისი ბედნიერება და ღმერთისადმი მადლიერება გამოხატა. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისგან განსხვავებით სომხეთა სამოციქულო, კათოლიკური, ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესიებისა და მუსულმანური ჯგუფების გაშუქება ძირითადად ნეიტრალური ტონით ხდებოდა.

დიაგრამა #3: რელიგიური საკითხების გაშუქებისას ტელევიზიების მიერ გამოყენებული ტონი (2011 წლის 30 მაისი - 4 სექტემბერი).



რელიგიურ საკითხებთან დაკავშირებით მთავრობის გაშუქებისას აქცენტი მთავრობის მიერ ეკლესიისთვის გაწეულ დახმარებაზე კეთდებოდა. სიუჟეტები უმეტესწილად ეხებოდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მხარდაჭერას მთელი ქვეყნის მასშტაბით ახალი ტაძრების მშენებლობასა და ძველი ეკლესიების რეაბილიტაციაში. მთავრობა მხოლოდ ერთხელ იყო მოხსენიებული უარყოფით კონტექსტში, როდესაც ლეიბორისტულმა პარტიამ მას ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩაყენების ბრალდება წაუყენა.

დიაგრამა #4: ტელევიზიების მიერ რელიგიური ჯგუფების გაშუქება (2011 წლის 30 მაისი - 4 სექტემბერი).




როგორც მონიტორინგმა გამოავლინა, დიდია ტელევიზიების დაინტერესება ქრისტიანული მართლმადიდებელი ეკლესიისა და კათოლიკოს-პატრიარქილია II-ის მიმართ. რელიგიური საკითხებისადმი მიძღვნილი საერთო დროის 68% მართლმადიდებელ ეკლესიას ეთმობა, საერთო დროის 54% კი უშუალოდ პატრიარქსა და მის მიერ გამართულ ღონისძიებებს. პატრიარქზე ლაპარაკისას ქართული მედია ძირითადად, მის ისეთ ყოველდღიურ საქმიანობებს მიმოიხილავს როგორებიცაა: საკვირაო წირვა, წარმოთქმული სიტყვა, ქადაგება, მასობრივი ნათლობა, ხალხის სხვადასხვა ჯგუფების (მათ შორის ქართული გვარების) დალოცვა. განსხვავებით წინა ორი პერიოდისგან, კვლევის მესამე პერიოდში რამდენიმე სიუჟეტი მიეძღვნა პოლიტიკურად მგრძნობიარე თემებს: პატრიარქის რუსეთში ვიზიტსა და მის სიტყვას ბიძინა ივანიშვილის მოქალაქეობის საკითხთან დაკავშირებით.

ეთნიკური უმცირესობები


რელიგიური თემებისგან განსხვავებით, მონიტორინგის პერიოდში ქართული მედია ნაკლებად აშუქებდა ეთნიკურ უმცირესობებთან დაკავშირებულ საკითხებს. მაისი-სექტემბრის თვეებში აღნიშნულ თემას „პრაიმ-ტაიმში“ გასულ საინფორმაციო პროგრამებში ჯამში 32 წუთის ხანგრძლივობის 12 სატელევიზიო სიუჟეტი მიეძღვნა.

მართალია, სექსუალური უმცირესობებისგან განსხვავებით ეთნიკური უმცირესობების იგნორირება არ ხდება, მაგრამ მათ შესახებ სიუჟეტის ან სტატიის მომზადებისას (განსაკუთრებით ეს ტელევიზიას ეხება) ყურნალობენ ძირითადად ოფიციალური პირების საქმიანობას აშუქებენ და არ ხდება საზოგადოებისთვის პრობლემაზე დაფუძნებული ანალიტიკური მასალის წარდგენა.

დიაგრამა #5: ეთნიკური უმცირესობების გაშუქებისას ტელევიზიების მიერ გამოყენებული ტონი (2011 წლის 30 მაისი - 4 სექტემბერი).




დიაგრამა #6: ეთნიკური უმცირესობების გაშუქებისას ბეჭდური მედიის მიერ გამოყენებული ტონი: სომხები (2011 წლის 30 მაისი - 4 სექტემბერი).



მონიტორინგის პირველი ორი პერიოდის განმავლობაში „ახალმა თაობამ“ აზერბაიჯანელებს ორი სტატია მიუძღვნა. პირველი სტატია „თათრები მარტო არჩევენების დროს ახსენდებათ“ გვამცნობდა აზერბაიჯანელი მოქალაქეების სოციალური საკითხებით გამოწვეული უკმაყოფილების შესახებ. მათი თქმით, მთავრობას ისინი მხოლოდ არჩევენების წინ ახსენდება. მეორე სტატიაში ავტორი აზერბაიჯანის მთავრობას ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი ქართველი მღვდლების საქმიანობის შეზღუდვაში ადანაშაულებდა.

დიაგრამა #7: ეთნიკური უმცირესობების გაშუქებისას ბეჭდური მედიის მიერ გამოყენებული ტონი: აზერბაიჯანელები (2011 წლის 30 მაისი - 4 სექტემბერი).



სემსუაღური უმცირესობები

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ ტელევიზია და ბეჭდური მედია სრულ იგნორირებას უკეთებს სექსუალურ უმცირესობებს. მათ კვლევის პერიოდში მხოლოდ ერთი და ისიც ძალიან უარყოფითი ტონის შემცველი მასალა მიეძღვნა. საქმე ეხებოდა გეი წყვილს, რომელიც თუშეთში ცემეს. სტატია გვამცნობდა: „როგორც ჩანს, ადგილობრივებმა ვერ გაიგეს, რა მიზეზით გადაყარეს გერმანელი ტურისტები წყალში. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი-ორს ისინიც წაუთაქებდნენ და ამის გამო თუშებს სტუმარ-მასპინძლობას არავინ დაუნუნებდა.“

დასკვნა

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მიერ 2011 წლის 30 მაისიდან 31 დეკემბრამდე პერიოდში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად რამდენიმე ძირითადი ტენდენცია გამოვლინდა. როგორც გაირკვა, ქართული ტელევიზიები და ბეჭდური მედია არასაკმარისად აშუქებს ეთნიკურ უმცირესობებს, სექსუალურ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების მიმოხილვას კი საერთოდ არ უთმობს დროს. კვლევამ გამოააშკარავა, რომ ჩამოთვლილ უმცირესობებს მედიაზე ხელი თანაბრად არ მიუწვდებათ და მათი ხმა არ ისმის.

მართალია, რელიგიური საკითხების გაშუქება ხშირად ხდებოდა, მაგრამ მათთვის მიძღვნილი მასალები არ განიხილავდა პრობლემურ საკითხებს და ძირითადად რელიგიური დღესასწაულების ან საეკლესიო ცერემონიების გაშუქებით შემოიფარგლებოდა. მიუხედავად სატელევიზიო ახალ ამბებსა და ბეჭდურ მედიაში რელიგიური საკითხების მიმართ დიდი ყურადღებისა, მასალები არ შეიცავდა ანალიტიკურ და კრიტიკულ ელემენტებს და უმეტესად „ნიუსის“ ტიპის იყო. გარდა ამისა, უმცირესობებთან დაკავშირებული განხილული საკითხების უმეტესობა თბილისსა და იქ მომხდარ მოვლენებთანაა დაკავშირებული და არ განიხილავს რეგიონულ პრობლემებს.



REPORTING ABOUT MINORITY ISSUES IN GEORGIAN MEDIA

Nana Sajaia

INTRODUCTION

The Georgian Institute of Public Affairs conducted monitoring of reporting about minority issues in the Georgian media between May 30 and December 31, 2011. The investigation focused on the collection and analysis of quantitative and qualitative data disseminated by public and independent media outlets and covered topics about religious, ethnic and sexual minorities.

The research was carried out under a UNDP project, Development of Media Monitoring Capacities in Georgia, funded by the European Union.

The Zurab Zhvania Georgian Institute of Public Affairs (GIPA) is an NGO whose aim is to develop the capacities of effective governance, media and civil society in Georgia. In the last eleven years the institute has contributed to the development of good governance at national, municipal and local levels as well as the establishment of independent and viable media through its interactive educational programs, research and trainings.

METHODOLOGY

The School of Journalism and Media Management of the Georgian Institute of Public Affairs started its study of reporting about minority issues in summer 2011 and conducted it in three phases:

- phase one: May 30 – July 3, 2011
- phase two: July 18 – September 4, 2011
- phase three: November 10 – December 31, 2011

The research set its goal to assess the way Georgian TV and print media reported on the following subjects:

- religious issues
- ethnic minorities
- sexual minorities.

During the investigation, the Georgian Institute of Public Affairs monitoring group used different tools for the collection and analysis of qualitative and quantitative information. It studied quantitative data about the time (seconds) devoted to direct and indirect coverage of preselected subjects by TV channels, registered each isolated case of indirect coverage of the subjects (for example by a news moderator or any other person), estimated space allocation (cm²) per subject in newspapers. In parallel, the group sorted the data, breaking it down into different categories: page of publishing, title, article, editorial, photo, paid/unpaid advertising, drawing, comment, report and announcement.

Collection of qualitative data focused on the content analysis of available material, which was later followed by an assessment of the tone (positive, neutral and negative), ways of presentation of subjects, establishment of positive or negative impressions about the subject and the theme with the viewers etc. A five point system, with 1 as a “very positive” and 5 as a “very negative” grade were used during the study of the applied tone.

Collection and analysis of qualitative and quantitative data covered the following information:

- Number of reports and articles about religious, ethnic and sexual minorities;
- Tone of reporting on the issues of research;
- Frequency of mentioning of the subjects;
- Coverage area;
- Theme: problem or news report.

During collection of the data, monitors filled out special forms about reports and articles which were broadcast by the TV channels or published in the newspapers. Later, information was transferred to the electronic database in order to generate final results with the help of a relevant Microsoft Excel program.

In addition, monitors used the Prime Time agency database which contains TV reports and articles about the subjects of monitoring.

SELECTED MEDIA OUTLETS

In order to investigate minority issues, the researchers decided to concentrate on the news programs of five TV channels (aired during prime time) and articles published in three daily newspapers.

Table #1: Participating TV Channels and Newspapers (May 30 - December 31, 2011).

Media TV Channel	Ownership	Programs	Potential Geographic Coverage
1 st Channel	Public Broadcaster	20:00	Entire territory of Georgia
Rustavi 2	Private	21:00	Entire territory of Georgia
Imedi	Private	20:00	Entire territory of Georgia
Caucasus	Private	21:30	Tbilisi + internet
Maestro	Private	21:00	Tbilisi + cable + internet
Media Newspaper	Ownership	Topics of Articles	Number of Published Copies
Rezonansi (Resonance)	Private	Religious topics, ethnic and sexual minorities	Entire territory of Georgia
Akhali Taoba (New Generation)	Private	Religious topics, ethnic and sexual minorities	Entire territory of Georgia
24 Hours	Private	Religious topics, ethnic and sexual minorities	Entire territory of Georgia

PRINCIPAL FINDINGS


Georgia is a multi-ethnic, multi-religious country where, despite the existing diversity of ethnic and religious groups, these are mostly residing in settlements next to the border regions: Abkhazia, Ossetia, Kvemo Kartli, Samtskhe-Javakheti and Kakheti. In parallel to the densely populated areas, minorities are also scattered on the inner territory of Georgia. The biggest representative groups are ethnic Armenians, Azeris, Russians, Greeks, Kurds, Yezids and Ukrainians.

According to religious affiliation, the vast majority of the Georgian population is composed of Orthodox Christians (83.9%). Other big religious groups are Muslims (9.9%) and Gregorian Armenians (3.9%).

It is hard to imagine a democratic society without the full integration of its lesbian, gay, bisexual and transgender (LGBT) members or any other social groups. It is true that, following the legislation, sexual orientation and gender-based self-expression should not become a reason for discrimination, but reality and available examples demonstrate that the above-mentioned groups of minorities do not have the same access to the media as the majority groups do.

The media monitoring carried out by the Georgian Institute of Public Affairs revealed that the Georgian media do not sufficiently report about ethnic and sexual minorities.


Diagram #1: Time Distribution of Reporting about Minority Issues by Channel (May 30 – September 4, 2011).



Religious Issues

During the first two periods, TV channels broadcast 51 reports about the religious issues. Material focused on several topics: religious holidays, construction of new churches and rehabilitation of old ones, events organized by the Patriarch's Office and orthodox ceremonies. The biggest part of reports (37%) delivered information on the celebration of orthodox holidays (for example, St. Nino's Day, the Ascension, Lomisoba).


Diagram #2: Reporting on Religion on Television.



In May-September, the tone of reporting on the TV channels was mostly neutral. Reporting about the visit of the Patriarch of Armenia - a hot topic at that time - was also neutral. Accordingly, information regarding the issue was treated as one from the news category; journalists did not discuss either the history of the Armenian Church or its modern problems in Georgia. No analysis of material was done.


This period of monitoring revealed only one case of use of a “very positive” tone towards an orthodox believer who expressed her happiness and gratefulness in connection with a religious holiday. In contrast to the Georgian Orthodox Church, Armenian, Catholic, Evangelist-Baptist Churches and Muslim groups were mostly mentioned in a neutral tone.

Diagram #3: Tone Application during Reporting about Religious Issues (May 30 – September 4, 2011).



While reporting about religious issues involving government activities, journalists focused on the aid provided by the authorities. They mostly discussed its support to the Georgian Orthodox Church in the construction of new, and rehabilitation of old, churches. The monitoring group registered only one case when the government was mentioned in a negative tone: the Labor Party accused the authorities of adopting a discriminatory policy towards the Georgian Orthodox Church.

Diagram #4: Reporting about Religious Groups by TV Channel (May 30 – September 4, 2011).



According to the monitoring results, Georgian TV channels take a huge interest in the Christian Orthodox Church and Catholicos Patriarch of Georgia Ilia II. 68% of total reporting time about religious issues was allocated to the Orthodox Church, of which 54% personally to the Patriarch and his activities. During its talk about the Patriarch, the Georgian media mostly discussed his everyday activities: Sunday liturgy, statements, sermons, mass baptizing, blessing of different groups of people (among them representatives of specific Georgian names) etc. In contrast to the previous phases, during the third period of monitoring, a number of reports were dedicated to politically sensitive topics: the visit of the Patriarch to Russia and his statement regarding Bidzina Ivanishvili's citizenship.

Ethnic Minorities

Differently than in the case of religious topics, the Georgian media paid little attention during the entire duration of the research to the reporting about ethnic minorities. In May-September, news programs devoted only 32 minutes and 12 reports to the issue.

Despite the fact that ethnic minorities are not ignored like sexual ones, during their work on reports or articles, journalists (this especially applies to TV programs) principally concentrate their story on the activities of official persons. They do not offer the public problem-based analytical information.

Diagram #5: Tone used by TV Channels during Reporting about Ethnic Minorities (May 30 – September 4, 2011).






Diagram #6: Tone used by the Print Media during Reporting about Ethnic Minorities: Armenians (May 30 – September 4, 2011).



During the first two weeks of monitoring, Akhali Taoba (New Generation) published two articles about the Azeri population. The first one, Tatars on their Mind only during Elections, informed readers about the discontent of the Azeri population with social issues. According to them, the government remembers their problems only prior to approaching elections. In the second article, the author accused the Azeri government of obstructing the activities of Georgian priests on Azerbaijan territory.

Diagram #7: Tone used by the Print Media during Reporting about Ethnic Minorities: Azeri (May 30 – September 4, 2011).



Sexual Minorities

Monitoring revealed that TV channels and print media completely ignore sexual minorities. During the research period only one article was published regarding the issue. Its tone was extremely negative. The journalist told the story of a gay couple who were attacked and beaten up in Tusheti. The article said: "It seems that the locals did not understand the reason behind the pushing of the German tourists into the river. Otherwise they would also add a couple of punches and no one would blame them for ignoring hospitality rules."

CONCLUSION

The monitoring conducted by the Georgian Institute of Public Affairs between May 30 and December 31, 2011, revealed several main trends. It became clear that Georgian TV channels and print media do not produce sufficient coverage of issues concerning ethnic minorities and absolutely ignore sexual ones. According to the research, the above-listed minorities do not have equal access to the media and their voice can't be heard.

It is true that coverage of religious topics happened on a more frequent basis, but reports and articles on the issue did not discuss the problems at all. They mostly focused on celebrations of religious holidays or ceremonies. Despite the evident interest in religious issues in the news programs and print media, the material that was aired and published did not contain analytical and critical elements and mostly presented the news. In addition, the majority of the issues discussed regarding minorities concentrated on events taking place in Tbilisi and did not present information about the problems in the regions.

სოციალური და ეკონომიკური
საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში
მედიის მონიტორინგის შედეგები

SOCIAL AND ECONOMIC ISSUES
IN GEORGIAN MEDIA

MEDIA MONITORING RESULTS

2011